სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 11 ივნისი 1999 №108 (881) | ფასი 50 თეთრი

ზაზა ჯანაშია

სარბიელის ტრადიციულ გამოკითხვაში სპორტულმა ჟურნალისტებმა საქართველოს 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს!

ზაზა ჯანაშიამ უახლოესი მდევარი კახა კალაძე 94,
მესამე ადგილზე გასული თემურ ქეცბაია კი 126 ქულით ჩამოიტოვა!

საქართველოს მეათე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი კი

რატი ალექსიძეა!

გამოკითხვის სრული შედეგები და ინტერვიუები საუკეთესო ფეხბურთელებთან
იხილეთ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე გვერდებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ფეხბურთელების ფურცელი

ქართველი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილმა ლატვიის ნაკრებმა თავის სიძლიერე კიდევ ერთხელ დაამტკიცა. მგონი, საბოლოოდ. მას შემდეგ, რაც ბალტიისპირელებმა შინ ჩატარებული სამი თამაშიდან ორი ფრედ დაამთავრეს და ერთიც, სლოვენიელებთან, წააგეს, ბევრმა იფიქრა, მორჩა, ლატვიას რამდენჯერმე გაუმართლა, ახლა თავიანთ ადგილზე დადგებიანო. თავადაც ასე მეგონა, მაგრამ... გუშინწინ ათენში ბერძნების დამარცხებამ მართლაც ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. ლატვიის ნაკრები სატურნირო ცხილში იმ საფეხურზეა, რომელზე ყოფნაც თავიანთი თამაშითვე დაიმსახურეს. გუნდი, რომელიც საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რაგბის ოვალური ბურთებითაც ემზადებოდა, დღეს ჯგუფში მესამეა და სლოვენიელებს მხოლოდ ურთიერთშეხვედრათა უარესი ბალანსით ჩამორჩება. რევაზ ძოძუაშვილს კი გუშინ რიგაში შევეხმიანეთ მაშინ, როცა აეროპორტიდან შინ მიიჩქაროდა.

რევაზ ძოძუაშვილი: ბერძნებს თბილისში მოგებას შევარჩენდი?

— რა გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ. თავს ბედნიერად ვგრძნობ. კარგა ხანია, ფეხბურთს ჩემთვის ასეთი სიამოვნება არ მიუნიჭებია — გვითხრა ჩვენებურმა მწვრთნელმა მისალმებისთანავე და განაგრძო — არა, ანგარიშს როდი ვგულისხმობ, ათენში დაძაბული თამაში იყო. მაღალი დონის ფეხბურთი, მთელი თავისი სილამაზით, ორმხრივი შეტევები, სახიფათო მომენტები, მოკლედ, ყველაფერი, რაც ფეხბურთს ამშვენებს.

— როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე გაიმარჯვეთ?

— მართალია, წინა მატჩის წაგება სლოვენიელებთან მთლიანად მსაჯის სინდისზეა, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებს თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ყველაფერი მათი ბრალი ყოფილიყო. ჯოხი მათზე გადავტეხე, ძალიან დავტუქსე, შევაფუცხუნე. პირდაპირ ვუთხარი, ათენში თუ არ მოიგებთ, უმეტესობა ნაკრებს დაემშვიდობება-მეთქი. ფეხბურთელებმაც მოინდომეს. ჩემმა ხერხმაც გაჭრა. მთავარი მაინც მონდომება იყო.

— სიტყვამ მოიტანა და სლოვენიასთან მატჩისას რა მოხდა ისეთი, ძლიერ რომ აღგაშფოთათ? უსამართლო პენალტი დაუნიშნიათ თქვენს კარში...

— მატჩის შემდეგ თავად ვანახე ფირი იმ მსაჯს. სულ ბოდიშები გვიხადა, შევცდიო, ათასჯერ გაიმეორა. ჩვენი მცველი მათ თავდამსხმელს საერთოდ არ შეხებია, მეტოქე თავისით წაიქცა. არადა, წუთით ადრე სლოვენიელთა კარში ათასპროცენტიან პენალტზე დახუჭა თვალი. მან ეს შეცდომაც აღიარა.

— აბა...

— რაღა აბა. ძლიერ მეეჭვება, სლოვენიელებს ვინმე არ მფარველობდეთ. ლატვიაში ძალად წაგვაგებინეს. ეტყობა, ვიღაცისთვის მიუღებელია ჯგუფში ლატვიის მეორეობაც. ისიც ვიცი, ნორვეგიელებისა და სლოვენებს ერთმანეთთან რაღაც რომ აკავშირებთ.

— ეგ როგორ. რა უნდა აკავშირებდეთ?

— არ ვიცი, მაგრამ ვეჭვობ, ასე არ იყო. მტკიცებით არაფერს ვამტკიცებ, თუმცა... არა, არა, ამაზე ნულარაფერს მკითხავთ. აღარაფერს გეტყვით.

— კარგით, აღარ გკითხავთ. ისევ ბერძნებთან თქვენს მოგებაზე ვთქვათ. ლატვიის ნარკებმა ათენში იდეალურად ითამაშა?

— ლატვიის დონისთვის მართლაც იდეალურად. თუმცა თანამედროვე ევროპული ფეხბურთი გუნდისგან კიდევ უფრო მეტს მოითხოვს. ვიმეორებ, იდეალურად მხოლოდ ჩვენი დონისთვის ვითამაშეთ.

— ბოლო ხანს ნაკრებში ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელების მიწვევას რითი ახსნით?

— გაახალგაზრდავება მინდა. ყოველ თამაშშიც ერთ-ორ გამოუცდელ ჭაბუკს ვათამაშებ. ახლაც, ათენში, პირველი ბურთი ხომ ჯერაც უწვერულმა ვერპაკოვისმა გაიტანა. თანაც, თამაში არ იქნება, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ დაგვაკლდეს. სლოვენიელებთან და ბერძნებთან სულაც ხუთი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დავრჩით.

— თქვენი გუნდიდან ვის გამოყოფდით?

— პირველ ყოვლისა, მეკარე კოლინკოს, რომელმაც პენალტიც აიღო და რაღაც წარმოუდგენელი ბურთებიც მოიგერია. ლობანოვსმა და ბაბიჩევსმა კი მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს. კოლინკოსთან ერთად მატჩის ბედი მათაც გადაწყვიტეს. მხოლოდ ის ვერ ვაპატიე ლობანოვსს, თამაშამდე ხუთი წუთით ადრე ბერძენთა მეკარესთან პირისპირ რომ დარჩა და შორიდან დარტყმული ძელს მოახვედრა.

— ანდრო კიურჯიევს თუ ესაუბრეთ?

— როგორ არა. თამაშამდე ერთი ოცი წუთი არ მომშორებია. ბერძნები ლამის ჭკუიდან შეიშალნენ, ეტყობა, ფიქრობდნენ, ლატვიელ მწვრთნელთან რა საერთო აქვსო. ძალიან თბილად მომიკითხა.

— ახლა რა გეგმები გაქვთ?

— 23 ივნისს ბრაზილიაში მივემგზავრებით, როგორც მითხრეს, მათ ეროვნულ გუნდს მივუწვევივართ. თუმცა იმას ვერ გეტყვით, ბრაზილიელები როგორი შემადგენლობით დგებიან.

— ბატონო რეზო, მეტს აღარ შეგაწუხებთ, კიდევ ერთხელ გილოცავთ.

— გმადლობთ. ისე რა გეგონათ, ბერძნებს თბილისში ბოლო წუთებზე მოგებას შევარჩენდი? ხომ ვიყარე ქართველების ჯავრი...

ძოგა ინასარიძე

ლოკომოტივი არ ჩქარობს...

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მაჯისცემა პლეი ოფებითღა იგრძნობა. მათში კი მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი ქართული გუნდები მონაწილეობენ. მეათე ეროვნული სულ ახლახან მორჩა, ამიტომ ქართული გუნდების უმეტესობას ფეხბურთელები არდადეგებზე ჰყავს გაშვებული და მომავალი სეზონისთვის მზადებას მოგვიანებით, დაახლოებით ივნისის შუაგულში შეუდგებიან.

თბილისის „ლოკომოტივიც“ ისვენებს. თუმცა, წლეულს რკინიგზელებს ევროდებიუტი ელოდებათ — მეათე ეროვნულის მესამეობამ მათ უეფას თასის საგზური მისცათ და სავარაუდოა, რომ თემურ მახარაძისა და მისი რაზმის არდადეგები დიდხანს არ გასტანს.

„ლოკომოტივის“ სამომავლო გეგმების შესახებ კონკრეტულად გუნდის ხელმძღვანელობა ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება შეგულებულ ფეხბურთელებთან. მოლაპარაკებას აწარმოებს როგორც მახარაძე, ასევე გუნდის მესვეურები და შეკრების დასაწყისისთვის „ლოკომოტივის“ მაისურას კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოირგებს.

— ეს არის და ეს, სხვა მხრივ ჩვენთან ყველაფერი ძველებურადაა — განაცხადა „სარბიელთან“ საუბარში „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ.

ლუკა თალაკვაძე

აქედანა და შენამდე: ცემენტარიცა და შავი ზღვა

ფლვევანდელი ინტერტოტოს თასის გათამაშების დაწყებამდე ერთ კვრაზე ოდნავ მეტი დარჩა. „კოლხეთმა“ უკვე დაასრულა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ინტერტოტოს შეხვედრებში მიიღებენ, მონაწილეობას. კარგად მოგეხსენებათ, ფოთელებს პირველ ეტაპზე მაკედონიის „ცემენტარიცას“ ბარიერის გადალახვა მოუწევთ. წარმატების შემთხვევაში ზღვისპირლებს რუსეთის „როსტსელმაშთან“ ელით ორრაუნდიანი ბრძოლა.

წესით, ფოთელებმა უნდა შეძლონ ორი შეხვედრის ჯამში მაკედონიელთა დამარცხება. თანაც „კოლხეთი“ პირველ მატჩს სტუმრად გამართავს, ეს კი სათასო გათამაშებისას ყოველთვის ოდნავ უპირატესობას ანიჭებს იმ გუნდს, რომელსაც საპასუხო შეხვედრის ჩატარება შინაურ კედლებში უწევს.

რაც შეეხება დონის როსტოვის „როსტსელმაშს“, რომელიც ინტერტოტოს გათამაშებაში პირდაპირ მეორე ეტაპიდან ჩაერთვება, როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, სერგეი ანდრეევის საუბრიდან ჩანს, დონისპირელები ჯერჯერობით მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერტოტოზე გამოსვლას.

რუსული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ანდრეევი ცალსახად აცხადებს, რომ „როსტსელმაშს“ ამ ევროტურნირისთვის არავითარი საგანგებო მოსამზადებელი პროგრამა არ გააჩნია და იგი უდიდეს ყურადღებას უახლოეს საჩემპიონატო შეხვედრებისთვის მზადებას უთმობს. თუმცა არ უარყოფს, რომ შარშანდელ სეზონში მისი გუნდი მიზანმიმართულად იბრძოდა ინტეტოტოს საგზურის მოსაპოვებლად და საწადელის ასრულებით აშკარად კმაყოფილია. ანდრეევს დონისპირელი გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი აქვს. ამ ფაქტორს თითქმის გადამწყვეტად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, „როსტსელმაში“ დაინტერესებულია იმით, რომ სტადიონს კოსმეტიკური სამუშაოები ჩაუტარდეს, უეფასგან დადებითი შეფასება მიიღოს და შინ უმასპინძლოს მეტოქეს.

სერგეი ანდრეევი მომავალი შესაძლო მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის სიმცირეს უჩივის, მაგრამ იმედიანადაა, ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვს მაკედონიური და ქართული კლუბების შესასწავლადო. ასე რომ, არაა გამორიცხული, „კოლხეთი“ — „ცემენტარიცას“ ფოთში გასამართ საპასუხო შეხვედრას „როსტსელმაშის“ მთავარი მწვრთნელი დასაზვერად დაესწროს. ანაც გუნდის დესანტი გადმოსხას კოლხეთის დაბლობში. როსტოვსა და ფოთს ხომ შავი ზღვა აერთიანებთ. ზღვაში კი სწრაფმავალ გემები და კატარღები დაცურავენ. წყალის ტრანსპორტი ხომ ყველაზე იაფია პლანეტაზე...

ხვიჩა სანიკიძე

ფედერაცია დღეს მოითხოვს

დღეს შესაძლოა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშს ყადაღა მოეხსნას. საქმე ისაა, რომ ფედერაციის უფროსობა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ზემოთქმულ უწყებათა რამდენიმე თანამშრომელი 3 საათზე სახელმწიფო კანცელარიაში არიან მიწვეულნი სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თედო ისაკაძესთან შესახვედრად.

ვნახოთ, ფედერაციას ხელისუფლებთან თავიანთი სიტყვა აქვთ სათქმელი, პირველ ყოვლისა, ისინი ბიუჯეტში დავალიანების რესტრუქტურიზაციას ითხოვენ.

ძოგა ინასარიძე

გორდამ ამოისუნთქა

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ რუსთავის „გორდას“ ქალაქის ხელმძღვანელობამ ხელი წააშველა და სულმოსათქმელად ქალაქის ბაზრის მოგების 40 პროცენტი გამოუყო. „სტამბოლის ბაზრად“ წოდებული ეს ობიექტი რომ ნამდვილად რენტაბელურია, თქვენც დარწმუნდებით — რამდენიმე დღის წინ „გორდას“ ფეხბურთელებმა ხელფასის სახით 50-50 ლარი მიიღეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სტამბოლის ბაზართან“ გაფორმებული ხელშეკრულება 1 ივნისიდან ამოქმედდა, გამოდის, რომ „გორდას“ საარსებო მინიმუმის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს.

მართალია, გუნდის მწვრთნელები და ფეხბურთელები დღეისთვის შვებულებაში იმყოფებიან, მაგრამ დაუზუსტებელი ინფორმაციით ამ კლუბში ძირეული ცვლილებებია მოსალოდნელი. ჰოდა, დანარჩენიც შემდეგ იყოს, როცა ყველაფერი გაირკვევა.

პაატა ძვანტალიანი

ზირაქიშვილს დინამო ელის

ამ ცოტა ხნის წინ „სარბიელი“ საქართველოს უცვლელი ჩემპიონის, თბილისის „დინამოში“ მოსალოდნელ ცვლილებებზე გაუწყებდათ. ისიც გაცნობეთ, რომ იოჰან ბოსკამპს „დინამოში“ ზაზა ზირაქიშვილის, დავით ჭიჭვეიშვილის, კახა სიდამონიძის მიწვევა სურს და ორი განათხოვრებული ფეხბურთელის — „ბათუმიდან“ ლევან ხომერიკის და „ლოკომოტივიდან“ დავით მუჯირის დაბრუნება. თუ რამე სასწაული არ მოხდა, ზემოხსენებული ხუთეული, ალბათ, მართლაც მოირგებს „დინამოს“ მაისურას.

გუშინ „სარბიელი“ ფაქტობრივად უკვე დინამოელ ზაზა ზირაქიშვილს დაუკავშირდა:

— 90 პროცენტით გადაწყვეტილია ჩემი „დინამოში“ თამაში. ჩემპიონის ხელმძღვანელობასთან საუბარი კი მქონდა, მაგრამ პირობებზე ჯერ არაფერი გვითქვამს. როგორც ბოსკამპმა დაგვიბარა, გუნდი 17 ივნისს შეიკრიბება. ამის მერე დავჯდებით და პირობებზეც დავილაპარაკებთ. რამდენადაც ვიცი, „დინამო“ უცხოურ შეკრებაზე 3 ივლისს წავა გერმანიასა და ჰოლანდიაში, მეც თან გავყვები გუნდს. ბულგარული „ლევსკი სპარტაკის“ ვარიანტი გამოირიცხა. ბულგარელებს ჩემი გუნდში აყვანა ახლაც სურთ, მაგრამ უარი შევუთვალე, აქ მირჩევნია თამაში, თანაც ჩემპიონთა ლიგა გველის.

გიორგი ვაშაკიძე

ზაზას გზაც რომში მიდის?

ᲐᲮ ᲣᲙᲕᲔ საქართველოს №1 ფეხბურთელადქმნილი ზაზა ჯანაშია მარტო რუსეთში ან საქართველოში როდი მოსწონთ — მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდით სერია A-ში მოსაქმოსნე მენეჯერებიც სერიოზულად დაინტერესდნენ.

საერთოდ, რომის „ლაციოსთან“ წარმატებით ჩატარებული ნახევარფინალური შეხვედრების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს იტალიელებმა სხვა თვალით დაუწყეს ცქერა. ამიტომაც ბევრს არ უნდა გაკვირვებოდა, როცა საუბარი მეკარე რუსლან ნიგმატულინის — „ლაციოში“, ხოლო მცველ სერგეი გურენკოს — „რომაში“ გადაბარგებაზე წავიდა.

რაც შეეხება ზაზა ჯანაშიას, მასზე ყველაზე კომპეტენტურად „ლოკომოტივის“ მწვრთნელი იური სიომინი იძლევა ინფორმაციას — ზაზა ჯანაშიათი დაინტერესებულია იტალიაში მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მენეჯერი, რომელიც თავისი ხალხის საშუალებით შეეცადა, დალაპარაკებოდა ქართველ თავდამსხმელს და მიეღო თანხმობა თანამშრომლობაზე. გარკვეული მიზეზების გამო ეს გარიგება არ შედგა, მაგრამ თავად ფაქტი, რომ ჯანაშია მეტად და მეტად აინტერესებთ, საყურადღებოა. ისე თუ საქმე ამგვარად გაგრძელდა, მალე ჩემი გუნდის ნახევარი იტალიურ კალჩიოს აგენტების ნემსკავზე წამოეგება.

სიომინს თავისი უჭირს, მაგრამ ჯანაშია თუ სერია A-ში ითამაშებს, არა გვგონია, ამით რამე დაშავდეს.

ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲒᲐᲓᲐᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲑᲔᲯᲐᲜᲘᲫᲔ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ სეზონი „ბათუმისთვის“ ერთობ დანავსული გამოდგა — შარშან მოპოვებული ყველა ტიტული დაკარგა. IX ჩემპიონატში მიღწეული შედეგი — მეორე ადგილი არათუ ვერ გაუმჯობესა, საერთოდაც მეხუთე საფეხურზე ჩამოქვეითდა. საქართველოს თასი ვერ შეინარჩუნა, ჩვენში სათასო გუნდად ცნობილ ბათუმელებს თბილისურმა „ლოკომოტივმა“ მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანებით აჯობა. ზღვისპირელებს ქვეყნის სუპერთასის დათმობაც მოუწევთ, ამ ტიტულს წლეულს თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ შეეთამაშებიან. ეს კარგი, მაგრამ ბათუმელთათვის ყველაზე საწუხარი ისაა, რომ ევროთასების მიღმა დარჩნენ.

„ბათუმი“ ამბიციური გუნდია, ზღვისპირელები ყოველივე ამას ვერ ეგუებიან და თამამად აცხადებენ, ბევრს რომ ჰგონია, მასე არ არისო.

„ბათუმი“ 15 ივნისის მოლოდინშია, სწორედ ამ დღეს გაირკვევა ყველაფერი. ოთხ დღეში ზღვისპირელთა კლუბის შეკრება ეწყობა. გუნდის ავანჩავანის შესახებ გუშინ „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს შევეხმიანეთ:

— 15 ივნისს ვიკრიბებით. ყველაფერი ამ დღეს გაირკვევა. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდი ლევან ხომერიკმა დატოვა. მოგეხსენებათ, იგი „დინამომ“ გვათხოვა სეზონის ბოლომდე. ჩემპიონატი მორჩა და ისიც წავიდა. ალბათ, ისევ „დინამოში“ დაბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, მომავალი სეზონისთვის ჩვენთან არ იქნება. ფეხბურთს გამოეთხოვა გამცდილი ნახევარმცველი როსტომ თორღაშვილი. სხვა მხრივ გუნდში ჯერჯერობით არაფერი ცვლილება არ არის. 15-ში უნდა ჩამოვიდეს იტალიელი მწვრთნელი მარჩელო მანჩინი.

— იგი მართლა მანჩინია?

— რამდენადაც ვიცი, ასეა. ჩვენმა ვიცე-პრეზიდენტმა მარკო კალისტრალემაც დამიდასტურა, სერია C-ს გუნდს წვრთნის, სამწუხაროდ, გუნდის სახელწოდება არ მახსოვს. სხვათა შორის, ამ დღეს გუნდის კრებაზე შოთა ჭეიშვილიც იქნება. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გაირკვევა.

— იმ შემთხვევაში, თუ მანჩინი მწვრთნელად დაინიშნა, უცხოელებს ხომ არ უნდა ველოდეთ?

— რა ვიცი, ეს უკვე მისი გადასაწყვეტია. შესაძლოა ფინანსური პრობლემები შეგვექმნას, თუ უცხოელი ფეხბურთელები ჩამოიყვანა, ალბათ მაინც მოგვარდება.

— ნიგერიელი უჩე უვაკვე ისევ გუნდშია?

— ჯერჯერობით კი. დარჩება თუ არა, არ ვიცი, ეს თავად მასზეა დამოკიდებული. თუ სურვილი აქვს, იქნებ დავტოვოთ, ვნახოთ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲫᲔ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲚᲘᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

როსტომ თორღაშვილი

რას იტევს ფეხბურთელის გული?

ᲓᲦᲔᲡ ყველა ჩვენგანს, ფეხბურთის დამფასებლებსა და ამ სახეობის ძველსა თუ ახალ ქომაგებს, გვაწუხებს უსიამოვნო შეგრძნება, აშკარა დისკომფორტი იმის გამო, რომ აღარც თბილისის „დინამოა“ „ის“ „დინამო“ და ვერც საქართველოს ნაკრები თამაშობს ისე, ჩვენს ფეხბურთს რომ ეკადრება.

ამ წერილში, როგორც სპორტული მედიცინის პროფესიონალმა, მინდა ვისაუბრო (უფრო სწორად, კრიტიკულად შევაფასო) ჩვენი ფეხბურთელების საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების თაობაზე, ვინაიდან სპორტსმენთა მზაობის ამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტთა სათანადო დონე-ხარისხის გარეშე თანამედროვე ფეხბურთში მცირედი წარმატებაც კი ვერ მიიღწევა.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: სადღეისოდ ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა (ნაკრების წევრთა ჩათვლით) შორს არის თანამედროვე ფეხბურთისთვის აუცილებელი ყოველმხრივი ფიზიკური მზადყოფნისგან, მათ არა აქვთ მაღალხარისხოვანი ფიზიკური მუშაობის უნარი. ეს ყოველივე უცხადესად დაგვიდასტურა ჩვენი ნაკრების ამასწინანდელმა მატჩებმა ნორვეგიელებთან და ბერძნებთან.

სპორტულ მედიკოსთა კვლევის შედეგების თანახმად, თუ მაღალი კლასის სპორტსმენებს (მათ შორის ფეხბურთელებსაც) ტესტირებისას არ აღმოაჩნდათ ფიზიკური მუშაობის უნარის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები, ისინი ვერ შეძლებენ მთელი მატჩის მანძილზე მაღალ ტემპში თამაშს, ბრძოლას. თუ როგორი უნდა იყოს ფეხბურთელის ფიზიკური მუშაობის უნარი, ეს ყველა ფეხბურთის მოყვარულმა ნახა შარშანდელ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ გუნდში მხოლოდ 1-3 ფეხბურთელს გააჩნია ფიზიკური მუშაობის მაღალი ხარისხის უნარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ხარჯზე შესაძლო იყოს წარმატებათა სისტემატურად მიღწევა. ხშირად ასეც კი ხდება: მოთამაშეთა ფიზიკური მუშაობის განსხვავებული უნარი უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს კარგად მომზადებულ მოთამაშეებზე, აქვეითებს მათ ფიზიკურ შრომისუნარიანობას.

თანამედროვე დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს მან, ვინც გამოირჩევა მაღალხარისხოვანი ფიზიკური მომზადებით, ამიტომ თითოეულ გუნდში, მით უმეტეს, ნაკრებში, უნდა შედიოდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც ერთმანეთთან შეთამაშებასთან ერთად ფიზიკურად უაღრესად მომზადებულ-განვითარებულნი არიან.

სამწუხაროდ, ჩვენში ფეხბურთის პრობლემებზე მსჯელობისას არასოდეს ან ძალზე იშვიათად მახვილდება ყურადღება ფეხბურთელთა ფიზიკური მუშაობის უნარის ამსახველ მონაცემებზე. ბოლო წლებში მახსოვს მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც დავით ყიფიანმა, იმჟამად თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა, პრესკონფერენციაზე ისაუბრა ამიმ თაობაზე. ეს საკითხი კი დღეს ასე უნდა განიხილებოდეს:

1. თუ სტეპ-ტესტის მონაცემები ფეხბურთელებს შედარებით დაბალი აღმოაჩნდათ, აუცილებელია ინტენსიური წვრთნით მათი ფიზიკური მუშაობის უნარის (ფიზიკური მომზადების) სათანადო კონდიციამდე ამაღლება-გაუმჯობესება. 2. შესაძლოა, ისეც მოხდეს, წვრთნამ ვერ აამაღლოს ფეხბურთელის ფიზიკური მუშაობის უნარი. მაშინ უნდა ვეძიოთ მიზეზი (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიოლოგია, ფუნქციური შესაძლელობანი და სხვა), რით არის ეს განპირობებული. 3. შესაძლოა, ფეხბურთელს ჰქონდეს ფიზიკური მუშაობის სანიმუშო უნარი, მაგრამ თამაშისას იგი შეგნებულად, განზრახ, სისტემატურად არ ავლენდეს მას, ე.ი. მთელი შესაძლებლობებით არ ატარებდეს მატჩს. ეს უკანასკნელი შემთხვევა, ცხადია, ძალზე იშვიათია.

ცნობილია, რომ სპორტსმენის ფიზიკური მუშაობის მაღალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ადამიანის გულის მოცულობასთან, რაც რენტგენოლოგიური ან ეხოლოგიური (სხივური დიაგნოსიტკის) მეთოდებით დგინდება. სამწუხაროდ, ასეთი კომპლექსური გამოკვლევა ჩვენს წამყვან სპორტსმენებს, მათ შორის ფეხბურთელებსაც, არ ან იშვიათად თუ უტარდებათ. ერთ ამბავს გავიხსენებ საბჭოთა სპორტის ისტორიიდან: საბჭოთა ციგურებით მორბენლებს სკანდინავიელებმა მოწინავე პოზიციები დაათმობინეს. ამან ერთობ ააღელვა საბჭოთა სპორტის ფუნქციონერები, მაგრამ ვერც მწვრთნელ-სპეციალისტები და ვერც ექიმები ვერ მიხვდნენ, რა იყო უეცარი წარუმატებლობის მიზეზი. ამ საქმეში საბჭოელებს დამხმარედ მოევლინა ცნობილი გერმანელი რენტგენოლოგი, სპორტული მედიცინის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი ჰ. რეინდელი. მისი რჩევით, უნდა შესწავლილიყო ყველა ციგურებით მორბენლის გულის მოცულობა, რაც მაღალი კლასის იმ სპორტსმენებს, ვისაც წვრთნა უპირატესად გამძლეობის მიმართულებით უხდეოდა, 1000-1200 და მეტი მლ-ი (ნორმა 500-700-ია) უნდა ჰქონოდა. შემოწმებულ საბჭოთა ციგურებით მორბენლების უმეტესობას გულის მოცულობის დაბალი მაჩვენებლები აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში სპორტსმენის ფიზიკური მუშაობის უნარის შემდგომი გაუმჯობესება წვრთნის საშუალებით ერთობ რთული და პრობლემატურია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტუალურია ასეთი კითხვის დასმა: იქნებ ჩვენს წამყვან ფეხბურთელებს ფიზიოლოგიურად არ გააჩნიათ ფიზიკური მუშაობის მაღალი უნარის გამომუშავების შესაძლებლობა, ანაც, მათი წვრთნა არასწორად ტარდება. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ჩვენს ფეხბურთელებს არ შეუძლიათ ორი ტაიმის განმავლობაში შემტევი ფეხბურთის და პრესინგის თამაში. მაგალითი? თუნდაც ნორვეგიელებთან მატჩი. ამ საკითხში დროული გარკვევა აუცილებელია, თორემ მერე გვიან იქნება.

ყველანაირი საქმიანობა (მოქმედება) რთული ნერვული (პირობით-რეფლექსური) მექანიზმებით ხორციელდება, რაც სისტემატური და ხანგრძლივი წვრთნით მიიღწევა. ბუნებრივია, დაოსტატება ფეხბურთშიც ამ გზით ხდება. ტექნიკურ-ტაქტიკური ამოცანა-ვარიანტები მათ მრავალჯერ გამეორებას და დახვეწას მოითხოვს. ბევრს თავად უნახავს, ბევრსაც გაუგია მიხეილ მესხის უცნობილესი და განუმეორებელი ფინტი. ერთხელ მიშასთან საუბრისას მას ასეთი რამ ვუთხარი — ნებისმიერი ფინტის თუ დარტყმის მაღალ დონეზე ასათვისებლად მისი ლამის მილიონჯერ გამეორებაა-მეთქი საჭირო. შემდეგში დავაკვირდი და ვნახე, რომ ეს დიდებული ფეხბურთელი სავარჯიშო კედელთან საათობით ამუშავებდა მის „საფირმო“, ფანტასტიკურ ფინტს, იმ ფინტს, რომელსაც ფინტებში ბადალი არ გააჩნია. არ მინდა, ისე გამიგონ, თითქოს სწორედ ჩემი მეშვეობით მოხდა მესხის ფინტის დახვეწა. მიშას ჩვენს საუბრამდე კარგა ხნით ადრე უზადოდ ჰქონდა ათვისებული მეტოქის მოტყუების ეს უიშვიათესი ვარიანტი. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ თვით ღვთისგან ასე უხვად ნიჭმიმადლებული, მსოფლიო მნიშვნელობის ფეხბურთელიც კი მუხლჩაუხრელი, ცხრა პირი ოფლის ფასი შრომით ცდილობდა სრულყოფის მიღწევას.

შესაძლოა, ჩვენი ფეხბურთელების ასეთი უნიათო, აუტსაიდერული თამაში მათი არასათანადო ფსიქოლოგიური მომზადებით იყოს განპირობებული (დიდის მობოდიშებით იმასაც გავიხსენებ, რომ რუსები ამისთანა თამაშს „მანდრაჟს“ უწოდებენ, ზოგადად კი ასეთ მდგომარეობას „სასტარტო ციებ-ცხელება“ ჰქვია). როცა ასეთი, არასასურველი ვითარებაა, მაშინ აუცილებელია ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდები. სწორედ დროულია იმის კითხვა, სად გაქრა ჩვენი ფეხბურთელების ჟინიანი თამაში, მათი იმპროვიზაციის უნარი მეტოქის კართან... თანაც: მეორე ტაიმია და, გუნდს არ ეტყობა სათანადოდ დამოძღვრა, მწვრთნელის ხელი, ვითარების გამოსწორების შესაძლებლობა...

როგორც ამ საქმეში არცთუ მცირე ხნით მოსაქმიანე კაცმა, მინდა ვურჩიო ჩვენს მწვრთნელებს: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ მომენტს, ნუ აფიქრებინებენ სტადიონზე თავშეყრილ, აწ არცთუ მრავალრიცხოვან, მაგრამ არცთუ ცოტას მცოდნე მაყურებელს, მწვრთნელი დილეტანტებიაო.

ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის გამოკითხვა

„სარბიელის“ შარშანდელ გამოკითხვაში მონაწილეობა 47-მა ჟურნალისტმა მიიღო, წლეულს კი მათ რიცხვს ორიც დაემატა.

წლეულსაც, შარშანდელის მსგავსად, გამოკითხვა ორ ნომინაციაში ჩატარდა: საქართველოს 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეც გამოვლინდა..

პირველ, ანუ უმთავრეს რეფერენდუმში რესპონდენტებს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა დასახელებაც შეეძლოთ — ამ უფლებით ერთადერთმა გამოკითხულმა ისარგებლა.

ჟურნალისტებს ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად უცხოელი მოთამაშის არჩევის უფლებაც ჰქონდათ, მაგრამ რაკი საქართველოში ერთადერთმა ლეგიონერმა, ნიგერიელმა უჩე უვაკვემ ითამაშა და მხოლოდ ერთი ტაიმი, იგი ცხადია, არავის გახსენებია.

პირველადაა, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში წინა რეფერენდუმის გამარჯვებული რომ ვერ მოხვდა. შოთა არველაძე წლეულს ტრავმებმა დატანჯა და ესეც ნორმალურია, რომ წარსულის დამსახურებისთვის შარშანდელი ლაურეატი წლეულს არავის დაუსახელებია.

თვალში საცემია ორივე გამოკითხვის გამარჯვებულის და მეორეთა პროგრესი. ზაზა ჯანაშია შანშან მეოთხე იყო, კალაძე მეათე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფდა, რატი ალექსიძე მეჩვიდმეტე გახლდათ, დავით ჯანაშია კი პირველად დაასახელეს. საფეხურით ჩაინაცვლა შარშანდელმა მეორემ, თემურ ქეცბაიამ, მიხეილ აშვეთიამ კი, პირიქით, აინაცვლა.

ქულათა დარიცხვის სისტემა ძველებურია: პირველი ადგილისთვის 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1

სარბიელის წინა ექვსი გამოკითხვის გამარჯვებულები

1992-93 გიორგი ქინქლაძე	1993-94 შოთა არველაძე
1994-95 აკაკი დეკაძე	1995-96 გიორგი ქინქლაძე
1996-97 თემურ ქეცბაია	1997-98 შოთა არველაძე

საქართველოს 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

			I	II	III	ქულა
1	ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი	32	6	5	183
2	კახა კალაძე	დინამო, კიევი, უკრაინა	6	18	5	89
3	თემურ ქეცბაია	ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი	5	8	8	57
4	ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	3	5	12	42
5	გოჩა ჯამარაული	ციურიხი, შვეიცარია	1	6	3	26
6	გიორგი დემეტრაძე	ალანია, რუსეთი	2	2	4	20
7	ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	—	—	7	7
8	არჩილ არველაძე	ნაკ ბრედა, ჰოლანდია	—	1	1	4
9	გიორგი ნემსაძე	გრასჰოპერი,შვეიცარია; რეჯანა, იტალია	—	1	—	3
	ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი, გერმანია	—	1	—	3
11	ირაკლი გემაზაშვილი	არსენალი, თბილისი; ურალანი, რუსეთი	—	—	1	1
	დავით ჯანაშია	ტორპედო, ქუთაისი	—	—	1	1

საქართველოს X ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

			I	II	III	ქულა
1	რატი ალექსიძე	დინამო	25	11	4	162
2	დავით ჯანაშია	ტორპედო	18	17	4	145
3	მიხეილ აშვეთია	დინამო	2	6	10	38
4	ვასილ გიგიაძე	იბერია, სამტრედია	—	2	7	13
5	დავით ჭიჭვეიშვილი	ბათუმი	1	2	—	11
6	ვასილ მაისურაძე	ვიტ ჯორჯია	—	2	1	7
7	ალექსანდრე გოგობერიშვილი	ლოკომოტივი	—	1	3	6
	ვალტერ გუჩუა	დინამო	—	1	3	6
9	დავით ასლანაძე	ტორპედო; სამგურალი	1	—	—	5
	ზაველ ღაღანიძე	კოლხეთი, ფოთი	1	—	—	5
	ჯონი შალამბერიძე	კოლხეთი, ფოთი	1	—	—	5
12	პაატა ბარნოვი	ლოკომოტივი	—	1	2	5
13	გიორგი ბალაშვილი	ლოკომოტივი	—	1	—	3
	გიორგი იმედაძე	ტორპედო	—	1	—	3
	კახა კვეტენაძე	ტორპედო	—	1	—	3
	მიხეილ მაზიაშვილი	ვიტ ჯორჯია	—	1	—	3
	თენგიზ სიჭინავა	ბათუმი	—	1	—	3
18	გიორგი ქორიძე	ლოკომოტივი; ვიტ ჯორჯია	—	—	2	2
19	ალექსანდრე ბურნაძე	გორდა; სამგურალი	—	—	1	1
	ელდარ გვასალია	კოლხეთი, ფოთი	—	—	1	1
	გიორგი დავითნიძე	მერანი	—	—	1	1
	ვარლამ კილასონია	გორდა; ლოკომოტივი	—	—	1	1
	ვალერი კოტორაშვილი	ლოკომოტივი	—	—	1	1
	დავით პეტრიაშვილი	ვიტ ჯორჯია; სამგურალი	—	—	1	1
	მიხეილ ქობულაძე	კოლხეთი, ფოთი	—	—	1	1
	კახა ჩხეტიანი	ტორპედო	—	—	1	1
	ვახტანგ ხვადაგიანი	ტორპედო	—	—	1	1
	ლევან ხომერიკი	დინამო; ბათუმი	—	—	1	1

მიხეილ აბაიშვილი	დრონი
გიო ახვლედიანი	სარბიელი
ილია ბაბუნაშვილი	სარბიელი
დათო ბაკურაძე	პრაიმ-ნიუსი
ბიძინა ბარათაშვილი	ტელევიზია, II არხი
დავით ბერიაშვილი	საფეხბურთო მიმომხილველი
ვახტანგ ბზიკაძე	სარბიელი
აკაკი გვიმრაძე	რეზონანსი
კონსტანტინე გოგიშვილი	სარბიელი
სოლომონ გულისაშვილი	სარბიელი
ბიძინა დარჩია	ტვ-ფაზისი
ლაშა დვალიშვილი	ტელევიზია, I არხი
გია ეჯიბია	ტვ-ფაზისი
გიორგი ვაშაკიძე	სარბიელი
დათო თავართქილაძე	ლელო
გაიოზ თალაკვაძე	სარბიელი
კობა ინასარიძე	სარბიელი
იუზა კაციტაძე	სარბიელი
ფრიდონ კერვალიშვილი	რეზონანსი
მამუკა კვანტალიანი	სარბიელი
პაატა კვანტალიანი	სარბიელი
მამუკა კვარაცხელია	სფფ-ის პრესსამსახური
მერაბ მამულაშვილი	ალია
არმაზ მეტრეველი	ტელევიზია, I არხი
დავით მინაშვილი	რადიო, I არხი
გივი მომცემლიძე	11X11
გოგი მურვანიძე	აჭარის ტელევიზია
ნიკა მჟავანაძე	11X11
ალექსანდრე მჭედლიშვილი	რეზონანსი
დიმა ობოლაძე	რუსთავი-2
ვანო ოქროპირიძე	სარბიელი
თენგიზ პაჭკორია	სპორტ-ექსპრესი, რუსეთი
გია პლატონიშვილი	საქართველოს რესპუბლიკა
ხვიჩა სანიკიძე	სარბიელი
გია ტუხაშვილი	საფეხბურთო მიმომხილველი
ვასილ უდუმაშვილი	სპორტის სიახლენი
ზურაბ უსუფაშვილი	რუსთავი-2
პაატა ყურაშვილი	ფუტბოლი, რუსეთი
რევაზ შენგელია	სფფ-ის პრესსამსახური
დავით ცაბაძე	11X11
სანდრო ცნობილაძე	საქართველოს ხმა
ზაზა წულაძე	სარბიელი
გოგიტა ხორგუაშვილი	ივერია-ექსპრესი
ბესიკ ჯანგავაძე	ივერია-ექსპრესი
გოჩა ჯანაშია	სარბიელი
თემურ ჯაფარიძე	ტელევიზია, I არხი
მიხეილ ჯაში	11X11
ალექსანდრე ჯიბლაძე	რადიო, I არხი
თამუნა ჯიშკარიანი	სარკე

საქართველოს 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელი

კობიაშვილი	ქეცბაია	ზ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	კობიაშვილი
ქეცბაია	ზ. ჯანაშია	კობიაშვილი
ქეცბაია	ზ. ჯანაშია	კალაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
ზ. ჯანაშია	ჯამარაული	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
კალაძე	ზ. ჯანაშია	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	იაშვილი
ზ. ჯანაშია	ნემსაძე	კობიაშვილი
კალაძე	კობიაშვილი	ზ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	ა. არველაძე	კალაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
ქეცბაია	კობიაშვილი	ზ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	კალაძე	კობიაშვილი
კობიაშვილი	კალაძე	ქეცბაია
დემეტრაძე	ქეცბაია	ზ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	დ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	კალაძე	ქეცბაია
ქეცბაია	ჯამარაული	დემეტრაძე
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	კობიაშვილი
კალაძე	კობიაშვილი	ქეცბაია
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
ზ. ჯანაშია	კალაძე	ქეცბაია
ზ. ჯანაშია	კალაძე	დემეტრაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	ჯამარაული
დემეტრაძე	ცქიტიშვილი	გემეზაშვილი
ქეცბაია	ზ. ჯანაშია	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	კალაძე	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	დემეტრაძე	ქეცბაია
ზ. ჯანაშია	კალაძე	ჯამარაული
ზ. ჯანაშია	კალაძე	იაშვილი
ქეცბაია	ჯამარაული	ა. არველაძე
ზ. ჯანაშია	კობიაშვილი	ჯამარაული
ზ. ჯანაშია	ჯამარაული	კალაძე
ზ. ჯანაშია	ქეცბაია	კალაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	დემეტრაძე
ზ. ჯანაშია	ჯამარაული	კობიაშვილი
კალაძე	ზ. ჯანაშია	ქეცბაია
ზ. ჯანაშია	კალაძე	კობიაშვილი
ზ. ჯანაშია	დემეტრაძე	კალაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	დემეტრაძე
ზ. ჯანაშია	კალაძე	ქეცბაია
კობიაშვილი	—	—
ჯამარაული	კობიაშვილი	ზ. ჯანაშია
ზ. ჯანაშია	კალაძე	—
კალაძე	ზ. ჯანაშია	ქეცბაია

საქართველოს X ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

ალექსიძე	იმედაძე	დ. ჯანაშია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	—
დ. ჯანაშია	ალექსიძე	გუჩუა
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ხვადაგიანი
დ. ჯანაშია	ალექსიძე	გუჩუა
აშვეთია	დ. ჯანაშია	ალექსიძე
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ვ. გიგიაძე
დ. ჯანაშია	ჭიჭვეიშვილი	აშვეთია
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ვ. გიგიაძე
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
შალამბერიძე	დ. ჯანაშია	მ. ქობულაძე
ალექსიძე	გოგობერიშვილი	ვ. მაისურაძე
ღაღანიძე	დ. ჯანაშია	ე. გვასალია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	ბურნაძე
ალექსიძე	გუჩუა	გოგობერიშვილი
დ. ჯანაშია	ბალაშვილი	ალექსიძე
ალექსიძე	ბარნოვი	აშვეთია
დ. ჯანაშია	ვ. გიგიაძე	ხომერიკი
დ. ჯანაშია	აშვეთია	ვ. გიგიაძე
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ქორიძე
დ. ჯანაშია	ვ. მაისურაძე	ვ. კილასონია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	ბარნოვი
ალექსიძე	ვ. მაისურაძე	გოგობერიშვილი
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ვ. გიგიაძე
ჭიჭვეიშვილი	სიჭინავა	დ. ჯანაშია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
ასლანაძე	აშვეთია	დავითნიძე
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ქორიძე
დ. ჯანაშია	ალექსიძე	გუჩუა
ალექსიძე	კ. კვეტენაძე	ბარნოვი
დ. ჯანაშია	ვ. გიგიაძე	ალექსიძე
ალექსიძე	აშვეთია	დ. ჯანაშია
აშვეთია	ჭიჭვეიშვილი	გოგობერიშვილი
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
დ. ჯანაშია	აშვეთია	ალექსიძე
ალექსიძე	აშვეთია	დ. ჯანაშია
ალექსიძე	დ. ჯანაშია	ვ. გიგიაძე
ალექსიძე	აშვეთია	ჩხეტიანი
ალექსიძე	მაზიაშვილი	კოტორაშვილი
ალექსიძე	დ. ჯანაშია	აშვეთია
დ. ჯანაშია	ალექსიძე	აშვეთია
დ. ჯანაშია	ალექსიძე	ვ. გიგიაძე
ალექსიძე	—	—
ალექსიძე	დ. ჯანაშია	ვ. გიგიაძე
ალექსიძე	დ. ჯანაშია	—
ალექსიძე	დ. ჯანაშია	პეტრიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი თავის მტერი

მან გვიან დაიწყო ფეხბურთის თამაში. ისე, როგორც ქართველი ბიჭების უმრავლესობა, ჯერ სხვა სპორტის სახეობით იყო გატაცებული. თხუთმეტ წლამდე ჭიდაობდა, მერე კი ფეხბურთისკენ გადაიხარა და... ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელის კარიერაც შედგა.

არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა ზაზა ჯანაშიას საფეხბურთო ბედი, იგი რომ მოსკოვის „ლოკომოტივში“ არ აღმოჩენილიყო. „სამტრედია“ — „ლოკომოტივს“ შორის განხორციელებული ტრანსფერი ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქართული ფეხბურთის დამოუკიდებელი არსებობის მანძილზე.

თავიდანვე გულშემატკივარის სიყვარული დაებედა — მიდი, მარადონა, შენი ჭირიმე — ხშირად გაიგონებდით სამტრედიის სტადიონის ტრიბუნებიდან, არც მოსკოველი ქომაგის უყურადღებობას უჩივის ზაზა — იგი სრულიად რუსეთის პირველობის კოლორიტული ფეხბურთელია.

1999 წელს „სარბიელის“ გამოკითხვაში ჟურნალისტებმა ზაზა ჯანაშია საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჯანაშიამ ჯერ არნახული უპირატესობით მოიგო გამოკითხვა.

ამის შესახებ რომ ვუთხარი, თვალებში შუქი ჩაუდგა. ვინ-ვინ და ფეხბურთში ოდნავ მაინც ჩახედულმა კაცმა იცის — ფეხბურთელისთვის სწორედ ტაში და აღიარებაა მთავარი.

ეს-ესაა, ზაზა ჯანაშიამ (№10) სლოვენიელებს გოლი გაუტანა და მილოცვამდე ყირამალაც მოასწრო

ბადრი ძმელაძის ფოტო

— ზაზა, და მაინც რას ნიშნავს შენთვის, იყო პირველი?

— მთელი ჩემი ცხოვრება პირველობისთვის ვიბრძვი — მინდორზე, ფეხბურთში პირველობისთვის. საქართველოში რომ მეთამაშა და ისე ველიარებინე ხალხს, ამ ფაქტს ამდენ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი, მაგრამ მოსკოვში ვთამაშობ და ჩემთვის ორმაგი დატვირთვა აქვს საქართველოს პირველ ფეხბურთელობას. გაიგებს ხალხი, ნახავს რომ ქართველი ფეხბურთელი ძლიერია და იტყვის, აი, შეხედეთ, რა ძლიერები და კარგები არიან ქართველებიო. ყოველთვის ვცდილობ, ჩვენი ფეხბურთის სახელი ხალხში ღირსეულად გავიტანო — საქართველოში ხომ ფეხბურთიღა დაგვრჩა, რომელსაც ძველი პრესტიჟი ჯერაც შერჩა და რომელსაც უამრავი ადამიანი უყურებს.

რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ. მე ფეხბურთელი ვარ და ტაშისთვის, აღიარებისთვის ვთამაშობ.

— წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა შენთვის, იმდენად კარგად ითამაშე, არა მარტო რუსეთის, იტალიური, ესპანური გუნდების ყურადღებაც მიიპყრე და მაინც გადასვლას არსად ჩქარობ, რა არის ამის მიზეზი?

— მართალია, მიწვევენ, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ მინდა „ლოკომოტივიდან“ წასვლა — ოცდახუთ წლამდე მაინც. არ მინდა წასვლა, იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან მეპატიჟებიან და უარს ვამბობ — უბრალოდ, ჩემით ის გუნდები არ არიან დაინტერესებული, რომლებშიც თამაშს ვისურვებდი. როგორც კი ასეთი გუნდი გამოჩნდება, წუთითაც არ დავფიქრდები — აუცილებლად გადავალ.

პრინციპში, არც „ლოკომოტივია“ მაინცდამაინც ჩემი გაშვებით დაინტერესებული, წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლას ვაპირებთ, ევროთასებზე ისეც გვიწევს გამოსვლა და თუ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, ნამდვილად არსად გამიშვებენ. ან ჩემპიონთა ლიგაზე უკეთეს ადგილას სად უნდა ვითამაშო.

— ჯანაშიას „ლოკომოტივის“ სტადიონზე ძეგლს უდგამენო — ეს ხუმრობით. რუსი ფანების და შენი დამოკიდებულების შესახებაც გვითხარი.

— მე „ლოკომოტივს“ დიდ პატივს ვიმიტომაც ვცემ, რომ მარტო მინდორზე კი არა, მის გარეთაც აწყობილი აქვს საქმე. ერთი სიტყვით, სოლიდური გუნდია. მას თავისი გულშემატკივარი ჰყავს, რომელიც გუნდს ყურადღებას არ აკლებს და ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, როცა ეს ხალხი ლიდერად მთვლის და თამაშის დროს ჩემი გვარით სკანდირებს.

გულშემატკივრის ყურადღება ყოველთვის განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებდა.

— „ლოკომოტივი“ თასების თასის ნახევარფინალამდე მივიდა, იქ კი რომის „ლაციოსთან“ მხოლოდ თანაბარ ბრძოლაში დამარცხდით, არც ჰქვია დამარცხება — ორი ფრე ითამაშეთ. კომპეტენტური ხალხი ამბობს, ჯანაშიამ გუნდი ნახევარფინალამდე მარტომ ათრიაო, „ლაციოს“ კარში გატანილ გოლს კი რუსულმა პრესამ სულაც ფანტასტიკური უწოდა.

— სეზონი მართლა კარგი გამოგვივიდა. ეს მარტო ჩემი არა — მწვრთნელის, თანაგუნდელების დამსახურებაა. „ლაციოს“ კარში გატანილი გოლი კი მერეც ხშირად დამიტრიალებია გონებაში. როცა ბურთს მივდევდი, გადაწყვეტილი კი მქონდა ტრიალში დარტყმა, მაგრამ ამასაც ხომ უნდოდა შესრულება. გოლი მაინც გავიდა და, ეტყობა, კარგად შევასრულე, რახან ასე მოხდა. გოლზე მეტად ის გაუკვირდათ, ამსისხოა ჯანაშია და როგორ მოტრიალდაო.

მე ბედს, ყისმათს დიდ მნიშვნელობას ვაძლევ და, ეტყობა, ესეც ბედი იყო.

— ზაზა, ყველა ნიჭიერი თავისთავად უცნაურიცაა. შენს უცნაურობაზეც ბევრს ლაპარაკობს ხალხი. როგორ თვლი, რამდენად უჩვეულო ხასიათის ხარ და რამდენად გიშლის ეს ხელს ფეხბურთში?

— ჩემს ფეხბურთს და ფეხბურთელობას არაფერი უშლის ხელს. სხვა საქმეა, რომ მე, ზაზა ჯანაშია, ვარ ჩემი თავის მტერი. დაახლოებით ათი წელიწადია, სისტემატურად ვარღვევ დისციპლინას, მაგრამ ეს თვითმიზნურად არ მომდის — შეიძლება დავაგვიანო, რეჟიმი დავარღვიო, მაგრამ გავალ მოედანზე და ჩემს საქმეს გავაკეთებ. ფეხბურთში ზაზა ჯანაშია ალალი, მართალი კაცია — მინდორზე ბოლომდე იხარჯება. თავიდან ვერც იური სიომინი ეგუებოდა ჩემს საქციელს. მაჯარიმებდა, ყველა ზომას იღებდა, რათა მოვერჯულებინე, მაგრამ არაფერი გაუვიდა და შეეგუა ჩემს უდისციპლინობას. სხვანაირად მართლა არ შემიძლია, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მინდორზე, ფეხბურთში ზაზა ჯანაშია ბოლომდე იხარჯება, და თავის საქმესაც ბოლომდე აკეთებს.

— თუ გიფიქრია იმ ნაკლის გამოსწორებაზე. აი, კაცი რომ ადგება დილას და იტყვის, დღეიდან ამას აღარ გავაკეთებ...

— ვინ იცის, რამდენჯერ. ხშირად მითქამს, აღარ დავარღვევ, არ დავაგვიანებ და სხვა ამგვარები, მაგრამ მალე მავიწყდება, ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ვერაფრით გადავეჩვიე.

— ილაპარაკო ზაზა ჯანაშიაზე და არ ახსენო იური სიომინი, უმადური საქმეა, მოდი სიომინის პიროვნებაზეც გვესაუბრე.

— ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მოითმენდა იმას, რაც სიომინმა აქამდე მომითმინა. მაგრამ აქ მეორე საკითხიცაა — მას ვჭირდებოდი, მისი გუნდისთვის ვიყავი საჭირო და ნაწილობრივ ამიტომაც ითმენდა. სიომინი გაგებული კაცია. სხვა, ნაკლებად გაგებული მწვრთნელი, ხელს ჩაიქნევდა და გუნდიდან გამიშვებდა. სიომინმა ასე არ გააკეთა და ჩემი დიდი პატივისცემაც დაიმსახურა.

არა, მართლა სხვანაირი კაცია, ყველაფერი იცის და ყველაფერი ესმის — თეთრიც, შავიც, ჟღალიც. თეთრის და შავის გარჩევა ვისაც შეუძლია, იმ ხალხს მე პატივს ვცემ. აი, თუნდაც, ნაკრების მწვრთნელთან კონფლიქტი — იური პავლოვიჩი ამას რომ გაიგებს, პირდაპირ კი არ გამომიტანს განაჩენს, დაჯდება, იფიქრებს, დამელაპარაკება, მართალს გადაწყვეტს და რეაქციასაც მერე გააკეთებს.

კაი კაცია სიომინი.

— ნაკრების მწვრთნელთან კონფლიქტი თვითონ ახსენე...

— მე არავის მინდა ვაწყენინო და ცუდი ვაკადრო, მაგრამ ამ ახალი მწვრთნელის არ მესმის. გასაგებია, რომ ახალი კაცია, თავისი პრინციპები გააჩნია, მაგრამ ასე ცალმხრივადაც არ შეიძლება. მაგისთვის ემოციაზე მაღლა გუნდის ინტერესები უნდა იდგეს. კი, მართალია, დავაგვიანე, მაგრამ ასე, ერთი ხელის მოსმით გუნდიდან გაგდება... ცოტა გასაკვირია.

მწვრთნელს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საქართველოს ნაკრებს ვჭირდები. დროთა განმავლობაში კი მასთან ურთიერთობასაც მოვაწესრიგებდი.

— ერთსაც შეგეკითხები რეჟიმზე და დისციპლინაზე და ამით მოვრჩები. ზაზა ჯანაშიაზე ამბობენ, გართობა უყვარსო, ღვინოცო, ქალებიცო...

— გართობით ვერთობი, როგორ არა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოვიგებთ. მაგალითად, „ლაციოსთან“ ფრის შემდეგ მთელი გუნდი წავედით საქეიფოდ. ისე, ხშირად ვჯდებით-ხოლმე ხუთი-ექვსი ბიჭი.

— რომელი სასმელი გიყვარს?

— ღვინოს ვსვამ. ღვინო სისხლში მიდის და ენერგიის აღდგენაში მეხმარება. უარს იშვიათად ვამბობ, მინდორზე მაინც არაფერი მეტყობა — ჩემი ჯანი და სხეული იტანს. არც საჭმელებში ვიზღუდავ თავს. ჩვენებური საცივი, ხაჭაპური...

— ზაზა, ფეხბურთელებს საშუალოზე დიდი შემოსავალი აქვთ, განსაკუთრებით ვარსკვლავებს. ბევრი მათგანი ბიზნესშიც ცდისხოლმე ბედს. შენ ხომ არ გიფიქრია ამაზე, ან მენეჯერი ხომ გყავს?

— მე ჯერჯერობით ფულზე არ ვფიქრობ და ნაკლებადაც მაწუხებს ეს ფიქრი. მთავარია, ფეხბურთი ვითამაშო და ხალხში სახელი მქონდეს. რაც შეეხებათ ამ მენეჯერებს და მათგვარ ხალხს, არ მიყვარს მათთან საქმის დაჭერა — ჩემი თავის უფროსი მე ვარ და არავის მივცემ უფლებას, ჩემს საქმეებში იჩიჩნოს. ჯერჯერობით ერთად ვართ მე, ფეხბურთი, სიომინი და რაც ფეხბურთის გარეთ მჭირდება, ყველაფერს იური პავლოვიჩი აგვარებს.

— სიომინის სახელს იმდენად ხშირად ახსენებ, ერთსაც შეგეკითხები, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მისთვის არ შეგიტყობინებია და რაიმე მოლაპარაკება წამოგიწყია. ვთქვათ, სხვა გუნდში გადასვლაზე...

— ასეთი რამე არ მომხდარა და არც მოხდება. არ არსებობს კაცი, ვისთვისაც მე მეღალატოს. მე რომ იური პავლოვიჩისგან ფარულად ვინმესთან მოლაპარაკებები წამოვიწყო, ეს სწორედაც რომ ღალატი იქნება — მწვრთნელის, გუნდის ღალატი. არ მინდა, უკვე გითხარით — ზაზა ჯანაშია ფეხბურთში მართალი კაცია.

— მკითხველს ყველაფერთან ერთად ცნობილი ფეხბურთელების გატაცებებიც აინტერესებს. განსაკუთრებით რა გიყვარს ფეხბურთის გარდა?

— დღეში ორჯერ ვვარჯიშობ, დაახლოებით ოთხი-ექვსი საათი, ამას თავისი მიაქვს და როცა საფეხბურთო სეზონია, ჩემი ჰობისთვის, ნადირობისთვის, ცოტა დრო მრჩება. განსაკუთრებით საქართველოში მიყვარს ნადირობა, მაგრამ აქ იშვიათად მიწევს ყოფნა და ჟინს მოსკოვის გარეუბანში ვიკლავ. იქ ჩემს მეგობარს აგარაკი აქვს, ვსხდებით კატერებზე და ვკლავთ მუდამს და დროს.

— რუსის ქალებზეც ნადირობსო ზაზა ჯანაშია...

— შორს გამვარდნია სახელი. გულწრფელად მითხარი, შენ არ ინადირებდი? რუსის ქალს რა სჯობია?..

— დაბოლოს, შენს მომავალზეც ვისაუბროთ. მაინც როდემდე აპირებ „ბაკოვკაზე“ დარჩენას, სხვაგან არ მიგიწევს გული? იტალია ნახე, გერმანია...

— იტალიაში რაც ვნახე, ეს იყო საფეხბურთო ზღაპარი — გულშემატკივარი, აჟიოტაჟი, ყურადღება, დონე — ახალბედას კი არა, გამოცდილ კაცსად შეაშინებდა იქაური ამბები, მაგრამ შიში ჩემთვის უცხოა, როგორც აღმოჩნდა „ლოკომოტივისთვისაც“, ღირსეულად ვითამაშეთ. ასეთი დონის ქვეყანაში თამაშზე უარს როგორ ვიტყვი, მაგრამ ჯერ „ლოკომოტივს“ ვჭირდები. ყოველ შემთხვევაში, ოცდახუთ წლამდე მაინც ნურსად წახვალო, მეუბნებიან. მერე ფასიც მეტი გექნება და პერსპექტივაცო. კონტრაქტი მოსკოველებთან წლის ბოლომდე მაქვს. დანარჩენი მერე ვნახოთ — შეიძლება გამიშვან, შეიძლება არა. თუ გუნდი პირველ ან მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, წასვლაზე ზედმეტია ლაპარაკი.

წარმატებები და წინსვლა ვუსურვოთ საქართველოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელს. ფეხბურთი თავის მსხვერპლს ითხოვს და ის, რაც უბრალო ადამიანისთვის იოლია, ზაზა ჯანაშიასა და მისნაირებისთვის ხშირად ძნელად ხელმისაწვდომია. ფული კი, როგორც ზაზას ინტერვიუდან მიხვდებოდით, არ არის ყველაფრის კომპენსაცია.

ამიტომაც ერთზე შევთანხმდეთ — ნუ მოვთხოვთ ზაზა ჯანაშიას, სემინარიელივით იცხოვროს, მთავარია, ფეხბურთი ითამაშოს და ხალხი გაახაროს, ზუსტად ისე, როგორც ჩვევია — არც მეტი, არც ნაკლები.

ზაზა ჯანაშია: მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლიდერი და მეგოლე

ბადრი ძმელაძის ფოტო

კონსტანტინე გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი, ხილი და ბორჯომი

მაღალი, თხელი აღნაგობის, უფრო მოცეკვავე გეგონებათ, ვიდრე ფეხბურთელი. ის ამაყია, ზოგჯერ ზომაზე მეტად ემოციური. ვინც ახლოს არ იცნობს, ყველას რატომღაც უკარება, უხეში და განებივრებული ჰგონია, მაგრამ იგი ერთი უბრალო, ალალი და ყველასათვის კეთილისმსურველი თბილისელი ბიჭია. ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი სერიოზულ საფეხბურთო კარიერას ახლა იწყებს. მისი ბევრს ეიმედება, ბევრიც სკეპტიკურად შეჰყურებს, მაგრამ იგი მასზე ნალაპარაკევს არც დაგიდევთ, ვარჯიშობს და სერიოზულ საფეხბურთო კარიერაზე ფიქრობს. ვერ გეტყვით, ბოლოს ყველაზე ძალიან რა გაუხარდა, მაგრამ, როცა შეიტყო, რომ რატი ალექსიძე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთაგან ჟურნალისტთა რჩეული გახდა, აღტაცება არ დაუფარავს. „სარბიელის" ტრადიციულ გამოკითხვაში გამარჯვებული საგანგებო პრიზს სხვა დროს, სხვა ვითარებაში მიიღებს, მანამდე კი გაბრწყინებული თვალებით ჩვენს კითხვებს პასუხობს...

რატი ალექსიძე (№8) საბერძნეთთან მატჩისწინა ვარჯიშამდე

— როცა ეროვნულ ჩემპიონატში ჩემი პირველობის ამბავი შევიტყვე, სიხარულისგან გაოგნებულმა ვიყვირე. ირგვლივ მეგობრები მეხვივნენ და გაოცებულნი მიყურებდნენ. როცა საქმის ვითარება ავუხსენი, მგონი, ჩემზე მეტად გაუხარდათ. იყო მილოცვები და უსაზღვრო სიხარული. თუმცა არ დავმალავ და გეტყვით, მთავარ მილოცვებს დღეს ველოდები, უფრო ფართო და სერიოზულ ატმოსფეროში.

— ოჯახში როგორ შეხვდნენ შენს პირველობას?

— რა თქმა უნდა, გამოუთქმელი აღტაცებით. დედაჩემმა, როგორც ყოველთვის, სიხარული ახლაც მღელვარებით გამოხატა. საერთოდ ყველა ჩემს წარმატებას თუ წაფორხილებას ძალიან განიცდის. ის კი არა, როცა ვთამაშობ, მღელვარებისგან ტელევიზორსაც ვერ უყურებს.

მამაჩემიც ასე გახარებული კარგა ხანია, არ მინახავს. მოკლედ, თამამად ვაცხადებ, ბედნიერი კაცი ვარ.

— რატომღაც ზრდილობას უწუნებენ შენს თაობას.

— საერთოდ ყველა ფეხბურთელი უზრდელია. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. არა მგონია, ეს შეხედულება სწორი იყოს.

ჩვენ შეიძლება ერთმანეთში ვიხუმროთ, უფრო თავისუფლად ვიყოთ, მაგრამ უფროს ადამიანთან ურთიერთობა არასდროს შემშლია. ვცდილობ, მუდამ თავაზიანი ვიყო. ის კი არა, ასაკით ჩემზე პატარასთანაც მიუღებელს და უცნაურს არაფერს მოვიმოქმედებ. ყველას თავისი წილი პატივისცემით ვეპყრობი.

— ოჯახში როგორია რატი ალექსიძე?

— ჩემი პროფესიის გადამკიდე, შინ ყოფნას ნატრულიც ვარ, მაგრამ დიდხანს იქაც ვერ ვჩერდები. ახლობელი, მეგობარი, ნათესავი — ამათი დავიწყებაც არ შეიძლება. ისე, შინაურ ატმოსფეროში ყოფნა ძლიერ მსიამოვნებს. წარმოიდგინეთ, იმას რა სჯობს, როცა შინ მიდიხარ, მანქანიდანვე სთხოვ დედას, სანატრელი კერძი მოგიმზადოს, მიირთმევ ყუათიან, გემრიელ სადილს, დაისვენებ, შინაურებს მოეფერები და სრულიად განტვირთული ჩინებულ ხასიათზე დადგები.

— ხშირად სთხოვ დედას კერძების მომზადებას?

— არცთუ იშვიათად. სახლს მიახლოებული ვერ ვითმენ და მანქანიდანვე ვიძლევი ნიშანს. ხდება-ხოლმე, კერძი ჯერაც გასამზადებელია და მე შინ ვარ. ამ დროს, ჩათვალეთ, ცუდად გავხდი. მოთმენა მიჭირს და ადგილზე ვერ ვისვენებ.

— ტანად არაფერი გეტყობა, ნუთუ ასეთი „მსუნაგი" ხარ. ხომ ვერ გვეტყვი, რას ჭამს და სვამს მომავალი ქართველი „ვარსკვლავი"?

— რამე განსაკუთრებით მიყვარს-მეთქი, ვერ დავიჩემებ. პრეტენზიული მჭამელიც არ გახლავართ. მივირთმევ, რაც გამზადებულია, მთავარია, ყუათიანი იყოს. ძალიან მიყვარს ხილი და ყველაფერს ვაყოლებ ბორჯომს. ოო, ბორჯომი შეუცვლელია.

— შენს ახლობლებში, მეგობრების წრეშიც უმეტესობა დაოჯახებულია. რატი ალექსიძე ხომ არ აპირებს უღელში თავის გაყოფას?

— რაღაც საიდუმლო ხომ უნდა დამიტოვოთ. არა, ჯერჯერობით დაოჯახებაზე არ ვფიქრობ, თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ ბავშვებზე ვაფრენ, განსაკუთრებით თუ პატარას ლაპარაკი ახალდაწყებული აქვს. ჩავისვამ ხოლმე მანქანაში და ვასეირნებ. არა, ბავშვები შეუდარებლები და საყვარლები არიან.

— სასეირნოდ, თანაც მანქანიან ალექსიძეს ბავშვს ვინ ანდობს?

— არიან ასეთი თამამებიც (იცინის). ადრე „სარბიელს" შევპირდი გამოვსწორდები-მეთქი. ჩემი ახლობლები პატარებს რომ მანდობენ, ეს იმის ნიშანია, რომ რატი ალექსიძემ სიტყვა არ გატეხა.

— შენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის ვინაობას ხომ არ გაგვიმხელდი?

— რა თქმა უნდა, ის ჩემი და გახლავთ. იცით, როცა დაოჯახდა, გარკვეული სტრესიც კი გადავიტანე, შეგუება გამიჭირდა და სიძეც ვიუცხოვე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ რაღაც სულელური გავაკეთე. ბუნების კანონია ასეთი, ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, ვაჟმა ცოლი შეირთოს. იმ დღიდან სიძეც ძმა გახდა ჩემი.

— რატი ალექსიძის ყველაზე დიდი სიხარული რომელი იყო?

— ვფიქრობ, ის ჯერაც არ განმიცდია და წინ მელის.

— პრობლემა თუ გქონია ოდესმე, გლობალურს ვგულისხმობ.

— არა. დიდ პრობლემებს ჩვეული არ ვარ.

— რა განსხვავებას ხედავ ფეხბურთელსა და ჩვეულებრივ ალექსიძეს შორის?

— ისინი ფაქტობრივად გადაჯაჭვულნი არიან. ფეხბურთიდან აქეთ გადმომყვება-ხოლმე ემოციები. ამ დროს აუცილებლად დასვენება მჭირდება, რათა განვიტვირთო და დავწყნარდე. როცა დილმის ბაზას და ფეხბურთს ვუბრუნდები, ოჯახიდან სიმშვიდე და თავდაჯერებულობა მიმყვება.

— საფეხბურთო სეზონი დამთავრდა. დასასვენებლად წასვლას ხომ არ აპირებ?

— ძალიან მინდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემზე როდია დამოკიდებული. არის რაღაც მომენტები, რომლებმაც შეიძლება დამამუხრუჭოს. რაღაცას ველოდები, თუ გამოვიდა, კარგი იქნება. ისე, დასასვენებლად დიდი დროც არც დამრჩენია. 17 ივნისს „დინამო" იკრიბება, ბოსკამპთან წესრიგის დარღვევა კი გამორიცხულია.

— რაღაცას ველით თქვი. რაღაცას თუ ვიღაცას?

— მოდი, ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ. თავს შევიკავებ. ოდესმე მაინც გაიგებთ, ოღონდ ახლა არ გვინდა.

— კეთილი. ახლა ის მითხარი, შენი ნება რომ ყოფილიყო, საუკეთესოდ ვის დაასახელებდი?

— გამიჭირდება პასუხის გაცემა. ფაქტობრივად არც ვიცი. ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე კარგი ფეხბურთელია.

— ძლივს ფეხბურთი ვახსენეთ და ბარემ გვითხარი, რას ნიშნავს შენთვის ბურთი და მინდორი?

— ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია. არ ვიცი, ვინ ვიქნებოდი ბურთისა და მწვანე მინდვრის გარეშე. უფეხბურთოდ ვერ ვძლებ. შვებულების წინ ბოსკამპმა გვითხრა, ეცადეთ ნაკლებად იმოძრაოთ, ბურთს კი საერთოდ არ გაეკაროთო. მომკალით და ვერ შევუსრულებ მწვრთნელს ამ დავალებას. თითქმის ყოველდღე ვთამაშობ.

— რატომ წამოხვედი „ჩელსიდან", რატი?

— სტაჟირების ვადა გამივიდა. ლონდონში განათხოვრებული ვიყავი. გუნდში რომც დავრჩენილიყავი, ვერ ვითამაშებდი. მე ხომ ნაკრებში მოღვაწეობის 75 პროცენტს ვერაფრით დავაგროვებდი. კარგ პირობებში ვარჯიშს საქართველოში თამაში ვარჩიე.

— აქ სხვაგვარად თქვეს. რატის დიდი ჩხუბი მოუვიდა ლონდონში და მერე აიყარა იქაურობაზე გულიო.

— არ არის მართალი. უფრო სწორად, დიდი ჩხუბი არ ყოფილა. ვარჯიშის შემდეგ შინ ვაპირებდი დაბრუნებას. ტაქსამდე ორი გზა მიმიყვანდა, მოკლე და შორი. თანაგუნდელები მაფრთხილებდნენ, მოკლე გზით ნუ წახვალ, უცუდესი უბანია, ხათაბალას გადაეყრებიო. დამეზარა და სახიფათო გზა ვარჩიე. ვიღაც ტიპი დამხვდა, საფულეს მთხოვდა. ძალიან გათავხედდა, დავარტყი, დამარტყა, რომ ვნახე, დამხმარეებიც გამოუჩნდნენ, ფეხებს მივენდე. ჩემზე სწრაფად ვერ ირბინეს. სულ ეს იყო. ნეტა, იმის მეტი პრობლემა არ მქონოდა და ჩემი საქმეც საათივით იქნებოდა აწყობილი.

— შენს ნაკლად რას მიიჩნევ?

— ჩემს ნაკლზე მწვრთნელები უკეთ მოგახსენებენ. ერთი რამ ვიცი, სამუშაო ჯერაც ბევრია. წარმოუდგენლად ბევრი.

— თითქოს სისწრაფე და გამძლეობა არ გაკლია, მაგრამ ამჟამად გეტყობა, ფეხებზე მყარად ვერ დგახარ.

— ეს იმის ბრალია, რომ საფუძვლიანად ვერ მოვემზადე. დატვირთვა დავაკელი ჩემს თავს. ინგლისიდან დაბრუნებული სულ სხვაგვარად ვიყავი. სიმსუბუქესაც ვგრძნობდი და ჯანზეც ვიყავი. ჯერჯერობით მხოლოდ სიმსუბუქეღა შემრჩა, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპისა მეიმედება.

— როგორ ფიქრობ, თუ გაიზარდე როგორც ფეხბურთელი?

— სხვაგან, სხვა სიტუაციაში, ალბათ, გაცილებით სწრაფად გავიზრდებოდი, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატია ისეთი, სწრაფი პროგრესი თითქმის გამორიცხულია. თავს წინსვლას ვამჩნევ, მაგრამ ეს უმეტესწილად გამოცდილების წყალობაა.

— ვინ არის შენი საუკეთესო პარტნიორი?

— აჩიკო სახვაძე და მიშა აშვეთია. ბოლო დროს მე და მიშას ჩინებულად გვესმის ერთმანეთის.

— ბოსკამპზე რას გვეტყოდი?

— საქმის მცოდნე მწვრთნელია. მე მასთან მხოლოდ ისეთი ურთიერთობა მაქვს, როგორიც მწვრთნელსა და ფეხბურთელს შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ერთი რამეც კარგად ვიცი, რატი ალექსიძეს ბოსკამპის ვარჯიშები ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ის დიდებულად გვარკვევს იმაში, თუ რას მოითხოვს ჩვენგან. არ გაგიკვირდეთ, ცოტა ხანში სასწაული მოვახდინოთ.

— ესე იგი „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშს გვპირდები.

— მე არავის არაფერს ვპირდები, მაგრამ ვამბობ, ჩვენ გავუგეთ ბოსკამპს, „დინამო" სოლიდური გუნდი იქნება.

— ბერძნებთან მატჩს გაგახსენებ. ამბობ, ბოსკამპის მესმისო. ნაკრების ბოლო თამაშისას ამას ძნელად თუ იტყოდა კაცი. შორიდან ასე ჩანდა — ალექსიძემ მინდორზე ადგილი ვერ იპოვა.

— თავიდან მწვრთნელმა საყრდენად შემიყვანა. ნემსაძეს უნდა შევხვდებოდი. ის-ის იყო, თამაშს ალღო ავუღე, რომ ბოსკამპს სხვა ადგილზე დავჭირდი და მარჯვნივ გადამიყვანა. გამიჭირდა, ახალ ადგილს ვერ ავუღე ალღო. ამიტომაც ვიყავი შებოჭილივით.

არ უნდა წაგვეგო, ვალდებულნი ვიყავით, გაგვემარჯვა, მაგრამ ვერ გავძელით. 5 ივნისი რომ მახსენდება, თავბრუ მესხმის. არადა, როგორ ველოდით იმ თამაშს, როგორი იმედით, თუმც არაუშავს, საქართველოს ნაკრების დროც მალე მოვა.

— ჟურნალისტებზე რას იტყვი, ბევრს მაინცდამაინც არაფრად ვეპიტნავებით?

— პირველ რიგში, მადლობა აღიარებისთვის, მადლობა დაფასებისთვის. სხვა მხრივ, კარგი და ცუდი ყველგან და ყველაფერშია. ასეა თქვენთანაც, ზოგი მართლაც პროფესიონალია, ზოგიც გამოუცდელი. არიან ჭორების მოყვარულებიც და ასე შემდეგ.

— „სარბიელს" რას უსურვებდი?

— მხოლოდ და მხოლოდ წინსვლას და წარმატებას. მხოლოდ კეთილი სურვილები რატი ალექსიძისგან.

მამუკა ჭვანტალიანი

რატი ალექსიძე ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლოვენიური მაქსიმუმი

ტირანა
9 ივნისი
ქემალ სტაფა
8 000 მაყურებელი

ალბანეთი 0:1 სლოვენია

0:1 ზაპოვიჩი (26 პ)
ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, შულკუ, ჯუმბა, ვატა, დურო, ბელაი, ბუშაი, ბოგდანი (დალიპი 75), რაკლი, ტარე
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, ოსტერცი (ისტენიჩი 80), მილინოვიჩი, კარიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეპი, ვაოვიჩი, ზაპოვიჩი, პავლინი
მსაჯი: ადრიან სტოიკა (რუმინეთი)

მიქელე იანკუ ტირანადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

როგორც ჩანს, ტირანაში ზედიზედ მეორე მარცხის შემდეგ ალბანეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაიბარებს.

მატჩის დამთავრებისთანავე, პრესკონფერენციაზე, ჩვენი გუნდის თავკაცმა ასტრიტ ჰაფიზიმ პირველი რაც თქვა, ეს იყო — შინ ორი თამაში ალბანეთის ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით წააგო. ამიტომაც ახლავე მივმართავ ფეხბურთის ფედერაციას, შემცვლელი მოძებნონ. მე მორალური უფლება აღარ მაქვს, ქვეყნის რჩეულთა წვრთნა განვაგრძო. ალბანეთში არის რამდენიმე ისეთი კაცი, რომლებიც ამ საქმეს ჩემზე უკეთ გააკეთებენ — ასტრიტ ჰაფიზი ნაღვლიანი იყო. ლაპარაკი დიდხანს აღარ გაუგრძელებია, ბიჭებს მონდომებისთვის მადლობა გადაუხადა, კოლასა და ჰაჯის უთამაშებლობა ნაკრებს ძლიერ ეტყობოდაო, დაამატა და დარბაზი დატოვა.

დატოვებს თუ არა მწვრთნელი თავის პოსტს, ეს უახლოეს დღეებში გაირკვევა. ჩემი აზრით კი ნაკლებ სავარაუდოა, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჰაფიზის თხოვნა დააკმაყოფილოს. მას, ალბათ, შესარჩევი ციკლის ბოლომდე ადტოვებენ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მწვრთნელმა ზემოაღნიშნული განცხადება საკმაოდ კატეგორიული ტონით გააკეთა. მას კი, რაც უთქვამს, აუცილებლად შეუსრულებია. ვნახოთ, ახლა როგორ იქნება. მწვრთნელობის კანდიდატებად კი ჯერ არავინ დაუსახელებიათ. ამისი არც დრო იყო, არც ხასიათი. ალბანეთში ძალიან განიცადეს სლოვენებთან წაგება.

ასტრიტ ჰაფიზი იმაში ნამდვილად არ შემცდარა, როცა თქვა, კოლა და ჰაჯი, რომ არ თამაშობდნენ, გუნდს დაეტყო. ფეხბურთელებსაც მადლობა ზრდილობის გამო როდი გადაუხადა. მათ მართლაც თავი დადეს, მოინდომეს, გასამარჯვებლად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ იღბალმა ზურგი აქციათ.

ჰაფიზიმ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა. ფეხბურთელი ნახევარდაცვას მოაკლო და თავდამსხმელებს დაუმატა. სლოვენიელებთან ჩვენმა ნაკრებმა ერთბაშად სამი ფორვარდით ითამაშა. რაკლისა და ტარეს მწვრთნელმა ახალგაზრდა ბოგდანი დაახმარა. თუმცა რაღა დაახმარა, როცა თითქმის ტარეს სიმაღლის, ტანმაღალ ბოგდანს ცენტრალური თავდამსხმელობის ნაცვლად გარეშარბობა დაავალა, სადაც ფეხბურთელმა თავის შესაძლებლობების ნახევრის ნახევარიც ვერ გამოავლინა, ვერც თავდამსხმელებს უწყობდა ხელს, ვეღარც შუახაზელებს. ბოგდანი ფლანგზე ჩაიკარგა, ბურთსაც ათასში ერთხელ იღებდა.

სლოვენიელების უპირატესობა კი სწორედ ნახევარმცველთა რაოდენობამ განაპირობა. მოედნის ცენტრს ფაქტობრივად სულ ისინი აკონტროლებდნენ. ერთი ზედმეტი ფეხბურთელის ხარჯზე მათი ბევრი ხიფათი შეუქმნეს ალბანელებს. ხუთი სტუმარი ნახევარმცველი მასპინძლებს შუაში გასაქანს არ აძლევდა და რაც სიმეუნოვიჩის კართან დასამახსოვრებელი შეიქმნა, ისიც მხოლოდ რაკლისა და ტარეს აქტიურობის შედეგად. სლოვენიელების ერთადერთი ნომინალური თავდამსხმელი, ოსტერცი კი იმდენს მოძრაობდა, რომ ალბანელ მცველებს ყოველთვის ასწრებდა ბურთის მიღებას.



REUTERS ტირანადან

ამ ალბანელ ბიჭუნას, „ქემალ სტაფას“ სტადიონზე რომ მისულა, სახეზე თავისი ქვეყნის დროშა გამოუსახავს, ხელებში კი თურქული ალმები დაუჭერია

ის პენალტიც, რომელიც მატჩის 26-ე წუთზე ზაპოვიჩმა უნაკლოდ შეასრულა და თავისიანები დააწინაურა, საჯარიმოში სწორედ ოსტერცის წაქცევას მოჰყვა. იგი ორ მცველს — შულკუსა და ჯუმბას დაუსხლტა, ბურთი მათ შუა გაიგდო და ძირს აღმოჩნდა. პენალტი სამართლიანად დაინიშნა. რუმინელმა არბიტრმა თითი უყოყმანოდ გაიშვირა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ.

თამაშის სურათი არც ამის შემდეგ შეიცვალა. შესვენებამდე ჩვენები თუ მეტოქეს უტევდნენ, მეტად უფხოდ, სლოვენიელები კი პირიქით, მათი თითქმის ყოველი შეტევა ისეთი სახიფათო იყო, მიკვირს, მეტჯერ როგორ ვერ გაიტანეს. თუმცა მატჩის დასაწყისშივე, მე-6 წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ზაპოვიჩის ჩაწოდებული ბურთი ნოვაკმა თავით გატანილად კი აქცია, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და ის გოლიც სათვალავში არ ჩამიგდია.

პირველ ტაიმში მასპინძლები სულ ორჯერ დამუქრნენ რეალურად სიმეუნოვიჩის კარს. ჯერ იმ ჩაუთვლელი გოლიდან ხუთ წუთში, რაკლის მოწოდებული კუთხურის შემდეგ, ბურთი საჯარიმოში მყოფთაგან ყველას გადააფრინდა და... მარჯვნიდან ბუშის უძლიერესად დარტყმულისთვის ტარეს რომ მიესწრო, გოლიც ნაღდად გავიდოდა. მერე იმავე რაკლის კვლავ კუთხურიდან ჩაწოდებულს ისევ ბუშიმ ამჯერად თავით შეუცვალა მიმართულება და ოდნავ იღბალიც რომ დაჰყოლოდა ბურთი ცხრიანში შევარდებოდა. სიმეუნოვიჩი არც ერთის მომგერიებელი არ გახლდათ. ორივე შემთხვევაში წონასწორობა დაკარგული ჰქონდა, თანაც პოზიციურად არა სწორად იდგა.

შესვენების შემდეგ საწყისი თხუთმეტი წუთი კი აშკარად ალბანელებისა იყო. სტუმრები ფაქტობრივად ცენტრის ხაზსაც არ გადასცდენიან. ერთადერთი დაუღალავი ოსტერცი დარბოდა მოედნის შუაში, ცდილობდა, მასპინძელი მცველები შეეწუხებინა და მათთვის საჯარიმოში პასის გაკეთების საშუალება მოესპო. ბოგდანი კი ისევ ინერტულად მოქმედებდა. მართალია, პირველ ტაიმთან შედარებით უფრო გამოცოცხლებულიყო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა სიტყვა „ინერტული“ რომ ვიხმარე, შესვენებამდე მის თამაშს რა ეთქმოდა.

სწორედ ამ თხუთმეტ წუთში გავიდა კიდეც მესამე გოლი. თუმცა მსაჯმა არც ეს ჩათვალა. მანამ ჯუმბა გაიტანდა, ტარემ სიმეუნოვიჩს უბიძგაო, ამის გამომხატველი იყო არბიტრის ჟესტი.

სამოცდამეხუთე წუთიდან მატჩის ბოლომდე კი უპირატესობას კვლავ სტუმრები ფლობდნენ და ქომაგებიც შეეგუვნენ აზრს — არწივები შინ ზეიზედ მეორედ დამარცხდნენ. თამაშიც ისე გაგრძელდა, სლოვენიელ ზაპოვიჩს, ოსტერცის შემცვლელ ისტენიჩსა და ნოვაკს ყველაზე ცოტა, ოთხჯერ კიდევ უნდა გაეტანათ.

მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი უხასიათოდ აბა, რატომ იქნებოდა? ორი თამაში სტუმრად და ქულათა მაქსიმუმი. ასე დაბრუნდა სლოვენიის ნაკრები თავის ქვეყანაში.

— თავიდან დაცვითი ფეხბურთის თამაში გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ვითარების შესაბამისად, მეტოქისთვის სწრაფად უნდა შეგვეტია. ამ ტაქტიკამ გაგვიმართლა და ძალიან მიხარია, აქტივს სამი ქულაც რომ შევმატეთ. ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრებაზე კი ჯერაც ადრეა ლაპარაკი. ჩვენ ძალიან ძლიერ მეტოქეებთან დაგვრჩა სათამაშო. დარწმუნებული ვარ, სლოვენიაშიც სულ სხვა ალბანეთის ნაკრები დაგვიპირისპირდება. გმადლობთ, თბილი და უსაფრთხო მასპინძლობისთვის.

საბერძნეთს ქართველების ცოდვამ უწია

ათენი
9 ივნისი
ოლიმპიური
15 000 მაყურებელი

საბერძნეთი 1:2 ლატვია

0:1 ვერპაკოვსკისი (24), 1:1 ნინიადისი (38 პ), 1:2 ზემლინსკისი (90 პ)
საბერძნეთი: ატმაციდისი, მავროგენიდისი, კასაპისი, უზუნიდისი, ანატოლაკისი, ზიკოსი, ზაგორაკისი, ფრანცესკოსი (ანასტასიუ 60), მახლასი, ნინიადისი, გეორგატოსი (მარკოსი 73)
ლატვია: კოლინკო, ლუკაშევიჩსი, ასტაფიევსი (ბლეიდელისი 54), ზემლინსკისი, ლობანოვსი, კობიოვსი, ლაიზანსი, რუბინსი (სისმანოვსი 64), პახარსი, ბაბიჩევსი, ვერპაკოვსკისი (მიხოლაპსი 46)
მსაჯი: ლუბომირ პუჩეკი (ჩეხეთი)

კაცი, რომელიც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს

ვასილის საბრაკოსი ათენიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თავზარი დაგვეცა! ტრაგედია დატრიალდა! საბერძნეთის ნაკრები ამ მარცხს არ იმსახურებდა.

უიღბლობა! აი, რა არის ჩვენი ნაკრების მარცხის მთავარი მიზეზი. უიღბლობასთან ერთად იყო კიდევ სხვა მიზეზები, მაგრამ ბოლო წუთზე დატრიალებულმა დრამამ იმდენად დაჩრდილა წაგების გამომწვევი რეალური მიზეზები, რომ ახლა მათზე საუბარი არც ღირს. სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო.

შესანიშნავად ვიცი, რა განიცადეთ თბილისში, როცა ბოლო წუთებში წაგეთ თითქმის მოგებული შეხვედრა. ვიცი, ვამბობ და მიჭირს, ვერ ვპოულობ სიტყვებს. ძალიან ცუდია, როცა მთელი შეხვედრა უპირატესობას ფლობ, აშკარად სჯობიხარ მეტოქეს, მაგრამ მაინც აგებ...

ვიყოთ ობიექტურნი — განა თბილისში ქართველთა უპირატესობა თვალსაჩინო არ იყო? მაგრამ ისე მოხდა, რომ გამარჯვებული საბერძნეთის ნაკრები დარჩა. მაშინ ეს იღბალს დაბრალეს, ჩვენი გუნდის სუსტი თამაში კი არავის გახსენებია.

ათენშიც ზუსტად იგივე მოხდა — მასპინძელი საბერძნეთი სჯობდა მეტოქე ლატვიას, ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ რად გინდა? მაშინ, როცა შეხვედრის მოახლოებას საბერძნეთის ნაკრების ხელმძღვანელობა ნერვიულობით ხვდებოდა, მაშინ, როცა ლატვიელებთან ქულაც კი წარუმატებლობად ითვლებოდა, მოვლენები ისე განვითარდა, ის ქულაც ვერ მოვიპოვეთ. პენალტმა ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაასხა, იმდენად ცივი, რომ კარგა ხანი ადგილზე გავიყინეთ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ლატვიელთა ქართველმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა აღნიშნა, დღეს საოცრების მომსწრე გავხდითო. მართლაც საოცრება იყო, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ საოცრებას სტუმართათვის ჰქონდა ასეთი დატვირთვა, საბერძნეთის ნაკრებისთვის კი ნამდვილი ტრაგედია იყო. არაფერს ვაჭარბებ — უნდა გენახათ ფეხბურთელთა გამომეტყველება, გულშემატკივართა მწუხარება, თუმც განა საქართველოში ეს გრძნობა უცნობია?

მსაჯებზე, როგორც წესი, არაფერს ამბობენ-ხოლმე. მეც თავს შევიკავებ, მაგრამ იმდენად არაობიექტური გახლდათ მისი ქმედება, რომ გულს მოწოლილ ბოღმას მხოლოდ სათქმელის ფურცელზე გადატანით თუ გავიქარვებ — გარდა ორი პენალტისა, რომელიც მსაჯმა ლატვიელთა კარისკენ დანიშნა, მიმართულებით კიდევ ორჯერ უნდა დაენიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. უცნაურია, არა? ასე იყო, სწორედ ასე. საბერძნეთის ნაკრების უპირატესობა მართლაც ძალიან დიდი გახლდათ.

როცა ლატვიელთა მეკარე ალექსანდრ კოლინკომ გრიგორიოს გეორგატოსის პენალტი მოიგერია, მასპინძელი ფეხბურთელები ძალიან არც განერვიულებულან. ყველფერი წინ იყო და თამაშის დასაწყისში დაშვებული შეცდომის გამოსწორება დარჩენილ დროში შეიძლებოდა, მაგრამ თურმე მასპინძლებს მერე ძალიან ცუდი რამ ელოდათ.

ანგარიში ვერგატანილი პენალტიდან სამ წუთში გაიხსნა — ლატვიელთა პირველმა რეალურად სახიფათო შეტევამ, სტუმართა თავდამსხმელების დასახვედრად მოუმზადებელ ჩვენებურთა დაცვაში დისონანსი შეიტანა. შექმნილი არეულობით ლატვიელებმა კარგად ისარგებლეს. მარის ვერპაკოვსკისმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. მის ადგილზე გოლის გატანა არავის გაუჭირდებოდა.

საბერძნეთის ნაკრების თავდასხმები ჩამორჩენის შემდეგ უფრო გამძაფრდა, ერთხელ ძელიც შეაზანზარეს მასპინძლებმა, მაგრამ სანამ სტუმართა მცველებმა წესები არ დაარღვიეს, მანამ ანგარიში ვერ გავათანაბრეთ.

გოლის ავტორ ანდრეას ნინიადისზე აუცილებლად გამორჩეულად უნდა ითქვას — საბერძნეთის ნაკრებმა ამ ფეხბურთელის მიწვევით დიდი ძალა შეიმატა. წელიწადიც არაა, რაც ნინიადისი ქვეყნის პირველ გუნდში თამაშობს და ლიდერად იქცა. დღესდღეობით საბერძნეთის ნაკრები მის გარეშე წარმოუდგენელია, უფრო სწორად, ნინიადისით და მის გარეშე, ჩვენ ორ სხვადასხვა გუნდს ვიხილავთ.

ბერძენ გულშემატკივრებს, რომლებიც საშინლად ნერვიულობდნენ, სწორედ მან გაუხარა გული — ლატვიელი მცველები თავით მოატყუა და პენალტის დარყმის უფლებაც მოიპოვა. ნინიადისს პენალტი „იუვენტუსის“ კარში აქვს გატანილი და არც კოლინკოს კარის დალაშქვრა გასჭირვებია — 1:1. ყველაზე საინტერესო ისაა, რაც მასპინძელთა მწვრთნელმა ვასილის დანიელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა — პირველ ნახევარში ნინიადისის გამოცვლას ვაპირებდიო. — მართალი გითხრათ, დანიელს პირადად მე ვერ გავუგე.

აქაურები ერთ რამეში იყვნენ დარწმუნებულნი — შესვენების შემდეგ საბერძნეთის ისედაც დიდი უპირატესობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ამასთან ერთად ეს ანგარიშშიც აისახებოდა. რაც მოხდა, ეს თქვენც კარგად იცით.

შეტევა შეტევას ცვლიდა, ლატვიელებს თავდასხმის მოგერიება უფრო და უფრო უჭირდათ, მაგრამ გოლს სასწაულებრივად იცილებდნენ თავიდან. იყო ორი მომენტი, როცა ისინი გოლისაგან ძელმაც იხსნა, მაგრამ ამას დღეს არავინ დაეძებს — საბერძნეთი დამარცხებულია, ლატვია გამარჯვებული, უეფა კი სამჯერ შეზანზარებული ძელისთვის და ორი არდანიშნული პენალტისთვის ქულას არ იძლევა.

თბილისში, საქართველოს ნაკრებთან მოგებამ ჩვენი შანსები ძალიან გაზარდა, მაგრამ რამდენადაც საქართველოში წარმატებამ გაგვახარა, იმდენად და უფრო მეტადაც დაგვწყდა გული.

დანიელმა, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა, განაცხადა, უმალ ცვლილებებს მოვახდენ, გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი არ მაკმაყოფილებსო.

მახსენდება მწვრთნელის სიტყვები და ჩემს თავს ვეკითხები — დაგვიანებული ხომ არ არის?

სამწუხაროა, რომ საბერძნეთის ნაკრებს წვრთნის კაცი, რომელიც მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლობს.

ნორვეგია	7	5	1	1	14:8	16
სლოვენია	6	3	2	1	8:6	11
ლატვია	7	3	2	2	7:5	11
საბერძნეთი	7	2	3	2	8:7	9
საქართველო	7	1	1	5	4:12	4
ალბანეთი	6	0	3	3	3:6	3

18 აგვისტო: სლოვენია — ალბანეთი
4 სექტემბერი: ნორვეგია — საბერძნეთი; ალბანეთი — ლატვია; სლოვენია — საქართველო
8 სექტემბერი: საბერძნეთი — ალბანეთი; ნორვეგია — სლოვენია; საქართველო — ლატვია
9 ოქტომბერი: ალბანეთი — საქართველო; სლოვენია — საბერძნეთი; ლატვია — ნორვეგია

ჯანდაბას ქულები, უკრაინა გადარჩა!

I ჯგუფი

შვეიცარია 0:0 იტალია

შვეიცარია: ჰუბერი, ჟანერე (დი ჟორიო 78), როტენბულერი, მიულერი, ჰოდელი, ჰოგელი, სესა, ვიკი (ვოლფი 70), შაპუიზა, სფორცა, კომიზეტი (სელესტინი 55)

იტალია: ბუფონი, პანუჩი (პანკარო 70), მალდინი, ალბერტინი, კანავარო, ნეგრო, ფუზერი (დი ლივიო 61), კონტე, ინძაგი, ვიერი (კიეზა 61), დი ფრანჩესკო

გახდა კრისტიან ვიერი მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი, ყველამ საგანგებო მზერა მიაპყრო და... შვეიცარია — იტალიის უგოლო შეხვედრის დამთავრებამდე 29 წუთით ადრე ის შეცვალეს. შვეიცარიელთა მუყაითმა დაცვამ ვიერისა და ფილიპო ინძაგის წყვილს ძალიან შეუზღუდა სამოქმედო ფართობი, ხოლო მათმა გოლკიპერმა, სტეფან ჰუბერმა ჩინებული ოსტატობა გამოავლინა.

„ცუდად ვითამაშე“ — აღიარა ვიერიმ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე — „მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, კუნთი გამეჭიმა, რის გამოც ფეხზე ელასტიკური ბანდაჟი მქონდა შემოხვეული. ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩემს ირგვლივ ამტყდარმა ამბავმა დამრთგუნა. ნაკრებში თამაში ყოველთვის დიდ ბედნიერებას მანიჭებს“.

მაშ ასე, „სკუადრა აძურას“ თავკაცმა, დინო ძოფმა ვიერი პარმელი ენრიკო კიეზათი შეცვალა, მაგრამ ცვლილებამ დიდი სარგებელი ვერ მოუტანა.

„შვეიცარიელებმა დიდებული ფეხბურთი ითამაშეს“ — თქვა ძოფმა — „განსაკუთრებით ძლიერი მათი დაცვა გახლდათ. ჩვენ კი კვირას, უელსთან თამაშმა დაგვღალა, რაც მეორე ტაიმში ძალიან მწვავედ გამოჩნდა. სწორედ დაღლილობის გამო შევცვალე ვიერი“.

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი, ჟილბერ გრესი: „გული მწყდება, რომ თამაშის მიწურულს უფრო მეტად არ შევუტიეთ. ისე ვთამაშობდით, მოგებაც არ იქნებოდა გამორიცხული. იტალიელებს ბურთი ჩვენსავით რომ ეკონტროლებინათ, უეჭველად გაგვიტანდნენ, მაგრამ ბურთი ჩვენი იყო“.

შეხვედრის დასაწყისში შვეიცარიელებმა მართლაც შეუტიეს „სკუადრა აძურას“ კარს, მაგრამ პირველი ნახევრის შუაში იტალიურმა ზონამ ჩაახშო მასპინძელთა თავდადება. იყო ერთი მომენტი: რეგის როტენბულერმა ჯანლუიჯი ბუფონს თავგანწირული ნახტომი შეასრულებინა, ბუფონის მოგერიებულ ბურთს დავიდ სესა დაეუფლა, მაგრამ ხელი შეუშალეს.

უელსი 0:2 დანია

0:1 ტომასონი (84), 0:2 ტოფტინგი (90 პ)

უელსი: ჯოუნზი, ჯენკინსი, ბერნარდი, რობინსონი (პემბრიჯი 85), მელვილი, კოულმენი, სპიდი, სონდერსი, ჰართსონი (ბილემი 88), ჰიუზი, გიგზი

დანია: შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, გოლდბეკი, ნილსენი (ტოფტინგი 83), გრონკიაერი, მოლნარი (ტომასონი 70), იორგენსენი (ფრანდსენი 89), სანდი

ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა, დანიამ, ბელგია-ჰოლანდიის საგზურის მოპოვების შანსი შეინარჩუნა. ლივერპულში, „ენფილდ როუდზე“ დანიელებმა უელსს სძლიეს. უელსელთათვის, მოგეხსენებათ, ამ გათამაშებაში „ენფილდი“ მშობლიურ სარბიელად იქცა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, პიტერ შმაიხელმა და მისმა თანაგუნდელებმა გამარჯვება სტუმრად მოიპოვეს.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ჯერ კიდევ 0:0 იყო, როდესაც საქმეში სათადარიგოთა სკამიდან ჩართულმა იონ დალ ტომასონმა გახსნა ანგარიში, მერე კი, ბოლო წუთზე, მისებრ რეზერვისტმა სტიგ ტოფტინგმა წერტილი დასვა.

ასე დასრულდა შოუ, რომლის მთავარი მოქმედი პირი, მანამდე, უელსელთა გოლკიპერი პოლ ჯოუნზი იყო. პარადოქსულიც ის გახლავთ, რომ უელსის ნაკრების კარში გასული პირველი გოლი სწორედ მისი შეცდომის ბრალი გამოდგა — ინგლისური „საუთჰემპტონის“ კარის მცველმა ტოფტინგის მიერ შორიდან ჩაწოდებულის განეიტრალება ვერ შეძლო და გზაბნეულ ბურთს ჰოლანდიური „ფეიეონორდის“ ნახევარმცველმა, ტომასონმა, დაუცველ ბადეში მიუჩინა ადგილი. ეს ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ტომასონის პირველი გოლი გახლდათ.

დანიელები, თამაშის საერთო სურათიდან გამომდინარე, გამარჯვებას იმსახურებდნენ. უელსელებს მათ კართან სერიოზული მომენტის შექმნა, ფაქტობრივად, ერთხელაც არ მოუხერხდათ.

პირველი გოლით ფრთაშესხმულმა სტუმრებმა კი მეორედაც გაიხარეს — ტომასონის წაქცევისთვის კრის კოულშენი პენალტით დააჯარიმეს და ტოფტინგმა თერთმეტი მეტრიდან შეცდომა არ დაუშვა.

მატჩის შემდეგ უელსელთა დროებითმა მწვრთნელმა, ნევილ საუთჰოლმა, რომელსაც ეროვნულ გუნდში 92 შეხვედრა (მათ შორის თბილისში, 1994 წელს) აქვს ჩატარებული, განაცხადა: „ეს შეხვედრა ჩვენთვის თასის ფინალსავით იყო და სამწუხაროა, რომ მისთვის მოსამზადებლად სამად სამი დღე გვქონდა. არა უშავს, მთავარია, რომ მე, როგორც მწვრთნელი, გამოცდილებას ვიძენ და ფეხბურთელებით ვამაყობ. მათ სიმხნევე და უტეხი სული არ აკლიათ“.

იტალია	6	4	2	0	11:2	14
დანია	6	2	2	2	6:5	8
შვეიცარია	5	2	2	1	4:3	8
უელსი	6	2	0	4	5:13	6
ბელარუსი	5	0	2	3	3:6	2

4 სექტემბერი: ბელარუსი — უელსი; დანია — შვეიცარია
8 სექტემბერი: შვეიცარია — ბელარუსი; იტალია — დანია
9 ოქტომბერი: უელსი — შვეიცარია; ბელარუსი — იტალია

REUTERS ჯალიდან

ჩეხეთი — შოტლანდია 3:2. ირჟი ნემეცი (№7) ალან ჯონსტონს გაურბის

III ჯგუფი

მოლდოვა 0:0 ფინეთი

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებეჟა, შიშკინი (ბელოუსი 75), გუზუნი, სტროენკო, კურტიანუ, ოპრია (გაიდამაშჩუკი 79), ეპურიანუ, სტრატოლატი, სუხარევი (კირილოვი 89)

ფინეთი: ნიემი, ილონენი, რეინი (ლეჰკოსუო 85), ჰიიპია, ტინინენი (კაუტონენი 45), რიიპილატი, კოლკა, ვალაკარი, პაატელაინენი, ილოლა, იოჰანსონი (ფორსელი 60)

ფინელებმა კიშინიოვში 0:0 ითამაშეს და ერთობ დაღონებულები გაუდგნენ შინისკენ მიმავალ გზას. საქმე ის გახლავთ, რომ მათ, ევრო 2000-ზე გასვლის იმედის შესანარჩუნებლად მოლდოვასთან, რომელიც ამ შესარჩევ ციკლში, რატომღაც, საქართველოს ეროვნულ გუნდთან ერთად მეორე ჯგუფში არ მოხვდა (მეორე ჯგუფის ნაცვლად მესამეში ასპარეზობს — მინიმალური შეცდომაა), აუცილებლად უნდა მოეგო.

ფინელებს არ ჰყავდათ იარი ლიტმანენი, რომელიც ტრავმამ ჩამოაშორა მოედანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასპინძლებს მაინც სჯობდნენ. თუმცა, ჯობნაც არის და ჯობნაც, გოლი რომ შეაგდო, რამდენიმე მომენტი უნდა შექმნა, მათ კი სულ ორჯერ შეაშინეს კიშინიოველი მაყურებელი.

ყველაზე კარგი შანსი, პირველ ტაიმში, პაატელაინენს ჰქონდა: ასე, 12 მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი.

გერმანია	5	4	0	1	14:3	12
თურქეთი	5	4	0	1	11:5	12
ფინეთი	6	2	1	3	8:10	7
ჩრ. ირლანდია	5	1	2	2	3:8	5
მოლდოვა	7	0	3	4	6:16	3

4 სექტემბერი: ფინეთი — გერმანია; ჩრდ. ირლანდია — თურქეთი
8 სექტემბერი: გერმანია — ჩრდ. ირლანდია; მოლდოვა — თურქეთი
9 ოქტომბერი: გერმანია — თურქეთი; ფინეთი — ჩრდ. ირლანდია

IV ჯგუფი

რუსეთი 1:0 ისლანდია

1:0 კარპინი (44)

რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ვარლამოვი (იანოვსკი 56), ონოპკო, სემაკი (ბულატოვი 45), სმერტინი, კარპინი, ხოხლოვი, ტიხონოვი, ბესჩასტნიხი (ციმბალარი 71), პანოვი

ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ჰელგასონი, ჰრეიდარსონი (ადოლფსონი 60), იონსონი (კოლვიდსონი 45), მარტინსონი, რ. კრისტინსონი, გუნარსონი (ჰელგასონი 82), სვერისონი, სიგურდსონი, გუდიონსონი, დადასონი

ვალერი კარპინის თავურმა შაბათს, პარიზში გამარჯვებით დაღლილ რუსეთს ძნელი, მაგრამ საჭიროზე საჭირო გამარჯვება მოუტანა — ისლანდიის ნაკრები ახლა რუსეთისაზე წინ აღარ არის.

ესპანური „სელტას“ ნახევარმცველი, რომელმაც ფრანგების კარში, „სტად დე ფრანსზე“, გამარჯვების გოლი გაიტანა, დმიტრი ხოხლოვის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს თავურით გამოეხმაურა და 36 ათასი მოსკოველი ქომაგის გასახარად ისლანდიელებს ბოლო 11 მატჩში პირველი დამარცხება აგემა.

სტუმრებმა რუსთა გოლკიპერს, ალექსანდრ ფილიმონოვს, ჩაკიდულ ბურთებზე გამოსვლის გარდა, სხვა საქმე ვერ გამოუნახეს.

სომხეთი 0:0 უკრაინა

სომხეთი: ბერეზოვსკი, ტ. პეტროსიანი (გრიგორიანი 60), ხაჩატრიანი, ოვსეპიანი, ოგანესიანი (მკრტჩიანი 45), ვარდანიანი, ა. პეტროსიანი, ვოსკანიანი, სარქისიანი, მიქაელიანი (არუთუნიანი 45), შახგელდიანი

უკრაინა: ვორობიოვი, ლუჟნი, მიკიტინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ციხმეისტრუკი, პოპოვი (კონოვალოვი 36), გუსინი, შევჩენკო (კარდაში 80), რებროვი (სკაჩენკო 75)

სომხებმა უკრაინელებს „რაზდანიდან“ სამი ქულა არ გაატანეს. ლიდერთან მათი ფრე, მნიშვნელოვანწილად, სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ მეკარის, რომან ბერეზოვსკის დიდებულმა თამაშმა განაპირობა. მატჩის დაძაბულობასა და მასპინძელთა თავდადებაზე ისიც მეტყველებს, რომ შეხვედრის განმავლობაში უკრაინელთა ორმა მოთამაშემ, სერგეი პოპოვმა და სერგეი რებროვმა, ტრავმების გამო დატოვეს მოედანი.

მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, ფეხბურთზე გაცილებით მნიშვნელოვანი და უკრაინელთათვის ლამის საბედისწერო გამოდგა. ერევნის „ზვარტნოცის“ აეროპორტიდან აფრენისას ტუ-154-ს, რომელშიც 170 ადამიანი, მათ შორის, უკრაინის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები და მათი მწვრთნელები ლობანოვსკი, საბო და კოლოტოვი იმყოფებოდნენ, ცეცხლი გაუჩნდა და მგზავრთა დროული გახიზნვა რომ არა, შესაძლოა ტრაგედიაც დატრიალებულიყო.

— ეს ბედისწერაა, რამდენიმე წამში კინაღამ ყველა საუკეთესო უკრაინელი ფეხბურთელი დაიღუპა — თქვა შეძრწუნებულმა იოზეფ საბომ.

გადარჩენილმა უკრაინელებმა ღამე აეროპორტის ჰოლში გაათენეს, დილით, 9 საათზე კი კიევს გაფრინდნენ.

ანდორა 0:1 საფრანგეთი

0:1 ლებეფი (85 პ)

ანდორა: ალვარესი, პოლი, რამირესი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, ჩ. გარსია (ხონასი 70), გონსალესი, სონეხი, რუისი, ხიმენესი (გ. გარსია 89), ლუსენდო (მარტინი 77)

საფრანგეთი: რამე, კარამბე, ლებეფი, დესაი, კანდელა, ბოგოსიანი, პეტი (ვიერა 56), ვილტორდი, დორასო (პირესი 60), დიუგარი, ანელკა

მატჩი, რომელშიც ანდორა მასპინძლად ითვლებოდა (თამაში ბარსელონის „ესტადიო ოლიმპიკო დე მონხუიკზე“ გაიმართა), ფრანგებმა მხოლოდ და მხოლოდ 85-ე წუთზე, ისიც პენალტით გატანილი გოლის წყალობით მოიგეს. პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ ფრანსესკო რამირესმა ნიკოლა ანელკასთან ორთაბრძოლის დროს ბურთს ხელი შეახო. თერთმეტი მეტრიდან ზუსტი დარტყმა კი ლონდონური „ჩელსის“ მცველმა, ფრანკ ლებეფმა შეასრულა.

მანამდე, გაცილებით ადრე, 24-ე წუთზე, ჩრდილო ირლანდიელმა მსაჯმა, მაიკლ როსმა, მეტოქის მცველთან, ტონი ლიმასთან ძიძგილაობის გამო მოედნიდან კრისტოფ დიუგარი გააძევა. აღსანიშნავია, რომ ლიმამ შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე თავადაც იხილა წითელი ბარათი.

ანდორელთა ტაქტიკა ლოგიკური გახლდათ — ათი კაცი ბურთს უკან, დაზღვევაზე. „მასპინძელთა“ შორის ყველაზე მეტად გოლკიპერი, კოლდო ალვერესი გამოირჩეოდა.

უკრაინა	7	4	3	0	12:3	15
საფრანგეთი	7	4	2	1	11:6	14
რუსეთი	7	4	0	3	17:10	12
ისლანდია	7	3	3	1	7:3	12
სომხეთი	7	1	2	4	3:10	5
ანდორა	7	0	0	7	2:20	0

4 სექტემბერი: უკრაინა — საფრანგეთი; ისლანდია — ანდორა; რუსეთი — სომხეთი
8 სექტემბერი: ანდორა — რუსეთი; ისლანდია — უკრაინა; სომხეთი — საფრანგეთი
9 ოქტომბერი: საფრანგეთი — ისლანდია; რუსეთი — უკრაინა; ანდორა — სომხეთი

V ჯგუფი

ბულგარეთი 1:1 ინგლისი

0:1 შირერი (15), 1:1 მარკოვი (18)

ბულგარეთი: ივანკოვი, კიშიშევი, ზაგორჩიჩი, სტოილოვი, მარკოვი, კირილოვი, ს. პეტროვი, სტოიჩკოვი (ბაჩევი 74), იოვოვი (მ. პეტროვი 46), პეტკოვი, ილიევი (ბორიმიროვი 61)

ინგლისი: სიმენი, ფ. ნევილი, გრეი, ვუდგეიტი (პარლოუ 65), საუთგეიტი, კემბელი, რედნეპი, ბეტი, შირერი, შერინგემი, ფაულერი (პისკი 82)

მასპინძლებმა იუბილარ მწვრთნელ დიმიტარ დიმიტროვს, რომელიც იმ დღეს 40 წლის გახდა, შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნეს, ინგლისელებმა კი... არაა გამორიცხული, ფეხბურთის სამშობლოს შვილები ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ.

შირერმა, რომელმაც სანაკრებო კარიერაში გატანილი 23-ე გოლით თავისიანები დააწინაურა, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ობიექტურად აღნიშნა, დღევანდელი ინგლისის ნაკრები გუნდი კი არა, ჯგროაო.

მართლაც ასეა — ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა კევინ კიგანმა, რომელსაც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ პირველი გუნდის გაწვრთნა დაავალა, სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. მისი გუნდი ნამდვილად არაა



REUTERS ლივერპულიდან

უელსი — დანია 0:2. სტიგ ტოფტინგს მეორე ბურთი გააქვს უელსელთა კარში

UEFA EURO 2000

იმ დონის, შვედეთის ძლიერ ნაკრებს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში წინააღმდეგობა გაუწიოს.

— ვერმოგების მიზეზი უბრალოა, ბულგარელთა კარში ხეირიანად ხუთჯერაც არ დაგვირტყამს — ეს იმავე ალან შირერის სიტყვებია.

ინგლისელებმა ბულგარელთა კარში ხეირიანად ორჯერ დაარტყეს. პირველად შირერმა გაიტანა გოლი, შემდეგ კი ლივერპულელ ჯეიმი რედნაპს არ გაუმართლა. მე-18 წუთზე გეორგი მარკოვმა მეტოქეს ლახვარი ჩასცა — მის მიერ დარტყმული ბურთი დევიდ სიმენს გასცდა და ალბიონელთა კარში შევარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისელებთან ბოლო რვა დაპირისპირებაში, ანუ 37 წლის მანძილზე, ბულგარელებმა ინგლისელებს მხოლოდ და მხოლოდ მეორე გოლი გაუტანეს.

— ინგლისელთა კარში გოლის გატანაზე ვერც ვოიცნებებდი. თავი საამოთხეში მეგონა. ჩემთვის ეს უდიდესი სტიმულია — ამბობდა გოლის ავტორი.

„კიგანს ინგლისელები ძალიან აკრიტიკებენ. არ უნდოდა კაცს ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავება, ამბობდა, დამტოვეთ „ფულემშიო“, მაგრამ არ უსმინეს. ისჯებიან კიდეც.

ლუქსემბურგი 2:3 პოლონეთი

0:1 სიადაჩკა (22), 0:2 ვიხნიარეკი (45), 0:3 ივანი (68), 1:3 ბირსენსი (76), 2:3 ვანეკი (83)

ლუქსემბურგი: ფელგენი, ვანეკი, ფუნკი, ბირსენსი, შტრასერი, სებენი (ალვერდი 84), ტეისი (შნაიდერი 74), დევილი, ზარიცკი (პოზონგი 65), კარდონი, კრისტოფი

პოლონეთი: მატისეკი, ვალდოხი, კნოსი, ლაპინსკი, სიადაჩკა, ჰაიტო (ბრუეჩეკი 65), ნოვაკი, მიხალსკი, ივანი, ვიხნიარეკი (მაიაკი 87), ტრეეჩიკი

შვედეთი	5	4	1	0	6:1	13
პოლონეთი	6	4	0	2	12:6	12
ინგლისი	6	2	3	1	8:4	9
ბულგარეთი	6	1	2	3	3:7	5
ლუქსემბურგი	5	0	0	5	2:13	0

4 სექტემბერი: შვედეთი — ბულგარეთი; ინგლისი — ლუქსემბურგი
8 სექტემბერი: ლუქსემბურგი — შვედეთი; პოლონეთი — ინგლისი
9 ოქტომბერი: შვედეთი — პოლონეთი; ბულგარეთი — ლუქსემბურგი

VI ჯგუფი

ესპანეთი	5	4	0	1	28:4	12
ისრაელი	5	3	1	1	15:3	10
ავსტრია	6	3	1	2	15:16	10
კვიპროსი	5	3	0	2	8:8	9
სან მარინო	7	0	0	7	1:36	0

4 სექტემბერი: ავსტრია — ესპანეთი
5 სექტემბერი: კვიპროსი — ისრაელი
8 სექტემბერი: ესპანეთი — კვიპროსი; ისრაელი — სან მარინო
9 ოქტომბერი: ესპანეთი — ისრაელი
10 ოქტომბერი: ავსტრია — კვიპროსი

VII ჯგუფი

რუმინეთი 4:0 აზერბაიჯანი

1:0 განეა (35), 2:0 მუნტიანუ (44 პ), 3:0 ვლადოიუ (50), 4:0 როსუ (90)

რუმინეთი: ლობონტი, პეტრესკუ, ნანუ, ფილიპესკუ, გალკა, პოპესკუ, პეტრე (მოლდოვანი 67), მუნტიანუ, განეა (კრაიოვეანუ 59), ლუპესკუ, ვლადოიუ (როსუ 79)

აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი (გეცმანი 71), იადულაევი, ახმედოვი, ისაევი (ვასილიევი 82), კერიმოვი, მ. გურბანოვი (მუსაევი 59), ტაგიზადე, გ. გურბანოვი, პოშეოცევი, სირჰაევი

კაცმა რომ თქვას, 9 ივნისის თამაშები ამ ჯგუფში ლიდერთა ცვლილებას არც მოასწავებდა — პორტუგალია, რომელიც ერთი ქულით უსწრებდა რუმინეთს, ლიხტენშტაინს მასპინძლობდა, რუმინეთი კი აზერბაიჯანელებს იღებდა. პორტუგალიასაც და რუმინეთსაც, თავადაც ხვდებით, გამარჯვება ჰქონდათ გულში ამოჭრილი.

თუ პორტუგალიამ ლიხტენშტაინს რვა გოლი გაუტანა, რუმინეთი ამის ნახევრით დაკმაყოფილდა. ყველაფრის მიუხედავად, დიდი ანგარიშით მაინც მოიგო, სწორედ ისე, როგორც ეგმავდა.

მასპინძლები რუმინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ბუქარესტის „რაპიდის“ თავდამსხმელმა იონელ განეამ დააწინაურა, რომლისთვისაც ეს გოლი ნაკრებში ჩატარებულ მეექვსე მატჩში მეოთხე გახლდათ.

უნგრეთი 0:1 სლოვაკეთი

0:1 ფაბუსი (53)

უნგრეთი: კირალი, ჰრუტკა, კორშოში, მატიუში, ვ. შებოკი, ჰალმაი (ბიშონტი 73), ი. შებოკი, დარდა, შომოდი (რეიზინგერი 78), ილეში, ედრეში (დომბი 60)

სლოვაკეთი: კონიგი, ტომკო, კარპინი, კრატოჰვილი, ვარგა, ლაბანტი, ვალახოვიჩი, ზვარა (ჯურიკი 81), პინტუ, ნემეცი, ფაბუსი

უნგრული ფეხბურთის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნის ნაკრები მეორედ დაუპირისპირდა მეზობელი სლოვაკეთის გუნდს და კვლავ ვერ

REUTERS ფოტოებიდან

ირლანდია — მაკედონია 1:0. რობი კინი (№10) იგორ ნიკოლოვსკის წინააღმდეგ

გაუტანა. პირველი შეხვედრა, მარტში რომ შედგა, ფრედ 0:0 დასრულდა.

პორტუგალია 8:0 ლიხტენშტაინი

1:0 სა პინტუ (28), 2:0 ჟოაო პინტუ (40), 3:0 სა პინტუ (44), 4:0 რიტერი (52ს.კ.), 5:0, 6:0 ჟოაო პინტუ (59, 67), 7:0, 8:0 რუი კოშტა (80, 90პ)

პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიუ (ნუნუ კაპუჩო 14), კოუტუ, მადეირა, დიმაში, სოუზა (ბარბოსა 63), კონსეიასაო, კოშტა, ფიგუ, ჟოაო პინტუ, სა პინტუ

ლიხტენშტაინი: იელე, ზეხე, ოსპელტი, რიტერი, ჰასლერი, დ. ტელზერი (ლინგი 53), მ. შტოკლაზა (ბურგმაიერი 65), ვოლვენდი, მ. ტელზერი (ბუხელი 73), ბეკი, ბიკერი

— ლიხტენშტაინი საკმაოდ კარგი გუნდია და მოხარული ვარ, რომ ჩვენ შევძელით რვა გოლის გატანა — ვერ გეტყვით ხუმრობდა თუ არა პორტუგალიელთა მწვრთნელი უმბერტო კელიო, მაგრამ სასაცილო ნათქვამი კი გამოუვიდა. განა შეიძლება, ლიხტენშტაინს კარგი გუნდი უწოდო?

რვა გოლი ერთ შეხვედრაში! — ოფიციალურ მატჩში ამაზე უკეთესი რა უნდა ყოფილიყო. გამარჯვებულის ბედი თავიდანვე ცნობილი იყო. პორტუგალია ლიხტენშტაინთან ისევე იყო წამგები, როგორც ლიხტენშტაინი პორტუგალიის დამმარცხებელი. ერთი სიტყვით, სტუმრებს შანსი არ ჰქონდათ.

ლისაბონის „ბენფიკას“ თავდამსხმელმა ჟოაო პინტუმ ჰეთ-თრიქი შეასრულა. იგი ნაკრებში 50-ედ თამაშობდა და ერთი შეხედვით საიუბილეო მატჩი სამი გოლით აღნიშნა. მათგან გამორჩეულად ლამაზი პირველი იყო — მეორმოცე წუთზე დაახლოებით 30 მეტრიდან შეაგდო.

— კმაყოფილნი ვართ, მხოლოდ 0:8 რომ წავაგეთ. მეშინოდა, პორტუგალიელებს 11 ან 12 გოლი არ გაეტანათ, მაგრამ გადავრჩით — ლიხტენშტაინის ნაკრების მწვრთნელი რალფ ლოოსი.

ბოლო 4 შეხვედრაში პორტუგალიამ ლიხტენშტაინს 28 გოლი გაუტანა.

პორტუგალია	7	6	0	1	27:2	18
რუმინეთი	7	5	2	0	16:4	17
სლოვაკეთი	7	3	2	2	8:4	11
უნგრეთი	7	2	2	3	11:7	8
აზერბაიჯანი	7	1	0	6	5:21	3
ლიხტენშტაინი	7	1	0	6	2:34	3

3 სექტემბერი: აზერბაიჯანი — პორტუგალია
4 სექტემბერი: სლოვაკეთი — რუმინეთი; ლიხტენშტაინი — უნგრეთი
8 სექტემბერი: რუმინეთი — პორტუგალია; სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი; უნგრეთი — აზერბაიჯანი
9 ოქტომბერი: ლიხტენშტაინი — რუმინეთი; აზერბაიჯანი — სლოვაკეთი
10 ოქტომბერი: პორტუგალია — უნგრეთი

VIII ჯგუფი

ირლანდია 1:0 მაკედონია

1:0 ქუინი (65)

ირლანდია: კელი, ქარი, ირვინი, კარსლი, კანინგემი, ბრინი, კენედი, კინსელა, ქუინი (კონოლი 81), კინი (კასკარინო 67), დაფი (კილბენი 61)

მაკედონია: მილოშევსკი, საინოვსკი (სედლოვსკი 70), სტავრევსკი, სტოიანოვსკი, ნიკოლოვსკი, ბაბუნსკი, ტრაიჩევი, ნიკევსკი, ცირიკი, ტრენევსკი (ჰრისტოვი 76), საკირი

მიუხედავად მოგებისა, ირლანდია მაინც მეორეა და თან ვის ჩამორჩება? იუგოსლავიას!

დუბლინში მასპინძელთა გამარჯვება ვეტერანი თავდამსხმელის, ტანმაღალი ნილ ქუინის ერთადერთმა გოლმა განაპირობა. ქუინი, ალბათ, გახსოვთ, თავის დროზე ქინქლაძის თანაკლუბელი გახლდათ „მანჩესტერ სიტიში“.

მაკედონიელებს ირლანდიელთა ნახევარდაცვის ლიდერის, როი კინის არყოფნის გამო თითქოს მოედნის შუაგულში უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა — მათ ირლანდიელები სჯობდნენ.

იუგოსლავია	3	3	0	0	8:1	9
ირლანდია	4	3	0	1	8:1	9
მაკედონია	5	2	1	2	9:6	7
ხორვატია	4	2	1	1	8:6	7
მალტა	6	0	0	6	3:22	0

18 აგვისტო: იუგოსლავია — ხორვატია
4 სექტემბერი: ხორვატია — ირლანდია; იუგოსლავია — მაკედონია
8 სექტემბერი: მალტა — ირლანდია; მაკედონია — იუგოსლავია
10 ოქტომბერი: ხორვატია — იუგოსლავია; მაკედონა — ირლანდია;
თარიღები დაუდგენელია: ხორვატია — მალტა; ირლანდია — იუგოსლავია

IX ჯგუფი

ჩეხეთი 3:2 შოტლანდია

0:1 რიჩი (30), 0:2 ჯონსტონი (63), 1:2 რეპკა (65), 2:2 კუკა (75), 3:2 კოლერი (87)

ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, სუხოპარეკი, ნედვედი, ჰორნაკი, ჰაშეკი (ბარანეკი 61), ნემეცი, პობორსკი (კოლერი 69), ლოკვენეცი (კუკა 69), შმიცერი, ბერგერი

შოტლანდია: სალივანი, ვიარი, ბოიდი, კალდერვუდი, რიტჩი, დევიდსონი, დოდსი, ლამბერტი, გალახერი, დიურანტი (ჯესი 71), ჯონსტონი

ჩეხეთის ნაკრებმა ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვა და გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„როდესაც მოწინააღმდეგე 2:0-ს გვიგებდა, ბუნებრივია, ცუდ გუნებაზე ვიყავით, მაგრამ გუნდმა რთულ ვითარებას თავი საუცხოოდ გაართვა. ბედნიერი გახლავართ, რომ ვმუშაობ ფეხბურთელებთან, რომლებიც მოტივაციას თავიდანვე პოულობენ. ბედნიერი გახლავართ იმითაც, რომ ჩეხეთში ბევრი მაღალი კლასის ფორვარდია და მათ შორის არჩევა შემიძლია“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ბელგია — ჰოლანდიის პირველი საგზურის მფლობელის მწვრთნელმა იოჟეფ ხოვანეცმა.

რაც შეეხება დამარცხებული შოტლანდიის თავკაცს, კრეიგ ბრაუნს, მან იხტიბარი არ გაიტეხა: „ამას წინათ გერმანიის ნაკრებს გერმანიაში, ამხანაგურ შეხვედრაში მოვუგეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვით ევროპის ჩემპიონს ვჯობიავართ“.

ჯობია თუ არა შოტლანდიის ნაკრები გერმანიისას, თავად განსაჯეთ, ჩვენ კი ის ვიცით, რომ ბრაუნის ქვეშევდრომები პრაღაში, ჩეხეთს 2:0-ს უგებდნენ, მაგრამ ბოლო 25 წუთში სამი გოლი გაუშვეს და დამარცხდნენ. ამასთანავე, შეგახსენებთ, რომ შაბათს სქოთებმა ფაერერის კუნძულების ეროვნულ გუნდთან 1:1 ითამაშეს.

აი, ჩეხეთი კი მართლაც საუცხოო გუნდია. სიტყვა, რომელიც მისი თამაშების ხილვისას ახსენდება ადამიანს. ალბათ, დახვეწილობა ან გონიერება იქნებ (გავკადნიერდებით და) სრულყოფილებაც გახლავთ. გვესმის, სრულყოფილება სახიფათო სიტყვაა და მას რომ იყენებ ძალიან დიდი განმარტება უნდა დააყოლო. რადგან, ვერც ერთი გუნდი სრულყოფილი თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ იქნება, რომ ის განსხვავებული გემოვნების ხალხს ვერ დაკმაყოფილებს. მაგალითად, ჭისაც არტისტული, ჟონგლიორული ფეხბურთი უყვარს, მას ჩეხთა შედარებით „მშრალი“ თამაში არ მოეწონება, მაგრამ თუ შევძლებთ და გემოვნებაზე თვალს დავხუჭავთ, დავინახავთ შვიდიდან შვიდ მატჩში გამარჯვებულ გუნდს, რომელიც ძალიან მაღალი კლასის შემსრულებლებით არის დაკომპლექტებული. ეს ფეხბურთელები თამაშს თეორიულ მეცადინეობებზე კი არა, მისი მსვლელობისას კითხულობენ და აქცენტების ზუსტი გადანაწილებით იგებენ შეხვედრებს. თუმცა, ჩეხეთის ნაკრებზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ევრო 2000-ს პირველი, ღირსეული ფინალისტი ჰყავს.

ფაერერები 2:2 ბოსნია

0:1 ბოლიჩი (13), 1:1, 2:1 არგე (38, 48), 2:2 ბოლიჩი (50)

ფაერერები: მიკელსენი, ო. იოჰანსენი, იონსენი, ტორსტეისონი, ო. ჰანსენი (იარნსკორი 65), ჯ. იონსონი, ჰ. ჰანსენი, არგე (ი. იონსენი 85), მურკურე, ტ. იონსონი, პეტერსენი

ბოსნია: დედიჩი, სმაიჩი, ბესირევიჩი, ვარესანოვიჩი, ჰიბიჩი, ტურკოვიჩი (იოფლიჩი 63), რეპუ (ოსმანპოჯიჩი 78), საბიჩი, ბოლიჩი, მუიცინი, ტოპიჩი (მურატოვიჩი 85)

ბოსნიელთა მეკარემ მირისად დედიჩმა პენალტი მოიგერია — სენსაცია არ შედგა, ფაერერებმა ვერ მოიგეს, მაგრამ ზედიზედ მეორედ ფრედ დაასრულეს შეხვედრა. დედიჩმა იონ ჰეტერსენს არ გაატანინა.

ესტონეთი 1:2 ლიტვა

1:0 ოპერი (8), 1:1 ლემსალუ (51ს.კ.), 1:2 მაციულევიუჩუსი (56)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, კირსი, კაალი, ვიიკმაე, ალონენი, ტერეხოვი (ო'კონელ-ბრონნინი 73), ოპერი, კრისტალი (სვეტსი 80), რეიმი, ზელინსკი

ლიტვა: ლეუსი, სკერლა, სკინდერისი, დ. ჟუტაუტასი (მაციულევიუჩუსი 46), რ. ჟუტაუტასი, ჟვირუზდაუსკასი, ბაჰელისი, ივანაუსკასი (პრეიკსაიტისი 87), ბაზანაუსკასი, სკარბალიუსი, მიკალიუნასი

ლიტვამ ესტონეთს აჯობა. ტალინში გამართულ მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ გოლი შეხვედრის დასაწყისშივე გაუშვა, ლიტვის ნაკრებმა ძალა მოიკრიბა, შესვენებაზე დასკვნები გააკეთა, თამაშში კორექტივები შეიტანა და მეორე ტაიმში გატანილი ორი გოლის წყალობით სამი ქულა ჩაიწერა. ვერ გეტყვით, რამდენად შეძლებენ ლიტველები ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლასა და პლეი ოფში მოხვედრას, მაგრამ დღეს შოტლანდიის ტოლად, 8 ქულა აქვთ.

ჩეხეთი	7	7	0	0	17:5	21
შოტლანდია	6	2	2	2	9:9	8
ლიტვა	7	2	2	3	7:9	8
ბოსნია	6	2	2	2	9:10	8
ესტონეთი	7	2	1	4	12:13	7
ფაერერები	7	0	3	4	4:12	3

18 აგვისტო: შოტლანდია — ბოსნია
4 სექტემბერი: ბოსნია — შოტლანდია; ფაერერები — ესტონეთი; ლიტვა — ჩეხეთი
8 სექტემბერი: ჩეხეთი — ბოსნია; ფაერერები — ლიტვა; ესტონეთი — შოტლანდია
9 ოქტომბერი: ესტონეთი — ბოსნია; ჩეხეთი — ფაერერები; შოტლანდია — ლიტვა

REUTERS ფოტოებიდან

რუსეთი — ისლანდია 0:0. ბრინიარ გუნარსონი (მარცხნივ) ალექსანდრ პანოვს ისე „იჭერდა“



REUTERS ბარსელონიდან

ლიტმანენმა ბარსას მაისურა მოირგო

ლიტმანენი ბარსელონელია

ხელშეკრულებაც გაფორმდა — ფინელი იარი ლიტმანენი „ბარსელონას“ ფეხბურთელად უკვე ოფიციალურად მოიხსენიება. გუშინ თავდამსხმელმა კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა.

— არა მგონია, „ბარსელონაში“ გამიჭირდეს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს „აიაქსში“ ხელმეორედ გადავედი — განაცხადა ლიტმანენმა, რომელსაც ესპანურ გუნდში ყოფილი თანაკლუბელები — ძმები დებურები; მიხაელ რაიციგერი, პატრიკ კლუივერტი და ასევე ყოფილი მწვრთნელი ლუის ვან გაალი დახვდა.

„ბარსელონა“ იარი ლიტმანენს ცხრა წლის წინაც იწვევდა, მაგრამ მაშინ თავდამსხმელი არ აჩქარდა. დღეს იგი „კამპ ნოუზეა“.

— მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, „ბარსელონაში“ რომ გადავსულიყავი, ვეჭვობ, ახლა კიდევ კლუბში ვყოფილიყავი. ვფიქრობ, ცხრა წლის წინ შინ რომ დავრჩი, მართებული გადაწყვეტილება მივიღე — განაცხადა ფინელმა.

ცხადია, ვან გაალი ძალიან გახარებულია.

სამი მილიონით მეტი

ტურინის „იუვენტუსს“ იუგოსლავიელი თავდამსხმელის დარკო კოვაჩევიჩის თავისთან ხილვა მოუწადინებია. იტალიელები მზად ყოფილან 25 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 18,8 მილიონი დოლარი გადაიხადონ. ფეხბურთელის კლუბი ესპანური „სოსიედადი“ ამ ფასად კოვაჩევიჩის დათმობას არ აპირებს. სანსებასტიანელები 21,9 მილიონ დოლარს ითხოვენ.

— „იუვენტუსს“ ჩვენგან კოვაჩევიჩის შეძენა რომ სწადია, ახალი ამბავი სულაც არაა. მათ უკვე მოგვმართეს ოფიციალური წინადადებით და უახლოეს დღეებში ჩვენს შორის მოლაპარაკება დაიწყება — განაცხადა „სოსიედადის“ პრეზიდენტმა ლუის ურანგა ოტაეგომ.

კოვაჩევიჩის შეძენა მადრიდის „ატლეტიკოსაც“ სურს. დედაქალაქური კლუბის მწვრთნელი რადომირ ანტიჩი აცხადებს, რომ იუგოსლავიელი თავდამსხმელის მის გუნდში გადასვლა „ატლეტიკოს“ საგრძნობლად გააძლიერებს. ხესუს ხილი ხილმა ფეხბურთელის შესაძენად 14,4 მილიონი დოლარი გამოუყო.

საბოლოო გადაწყვეტილება თავად კოვაჩევიჩმა უნდა მიიღოს.

დარკო კოვაჩევიჩი აგერ უკვე მესამე სეზონია, „სოსიედადში“ თამაშობს და ხელშეკრულების თანახმად, ესპანურ კლუბში 2003 წლამდე უნდა დარჩეს, მაგრამ...

— ჩემი მიზანი კიდევ და კიდევ წინსვლაა. იტალიაში თამაშის შანსი თუ მომეცა, მის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ. მიმაჩნია, რომ სერია A მსოფლიოში უძლიერესი ლიგაა — განაცხადა კოვაჩევიჩმა.

არცთუ ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ტანმაღალ ფეხბურთელს ოთხ კლუბში უთამაშია — იუგოსლავიურ „პროლეტერ ზრენიში“ და „ცრვენა ზვეზდაში“ გატარებული ოთხი წლის შემდეგ იგი ინგლისურ „შეფილდ უენსდეიში“ გადავიდა, ახლა კი, როგორც ვთქვით, „სოსიედადში“ თამაშობს.

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის პრემიერლიგაში აღზევებული „უოტფორდის“ მწვრთნელმა გრეგ ტეილორმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დევიდ პლატი მომავალ სეზონში პრემიერლიგაში დაიხმაროს როგორც ფეხბურთელი.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა, ტონი ბენქსმა იტალიელ კოლეგებს დახმარება აღუთქვა სპორტში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იტალიაში სპორტის სამინისტრომ ბრძოლა გამოუცხადა ყველა იმ ქმედებას, რომელიც რასიზმისკენაა მიმართული. იტალიის ჩემპიონატში რამდენჯერმე მოხდა მსგავსი ფაქტი და ამის გამოც შესაბამისმა ორგანოებმა საკადრისი პასუხები გასცეს დამნაშავეთ.

გერმანიის თასის ფინალში, რომელიც შაბათს უნდა შედგეს, შესაძლოა მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა — იენს იერემისმა და მცველმა ტომას შტრუნცმა ვერ ითამაშონ. ორივე ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, მოლდოველთა წინააღმდეგ ნაკრებში თამაშისას დაშავდა — იერემისმა მხარი იტკინა, შტრუნცმა კი მარჯვენა კოჭი დაიზიანა. გერმანიის თასის ფინალში „ბაიერნი“ ბრემენის „ვერდერს“ ხვდება. თუ მიუნხენელებმა გაიმარჯვეს ისინი დუბლს შეასრულებენ — ბუნდესლიგა მათ უკვე მოიგეს.

ბრაზილიელი ნახევარმცველი პაულო სერჟიო იტალიური „რომადან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა. გერმანული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ჰაინესმა განაცხადა, რომ ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, აპენინელებმა კი ბრაზილიელი ნახევარმცველის სანაცვლოდ 6,4 მილიონი დოლარი მიიღეს. პაულო სერჟიოს, რომელსაც ბრაზილიის ნაკრებში ოცჯერ უთამაშია, „რომასთან“ კონტრაქტი 2001 წლამდე ჰქონდა, მაგრამ რომის კლუბის ახალმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ მას წასვლის უფლება მისცა. შეგახსენებთ, რომ 1993-97 წლებში სერჟიო „ლევერკუზენში“ თამაშობდა.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა მხარი დაუჭირა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს, რომელიც მის წინადადებას გამოეხმაურა კლუბებში ლეგიონერთა შემცირების თაობაზე. რიბეკი აცხადებს, რომ გუნდებს მკაცრად უნდა განესაზღვროთ მატჩებში ლეგიონერთა თამაშის უფლება.

ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

ვალენსია 6:0 რეალი

1:0 კ. ლოპესი (19), 2:0 როში (31), 3:0 ვლაოვიჩი (33), 4:0 როში (42), 5:0 ანგულო (54), 6:0 მენდიეტა (71)

ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, (სორია 46), კარბონი, როში, ანგლომა, მენდიეტა, ფარინოსი, ანგულო (პოპესკუ 80), მია (ხუანფრანი 69), კ. ლოპესი, ვლაოვიჩი

რეალი: ილგნერი, სანჩისი (როხასი 55), ივან კამპო, კარანკა, დორადო (ტენა 77), რედონდო, ზეედორფი, გუტი (ოგნიენოვიჩი 60), ხაიმე, საავია, მორიენტესი

გაფრთხილება: სორია, როში, ვლაოვიჩი, კარანკა, მორიენტესი

გაძევება: რედონდო (25), ვლაოვიჩი (65)

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

იუმორის გრძნობა მადრიდის „რეალის“ უელსელ მწვრთნელ ჯონ ტოშაკს არ დაეწუნება, მაგრამ საკითხავი ისაა, რამდენად დროული გახლდათ მისი მატჩისშემდგომი ხუმრობა. თავად განსაჯეთ:

— ჟურნალისტები კიდევ იტყვით, შედეგი გვიკვირსო...

— ახლა გამალებით უნდა მოვემზადოთ საპასუხო თამაშისთვის...

— გუნდმა კარგად ითამაშა, ერთი ეგაა, დაცვა ცოტათი მოიკოჭლებდა...

რაც უნდა იყოს, ასეთი საშინელი წაგების შემდეგ ტოშაკის ოხუნჯობა უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე გამახალისებელი. თუმცა ჩვენ რა თავს ვიტეხთ, მადრიდელმა ქომაგებმა იკითხონ.

ფინალისტი, ცხადია გარკვეულია. „რეალს“ ფინალში გასვლის თეორიული შანსი კიდევ რჩება, მაგრამ ეს უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ისეთი ფანტასტიკის, მისი რეალობად ქცევა მხოლოდ ჰოლივუდელ რეჟისორებს რომ ძალუძთ, „რეალს“ კი არა.

6:0 მაინც ძალიან ბევრია. მადრიდის „რეალისთვის“ ეს განადგურებაზე და შერცხვენაზე გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა აღიქვა.

— დიდი ანგარიშით კი მოვიგეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „რეალს“ გაცილებით მეტი ძალუძს. მან, უბრალოდ, ძალები ჩემპიონატისთვის გადაინახა — განაცხადა „ვალენსიას“ თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ. ერთი მხრივ, გამარჯვებულთა იტალიელ მწვრთნელს შეიძლება დაეთანხმო — ესპაწეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში „რეალი“ თანაქალაქელ „ატლეტიკოს“ ხვდება და მართლაც დაძაბული ბრძოლა მოელის, მაგრამ ვფიქრობ, ძალების არც იმდენად გადანახვაა საჭირო, საერთოდ რომ შერცხვე.

„რეალს“ ფეხბურთელები აკლდაო — იტყვიან მადრიდელთა ქომაგები და მართლებიც იქნებიან. ნაწილობრივ ეს ასეა, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ ასეთი დონის კლუბი, ოთხი-ხუთი ფეხბურთელის გამოკლებით, უფსკრულში არ უნდა გადაიჩეხოს. იგივე ილგნერი, სანჩისი, ივან კამპო, ზეედორფი, რედონდო და მორიენტესი განა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები არ არიან?

ასეთი წაგება „რეალისთვის“ კი არა, ყველასთვის სამარცხვინოა.

...0:6 მადრიდის „რეალმა“ 1953 წელს წააგო „მალაგასთან“. მას შემდეგ სამეფო კლუბს ასეთი გამანადგურებელი მარცხი აღარ უწვნევია. კი, 1983-84 წლების სეზონში იმავე „მალაგასთან“ ექვსი გოლი გაუშვა, მაგრამ მაშინ თავად ორი გაიტანა.

ერთიც: მადრიდელთა შემადგენლობაში პირველად ითამაშა იუგოსლავიელმა პერიცა ოგნიენოვიჩმა. შეგახსენებთ, რომ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში, ერთი წლის წინ ფოთში, „კოლხეთი 1913“-ის წინააღმდეგ, სწორედ მისმა შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა სტუმართა გამარჯვება.

REUTERS ვალენსიიდან

„ვალენსია“ დაუვიწყარი გამარჯვების შემდეგ

მადრიდის «რეალის» განადგურებები

03.03.30	ჩემპიონატი	ესპანიოლი — რეალი	8:1	19.05.57	თასი	ბარსელონა — რეალი	6:1
21.12.47	ჩემპიონატი	ოვიედო — რეალი	7:1	30.04.75	ჩემპიონატი	სარაგოსა — რეალი	6:1
31.12.50	ჩემპიონატი	ესპანიოლი — რეალი	7:1	12.03.50	ჩემპიონატი	ბილბაო — რეალი	6:2
24.09.50	ჩემპიონატი	ბარსელონა — რეალი	7:2	17.09.50	ჩემპიონატი	სოსიედადი — რეალი	6:2
31.01.31	ჩემპიონატი	რეალი — ბილბაო	0:6	11.09.83	ჩემპიონატი	მალაგა — რეალი	6:2
15.03.53	ჩემპიონატი	მალაგა — რეალი	6:0	12.01.47	ჩემპიონატი	რეალი — ბილბაო	3:6
09.06.99	თასი	ვალენსია — რეალი	6:0	12.11.50	ჩემპიონატი	რეალი — ბილბაო	3:6

დამშვიდობება პირველ გუნდთან

ხრისტო სტოიჩკოვი ბულგარეთის ნაკრებს გამოეთხოვა — ინგლისთან მან ქვეყნის პირველი გუნდის შემადგენლობაში უკანასკნელად ითამაშა.

17 წლის შემდეგ ბულგარეთის ნაკრები დაობლდა. იქნებ ეს ფრაზა გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეა — ბულგარელები საყვარელ ფეხბურთელთან გაშოთხოვებას ძალიან განიცდიან.

როცა ინგლისთან თამაში დასრულდა, გასახდელისკენ მიმავალ სტოიჩკოვს იოჰან კრუიფი შეეგება. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს — „ბარსელონას“ ყოფილმა მწვრთნელმა კატალონიური კლუბის ყოფილ ვარსკვლავს, რომელთან ერთადაც უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია, პატივი დასდო და სოფიაში ეწვია. კრუიფის გარდა ხრისტოს მისი პირველი მწვრთნელი, თავის დროზე სოფიის ცსკა-ს და ბულგარეთის ნაკრების თავკაცი დიმიტარ პენევიც შეეგება.

ხდება ხოლმე, ფეხბურთელი ნაკრების დონეს ვერ აკმაყოფილებს და ქვეყნის პირველი გუნდიდან ამიტომაც მიდის. სტოიჩკოვის შემთხვევაში ასეთი რამ არ ყოფილა — ევროპის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ბულგარეთის ნაკრებში ალბათ კიდევ დიდხანს ითამაშებდა გუნდიდან წასვლა თავად რომ არ მოეწადინებინა. უკანასკნელ შეხვედრაშიც, ინგლისთან, იგი მასპინძელთაგან საუკეთესო გახლდათ. ის ერთადერთი გოლი რომელიც ბრიტანელთა კარში გავიდა, სწორედ სტოიჩკოვის პასს მოჰყვა.

ბულგარეთის ნაკრებმა უდიდეს წარმატებას 1994 წელს მიაღწია — მაშინ ბულგარელები მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ, ხრისტო სტოიჩკოვი კი გუნდის ლიდერი იყო. ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელი ექვსი გოლით მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა. იმ წლის გვირგვინი კი „ფრანს ფუტბოლისგან“ ბოძებული ოქროს ბურთი იყო, რომელიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებს ყოველწლიურად გადაეცემათ.

იყო დრო მას, ალბათ ყველაზე პოპულარულ ბულგარელს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობასაც სთავაზობდნენ, მაგრამ დღეს ეს ბევრს აღარც ახსოვს...

ახლა სტოიჩკოვის გულშემატკივრები კერპს მხოლოდ საკლუბო დონეზე იხილავენ. თავდამსხმელი იაპონიის ჯეი ლიგის კლუბ „კაშივა რეისოლში“ თამაშობს. იაპონიაში კარიერის გაგრძელება ფეხბურთელისთვის ბევრ რამეზე უარის თქმას ნიშნავს.

სტოიჩკოვმაც უარი თქვა.

სარგბიელის არქივიდან

ხრისტო სტოიჩკოვი

REUTERS გლაზგოდან

კენი დალგლიში და ჯონ ბარნსი „სელტიკ პარკზე“

კენი სამშობლოს დაუბრუნდა

„სელტიკში“ დიდი ცვლილებებია.

კენი დალგლიში გლაზგოს „სელტიკის“ დირექტორად დაინიშნა. უფრო კონკრეტულად კი მისი თანამდებობა ასეთნაირად იშიფრება: საფეხბურთო ოპერაციების დირექტორი.

ჯონ ბარნსი გლაზგოს „სელტიკის“ მწვრთნელად დაინიშნა.

სააგენტო „როიტერმა“ მოკლედ და კონკრეტულად განაცხადა: „შოტლანდიის პრემიერლიგის კლუბი „სელტიკი“ აცხადებს, რომ დალგლიში გუნდში ბრუნდება.

მართალია — 22-წლიანი განშორების შემდეგ შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი და 70-80-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი „სელტიკს“ უბრუნდება, სწორედ იმ კლუბს, რომელიც მისთვის დიდებულ „ლივერპულში“ ტარმპლინად იქცა.

...ეს მოხდა 1977 წელს: კენი დალგლიში 440 ათასი გირვანქის სანაცვლოდ „სელტიკმა“ იმ დროს მქუხარე „ლივერპულს“ დაუთმო. მას შემდეგ დალგლიშს შოტლანდიურ ფეხბურთში არ უმოღვაწია, ერთთავად ინგლისური კლუბებისთვის შრომობდა და ძალიან შედეგიანადაც. ბოლოს ფეხბურთელმა მაინც შოტლანდიაში დაბრუნება ირჩია.

— „სელტიკთან“ ტკბილი მოგონება მაკავშირებს. ძალიან მინდა, წარსულის დიდება დღესაც განმეორდეს. მსურს, „სელტიკთან“ ერთად დიდ წარმატებას მივაღწიო — განაცხადა დალგლიშმა. კენის ფეხბურთელობისას „სელტიკი“ მართლაც დიდი გუნდი იყო. თავად განსაჯეთ: დალგლიში „სელტიკის“ შემადგენლობაში ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ოთხჯერ მოიგო შოტლანდიის ასოციაციის თასი, ერთხელაც — ქვეყნის ლიგის თასი. ვფიქრობთ, შთამბეჭდავი წარმატებებია.

წარმატებული იყო დალგლიშის „სელტიკის“ შემდგომი კარიერაც — ცხრაჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ბოლო ოთხ გამარჯვებას მოთამაშე მწვრთნელის რანგში მიაღწია. ინგლისის ასოციაციის თასი ორჯერ მოიგო, ლიგის თასი ოთხჯერ, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად ასევე ორჯერ აღიარეს და ყველაფერ ამას ემატება ჩემპიონთა თასი, რომელიც სამჯერ მოიგო. რა შეიძლება უწოდო ასეთი წარსულის მქონე ფეხბურთელს? ბრწყინვალე!

...როდესაც დალგლიში „ლივერპულს“ ეთხოვებოდა და სხვა კლუბებისკენ იმზირებოდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა „ენფილდ როუდზე“ (ლივერპულის სტადიონი) ჯონ ბარნსი, ერთობ ნიჭიერი ფეხბურთელი.

დღეს დალგლიში და ბარნსი კვლავ ერთად არიან. დალგლიში დირექტორია, ბარნსი მწვრთნელი.

ვარსკვლავები, ვარსკვლავები

შაბათს, 12 ივნისს, ავსტრალიას მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები სტუმრობენ. ფიფას რჩეულ ფეხბურთელთა გუნდი მასპინძელთა ნაკრებს დაუპირისპირდება.

ასეთი შეხვედრები უმეტესწილად გასართობი ხასიათისაა და ახლაც ასე იქნება — მასპინძლებიც და ვარსკვლავებიც მაყურებელთა გასახარებლად ითამაშებენ. ხალხი ხომ ასეთი მატჩებისგან სიამოვნებას ელის და არა, ვთქვათ, რომელიმე მხარის აუცილებელ გამარჯვებას.

შაბათის თამაში, რომელსაც სიდნეის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს, ფიფას ნაკრებისთვის ცოტა არასასიამოვნო, რიგით მეცამეტე იქნება. პირველი შეხვედრა კი ფიფას გუნდმა 1963 წლის 23 ოქტომბერს გამართა ინგლისის ნაკრებთან. ის მატჩი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. გავიდა თითქმის ოთხი ათეული წელიწადი და ფიფას ნაკრები კვლავ შეიკრიბა — ამჯერად მიზეზი სიდნეის ოლიმპიური სტადიონის ოფიციალური გახსნაა.

ფიფამ, მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, ვარსკვლავთა გუნდის შემადგენლობა უკვე დაასახელა: მეკარეები — ბერნარ ლამა (საფრანგეთი), ხორხე კამპოსი (მექსიკა); მცველები — ჟულიო სეზარი (ბრაზილია), თომას ჰელმერი (გერმანია), ხავიერ მარგასი (ჩილე), ლუკას რადებე (სამხრეთ აფრიკა), ჰანი რამზი (ეგვიპტე), რიგობერტ სონგი (კამერუნი), ტარიბო ვესტი (ნიგერია), მურატ იაკინი (შვეიცარია); ნახევარმცველები — ილია ციმბალარი (რუსეთი), შონ ბარტლეტი (სამხრეთ აფრიკა), მარკო ბრანკა (იტალია), ოქან ბურუქი (თურქეთი), ლეონარდო (ბრაზილია), ჰიროში ნანამი (იაპონია); თავდამსხმელები — იურგენ კლინსმანი (გერმანია), რომარიო (ბრაზილია), უინტონ რუფერი (ახალი ზელანდია), კრისტიან ვიერი (იტალია), ჟორჟ ვეა (ლიბერია).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონის, რომარიოს მონაწილეობა გუშინ გადაწყდა.

რაც შეეხებათ მსოფლიოს ნაკრებთა მწვრთნელებს, რჩეულ ფეხბურთელებს ინგლისელი როი ჰოჯსონი და ტაიტელი რიჩარდ ვანსამი გაწვრთნიან.

ფიფას ნაკრების ყველა თამაში

23.10.63	ლონდონი	ინგლისი	1:2	ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 100 წლის იუბილე
27.09.67	მადრიდი	ესპანეთი	3:0	რიკარდო ზამორას 65 წლის იუბილე
06.11.68	რიო დე ჟანეირო	ბრაზილია	1:2	ბრაზილიელთა მსოფლიოს ჩემპიონატში პირველი გამარჯვების ათი წლის იუბილე
19.12.73	რიო დე ჟანეირო	ბრაზილია	1:2	გარინჩას გამოსათხოვარი მატჩი
25.06.79	ბუენოს აირესი	არგენტინა	2:1	არგენტინელთა მსოფლიოს ჩემპიონობის ერთი წლის იუბილე
07.08.82	რუტერფორდი	ევროპა	2:3	საქველმოქმედო მატჩი
27.07.86	პასადენა	ამერიკა	2:2	საქველმოქმედო მატჩი
08.10.91	მიუნხენი	გერმანია	1:2	საქველმოქმედო მატჩი
14.07.96	რუტერფორდი	ბრაზილია	1:2	საქველმოქმედო მატჩი
09.09.98	სტამბოლი	თურქეთი	4:4	თურქეთის რესპუბლიკის 75 წლის იუბილე
16.12.98	რომი	იტალია	2:6	იტალიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლის იუბილე

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXXIII ტური

13.06	ფორტუნა — ობერჰაუზენი	1,8	2,5	4,7
	დიუსელდორფი — კოტბუსი	5,0	3,8	1,4
	ურდინგენი — ზტ. პაული	2,0	3,0	3,0
	კარლსრუე — კიოლნი	1,5	3,4	5,6
	კიკერსი — მაინცი	2,0	2,9	3,4
	არმინია — გიუტერსლო	1,6	3,6	3,8
	ბერლინი — ულმი	1,9	2,8	3,8
	ფიურტი — ჰანოვერი	3,5	3,0	1,8
	ვატენშაიდი — უნტერჰახინგი	2,8	2,9	2,3

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVIII ტური

13.06	პესკარა — ბრეშა	1,35	3,3	6,5
	კოზენცა — ჩეზენა	1,4	3,5	5,0
	ნაპოლი — კრემონეზე	1,2	5,0	9,0
	ტერნანა — ფ. ანდრია	2,0	2,8	3,5
	კიევო — ლეჩე	4,4	3,0	1,5
	რევჯანა — ლუკეზე	1,3	3,2	5,6
	ატალანტა — მონცა	1,25	3,6	8,0
	ტორინო — რევჯინა	2,1	3,0	2,3
	რავენა — ტრევიზო	2,0	2,7	3,6
	ჯენოა — ვერონა	2,5	2,7	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVII ტური

12.06	ვალიადოლიდი — სარაგოსა	3,0	3,0	2,0
	ატლეტიკო — რეალი	3,0	3,0	1,9
	დეპორტივო — ესტრემადურა	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
13.06	ბილბაო — ალავესი	1,5	3,5	5,0
	ბარსელონა — ბეტისი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ვილიარეალი — რასინგი	2,3	2,9	2,8
	მალიორკა — სელტა	1,9	2,8	3,8
	ტენერიფე — ვალენსია	2,6	3,0	2,0
	ოვიედო — სალამანკა	1,6	3,5	4,0
	სოსიედადი — ესპანიოლი	1,7	3,0	4,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XLI ტური

12.06	ტოლედო — მალაგა	2,0	3,0	3,3
	ალბასეტე — ეიბარი	1,9	3,3	3,2
	ბარსელონა B — სპორტინგი	2,0	3,0	3,3
	ბადახოსი — ატლეტიკო B	3,4	2,9	2,0
	მერიდა — ლოგრონიესი	2,0	2,0	5,0
	რეკრეატივო — ლეიდა	2,0	2,7	3,6
	ორენსე — ნუმანსია	—	—	—
13.06	სევილია — კომპოსტელა (15^{00})	1,3	4,0	7,5
	ლეგანესი — რაო ვალეკანო (15^{00})	3,4	2,9	2,0
	ოსასუნა — მალიორკა B	1,7	3,1	4,4
	ერკულესი — ლას პალმასი	2,3	3,0	2,4

რუსეთის ჩემპიონატი. X ტური

13.06	შინიკი — ჟემჩუჟინა	1,8	2,9	4,2
	ზენიტი — სატურნი	1,3	4,0	7,5
	სპარტაკი —ნ. ნოვგოროდი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ცსკა — ტორპედო	1,9	3,0	3,5
	როტორი — როსტსელმაში	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ალანია — დინამო	2,1	2,8	3,3
	ურალანი — ლოკომოტივი	4,2	2,9	1,8
	ჩერნომორეცი — კრილია	2,0	2,8	3,5

შვედეთის ჩემპიონატი. X ტური

13.06	კალმარი — ჰალმსტადი	2,0	2,8	3,5
	იორებრო — მალმიო	2,0	2,8	3,5
	ჰამარბი — იორგრიტე	3,0	2,9	2,2
14.06	აიკ — იურგარდენი	1,4	3,5	7,0
	გიოტებორგი — ფრიოლუნდა	1,6	3,2	5,0
	ჰელსინგბორგი — ელფსბორგი	1,4	3,5	7,0
	ნორჩიოპინგი — ტრელებორგი	2,1	2,8	3,3

ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეი-ოფი. III ტური

11.06	ვალვაიკი — დორდრეხტი	1,2	5,0	9,0
	ემენი — ზვოლე	1,7	3,0	4,7
	გრონინგენი — ექსელსიორი	1,25	4,4	8,0
	სპარტა — ჰელმონდ სპორტი	1,25	4,4	8,0

IV ტური

13.06	დორდრეხტი — ვალვაიკი	4,0	3,0	1,8
	ზვოლე — ემენი	2,4	2,8	2,7
	ჰელმონდ სპორტი — სპარტა	4,0	3,0	1,8
	ექსელსიორი — გრონინგენი	4,0	3,0	1,8

გერმანიის თასის ფინალი

12.06	ბაიერნი — ვერდერი	1,4	3,5	7,0

პოლონეთის თასის ფინალი

13.06	ბელხატოვი — ამიცა	2,5	2,9	2,5

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი.

11.06	ნიუ იორკი — ინდიანა	1,5	12,0	2,0

ჰოკეი. NHL. ფინალის III მატჩი

12.06	ბუფალო — დალასი	1,8	4,4	2,2

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეოთხედფინალი

11.06	ესპანეთი — საფრანგეთი	1,3	8,0	2,8
	რუსეთი — ეგვიპტე	1,2	8,0	3,5
	კუბა — შვედეთი	3,5	8,0	1,2
	გერმანია — იუგოსლავია	1,6	8,0	1,8

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

უძვირფასესი, ღონიერი, სტაბილური:

ფოსტალიონმა მეორედ დააკაკუნა



კარლ მელოუნი

„იუტა ჯაზი“, თავდამსხმელი
დაიბადა 1963 წლის 24 ივლისს სამერფილდში, ლუიზიანას შტატი
1981-85 წლებში თამაშობდა ლუიზიანის ტექნიკურ უნივერსიტეტში
1985 წლის დრაფტში მე-13 ნომრად აიყვანა „იუტა ჯაზმა“
1985 წლიდან დღემდე თამაშობს „იუტა ჯაზში“
სეზონის უძვირფასესი მოთამაშე: ორჯერ (1997, 1999)
ლიგის პირველი ხუთეული: 11-ჯერ (1989-1999)
ოლ სტარი: 11-ჯერ (1988-1998)
ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშე: ორჯერ (1989, 1993)
ოლიმპიური ჩემპიონი: ორჯერ (1992, 1996)

1999 წლის სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოსავლენად გამართული გამოკითხვა ერთობ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. სეზონის MVP-ს ტიტულს დაეუფლა „იუტა ჯაზის“ ბებერი თავდამსხმელი კარლ მელოუნი. კი მაგრამ, მაშ, ტიმ დანკანს რაღა? — იტყვის კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში კარგად ჩახედული კაცი. დანკანი მეორეზეც ვერ გავიდა. მელოუნთან ერთად, სეზონის საუკეთესო დამცველად აღიარებულ მაიამელ ალონზო მურნინგსაც ჩამორჩა. მიუხედავად ამისა, წელს ლიგაში ყველაზე გამორჩეული სწორედ ყმაწვილი ტიმი გახლდათ. დანკანმა, რომელიც მხოლოდ მეორე წელია მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში თამაშობს, უკვე მოასწრო ლამის ყოვლისშემძლე ვარსკვლავთბიჭუნას სახელის დაგდება. მისმა სან ანტონიომ რეგულარული სეზონის ჩემპიონობა მოიპოვა და ახლა ლიგის ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატია. მაგრამ შტატებისა და კანადის კალათბურთზე მწერალ ხალხთა ნაღებმა ახალგაზრდა დანკანის ნაცვლად უპირატესობა ბებერ მელოუნს მიანიჭა. ამგვარად, 80-იანელთა ეპოქის დასრულება ერთი წლით გადაიდო და გამოვიდა ისე, რომ 90-იან წლებში ვერც ერთმა დიდმა 90-იანელმა ვერ შეძლო უმაღლეს ტიტულს შესწვდომოდა. აქ მტკიცედ არიან გაბატონებულები კალათბურთელები, რომელთაც ლიგის ბობოქარი სამყაროს კარი 1984 ან 1985 წლებში შეაღეს. გამონაკლისი მხოლოდ დანკანის თანაგუნდელი დევიდ რობინსონია. ლიგაში 1989 წელს ფეხადგმულმა „ადმირალმა“ რობინსონმა 1995 წელს მოიპოვა MVP-ს წოდება.

ამჯერად ტრადიცია თითქოს უნდა დარღვეულიყო, მაგრამ ტრადიცია გაგრძელდა. დანკანს კი ყველაფერი წინა აქვს და მომდევნო წლებში, ალბათ, აღიარებენ კიდეც პირველად. ახლა ჯერ კიდევ ძველი მზე ანათებს და, თუმცა, ძველებურად ვეღარ კაშკაშებს მელოუნი, მაგრამ მან კვლავ შეახსენა საკალათბურთო სამყაროს, რომ ბოლო წლებში თავისი ბრწყინვალებით მხოლოდ მაიკლ ჯორდანს თუ ჩამოუვარდება. ამას ბოლო სამ წელიწადში მელოუნის ორგზის უძვირფასესობა უმაგრებს ზურგს.

უფრო ახლოს გავიცნოთ კაცი, რომელიც აგერ ათწლეულზე მეტია, კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. ერთხელ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა თქვა: სხვა დროს და სხვა ცხოვრებით რომ ცხოვრობდეს, მელოუნზე ყველაზე უფრო გლადიატორობა იქნებოდა ზედგამოჭრილიო. ნიჭთან და უდიდეს შრომისმოყვარეობასთან ერთად მელოუნი უდიდესი ჯან-ღონის პატრონია. სულ 206 სანტიმეტრის სიმაღლისაა. ამით კალათბურთში, მით უმეტეს ლიგაში, ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ეს მოაკაცი ამასთან ერთად 116 კილოგრამს იწონის და ამხელა კუნთების გროვის გაჩერება ნებისმიერი მეტოქისთვის ურთულესი ამოცანაა.

მელოუნი ამპლუით თავდამსხმელია. თანაც, ისეთი დონის, რომ მასზე გამორჩეული ლიგის ისტორიაში ცალი ხელის თითებზე მოითვლება. 1989 წელს, თავისი კარიერის მეოთხე სეზონში, იგი ასოციაციის პირველ ხუთეულში შეიყვანეს. წლეულს მელოუნმა იქ თავის კუთვნილი ადგილი ზედიზედ მეთერთმეტედ დაიკავა და გახდა პირველი, ვინც ეს მოახერხა.

ამასთან, მელოუნი 1988-98 წლებში, ზედიზედ 11 სეზონში აგროვებდა 2000 ქულაზე მეტს და ამას წლეულსაც შეძლებდა, მაგრამ სეზონი 82 თამაშიდან 50-მდე შეიკვეცა. მელოუნი 11-ჯერ აირჩიეს „ოლ სტარში“, ამათგან რვაჯერ — სასტარტო ხუთეულში. მის მრავალრიცხოვან ტიტულებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ოლიმპიურ ოქროებს, რომლებიც მან 1992 წლის ბარსელონის და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადებზე მოიპოვა. აქედან ჩანს, რომ მელოუნს ტიტულები არ აკლია. მის ჯილდოთა სია მხოლოდ ლიგის ჩემპიონობას მოისაკლისებს.



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის უძვირფასესი მოთამაშე კარლ მელოუნი

კარლ მელოუნი	თამ.	წუთი	2-ქულიანი	3-ქულიანი	საჯარიმო	მოხსნა	პასი	ჩაჭრა	დაფარ.	ქულა
1998-1999. იუტა	49	1832	393-797	0-1	378-480	463	201	62	28	1164

მოედანზე შესვლისას მელოუნს თან შეაქვს თავისი უდიდესი ძალ-ღონე და ყველაფერს მას უმორჩილებს. იგი იბრძვის ფარქვეშ, ხსნის ბურთებს, აგდებს თავის წილ ქულებს (ჩვეულებრივ, ოცზე მეტს თამაშში) და ლიგაში გატარებული 14 სეზონის შემდეგ სულ 28946 ქულა მოუგროვებია. იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ მისი მონაგარის სიდიდე, აღვნიშნოთ, რომ მელოუნზე მეტი ლიგის ისტორიაში მხოლოდ სამ მოთამაშეს — ქარიმ აბდულ ჯაბარს, უილტ ჩემბერლენს და მაიკლ ჯორდანს შეუგროვებიათ. მოსალოდნელია, რომ მომავალ სეზონში იუტელი თვით დიად მაიკლ ჯორდანს ჩამოიტოვებს. ამისთვის მას მხოლოდ 15-20 თამაშის ჩვეულად ჩატარება სჭირდება. კარიერაში ნათამაშევ 1110 შეხვედრაში მელოუნის ანგარიშზე მატჩში საშუალოდ 26,1 ქულაა. ეს კი ლიგის ისტორიაში მერვე შედეგია. ციფრებიდანაც კარგად ჩანს, რომ მას მშვენივრად ეხერხება ქულების დაგროვება. ბავშვობაში ფოსტალიონი შეარქვეს მეტსახელად, რადგან იშვიათი სიზუსტით და სიხშირით ათავსებდა ბურთს კალათში, ისე როგორც ფოსტალიონი წერილს — საფოსტო ყუთში. ეს მეტსახელი დღემდე შემორჩა.

კარგ თამაშებთან ერთად ფოსტალიონი მოედანზე საკმაოდ უხეშიცაა, ეს ადვილად გასაგებია, რადგან ასეთი ზომის კუნთების პატრონი ვერანაირად ვერ იქნება ნაზი და ჰაეროვანი. ფარქვეშ ძალისმიერი ბრძოლისას მელოუნი როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობს თავს. აქ მან შეიძლება (რა თქმა უნდა, შემთხვევით) ვიღაცას იდაყვი ან მხარი გაჰკრას. ასეთ დროს დაზარალებულის ადგილზე ყოფნა ვერაა მთლად სასურველი. ფოსტალიონთან ბრძოლას ხშირად მოჰყვება შედეგად გახეთქილი წარბი, გატეხილი ცხვირი, უარეს შემთხვევაში კი საკმაოდ სერიოზული ტრავმა. თუმცა მას ეს ნაკლებად ადარდებს, რადგან სხვანაირად არ შეუძლია და მის მეტოქეებსაც ამასთან შეგუება უწევთ.

ძნელია მისი შეჩერება და მეტოქეებსაც ხშირად მასზე დაჯარიმების მეტი არა რჩებათ. მელოუნიც საჯარიმოს ხაზიდანაც ისევე კარგად აგდებს ბურთს, როგორც თამაშიდან. სხვათა შორის, მისი საჯარიმოს სროლა რაღაც რიტუალსა ჰგავს: სანამ კალათში ისროდეს, ფოსტალიონი ორჯერ დაბლა აგდებს ბურთს, შემდეგ ორჯერ მაღლა და თან თავისთვის ჩუმად რაღაც ლოცვის მაგვარს ბუტბუტებს. სწორედ ასე უსვრია მას 9808 საჯარიმო (ლიგის ისტორიაში მესამე შედეგია) და აქედან 7133 ჩაუგდია (მეოთხე შედეგი).

ფოსტალიონის ბიოგრაფიაშიც ჩავიხედოთ. დაბადებულია 35 წლის წინათ ლუიზიანას შტატის ქალაქ სამერფილდში. ბავშვობა არცთუ ტკბილად ახსოვს, რადგან ის სიღატაკეში გაუტარებია. ოჯახში მერვე ბავშვი იყო. პატარა კარლს ჯერ სკოლის კარიც არ შეეღო, როცა გალოთებული მამა სახლიდან წავიდა და დედას შეატოვა ცხრა შვილი. კარლსაც, გარდა კალათბურთით თავის რჩენისა, აღარაფერი დარჩენოდა. თანდაყოლილი შრომისმოყვარეობის და წინსწრაფვის უდიდესი სურვილის წყალობით, მელოუნი მძლავრ კალათბურთელად ჩამოყალიბდა. სკოლაშიც და ლუიზიანას ტექნიკურ უნივერსიტეტშიც იგი, რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერი იყო. საკმაოდ წარმატებული სტუდენტური კარიერის შემდეგ მელოუნმა 1985 წლის დრაფტში მიიღო მონაწილეობა. კარლს ძალიან უნდოდა, მოხვედრილიყო რომელიმე ტეხასურ გუნდში, განსაკუთრებით დალასისკენ ეჭირა თვალი, მაგრამ დალასმაც და სხვა გუნდებმაც მას სხვა მოთამაშეები ამჯობინეს. მელოუნს კი „იუტა ჯაზი“ დაეპატრონა. ფოსტალიონს სულაც არ სურდა სადღაც მიყრუებულ სოლტ ლეიკ სიტიში — მთებში და თოვლში გადასახლებულიყო და თვალიც სხვაგან გაექცა, თუმცა ბოლოს დაყაბულდა „ჯაზში“ თამაშს და ეს ამ გუნდისთვის ღვთის წყალობა გამოდგა.

დებიუტი საკმაოდ კარგი გამოდგა. დრაფტში მეცამეტე ნომრად არჩეულმა მელოუნმა სეზონის ახალბედას გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ იგი გუნდში ვერ იყო პირველი. „ჯაზის“ ლიდერის, ადრიან დენტლის ჩრდილში მოქცეულს თავის გამოჩენის ნაკლები საშუალება ჰქონდა. მაგრამ, აი, დენტლი სხვაგან გაყიდეს და მელოუნმაც ფრთები ფართოდ გაშალა. „ჯაზში“ მასზე ერთი წლით ადრე მისულ თეთრკანიან გამთამაშებელ ჯონ სტოქტონთან ერთად, ფოსტალიონმა შექმნა ლიგაში ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი. სტოქტონმა კარგად იცოდა პასის მიცემა (ლიგის ისტორიაში საუკეთესო მეპასეა), ხოლო მელოუნმა მისი კალათში მოთავსება.



სარჯველის არქივიდან

ლიგის ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი: ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი

1989 წელს კარლი პირველად შეიყვანეს ლიგის პირველ ხუთეულში. სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში მეორე იყო მეჯიქ ჯონსონის შემდეგ. იგი გახდა სუპერვარსკვლავი, ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე. მაგრამ მელოუნს აცოფებდა ერთი რამ — რატომ ჰგავდა ყოველ ფინალი კვლავ განმეორდა, მელოუნისთვის — კვლავ უიღბლოდ.

ბოლო სეზონში ჯორდანი კალათბურთიდან წავიდა. ჩიკაგო დაიშალა და თითქოს იუტას აღარავინ უშლიდა ხელს, მაგრამ წლებმა თავისი გაიტანა. 36 წლის მელოუნმა და 37 წლის სტოქტონმა ვერაფერი მოუხერხეს ჰლეი ოფის მეორე წრეში ახალგაზრდულ პორტლენდს და იუტამაც ბოლო წლების კვალობაზე მისთვის უჩვეულო ეტაპზე დაასრულა ჩემპიონობისთვის ბრძოლა. თუმცა, მელოუნი გულს არ იტეხს: „არ ვფიქრობ, რომ მოვხუცდი და უკვე გვიანაა ჩემპიონობაზე ფიქრი. მე ჯერ კიდევ ბევრს ვჯობივარ და აუცილებლად გავხდები ჩემპიონი. როდის? — თუნდაც მომავალ წელს“.

ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ამ მთაკაცის კუნთებს ჯერაც შერჩენიათ უდიდესი ჯანი და ენერგია. ტრავმა რა საკადრისია. მელოუნს 14 წელიწადში სულ რაღაც ექვსი თამაში გამოუტოვებია. 2000 წელს მელოუნი კვლავ შეეცდება მწვერვალის დაპყრობას, მას ჯერ კიდევ აქვს ამის ძალა, სურვილი და ხალისი.

ირაკლი ფირაშვილი

სარჯველის არქივიდან

სტეფანია: მელოუნი დაუღლელი მანქანაა

კარლ მელოუნს მოედანზე ერთადერთი ქართველი შეხვედრია — „სიეტლ სუპერსონიქსის“ ფორვარდ-ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. თბილისში მყოფ სტეფანიას რამდენიმე კითხვით მივმართეთ, მელოუნის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელებასთან დაკავშირებით.

— თქვენი აზრით, იმსახურებდა კარლ მელოუნი სეზონის უძვირფასეს მოთამაშეობას?

— აბა, რა გითხრათ. რადგან დასახელეს, ესე იგი, იმსახურებდა. ისე, მელოუნის თამაში ამ სეზონში სულ სამჯერ ვნახე. მაშინ, როცა მისი „იუტა ჯაზი“ ჩვენს გუნდს ხვდებოდა ხოლმე.

— ბევრი ელოდა, რომ უძვირფასესი სანანტონიელი ტიმ დანკანი გახდებოდა...

— მიუხედავად იმისა, რომ არც დანკანის ბევრი მატჩი მინახავს, მაინც მელოუნი მირჩევნია. იუტელი ძალზე ღონიერია. მანქანაა, რომელიც არ იღლება და იშვიათად ცდება. რაც შეეხება დანკანს, იგი მალე აჯობებს მელოუნსაც და, იქნებ, ყველასაც. ახალგაზრდაა, ფაქტობრივად, ჩემხელა და უკვე რამდენს მიაღწია.

— მელოუნის წინააღმდეგ თამაში, ალბათ, ძნელია...

— მართალი გითხრათ, არ მახსოვს. იუტასთან ყოველთვის დაძაბული შეხვედრები გვქონდა და ვინმეზე, თუნდაც მელოუნზე დასაკვირვებლად ნაღდად არ მეცალა.

ეს მხოლოდ კარლ მელოუნია!

გამოთხოვება ძველ კალათბურთთან

რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ ეს რომ 1996 წლის ივლისის ბოლოს მოხდა, წყალი არ გაუვა. იმ საღამოს პირისპირ პირველად ვნახე კარლ მელოუნი. ჩვენს შორის ლითონის დაბალი ტიხარი იყო, მანძილი — დაახლოებით ერთი მეტრი.

მს შემდეგ ოთხჯერ-ხუთჯერ კიდევ წავაწყდი კარლს. ერთხელ გვერდიგვერდ დამონტაჟებული აპარატებიდან ჩამოვასხით ფორთოხლის წვენი, მაგრამ პირველი ნახვისას მიღებული შთაბეჭდილება განსაკუთრებული ყოფილა. კარლ მელოუნი ამაყ და ხაზგასმულად თავდაჭერილ კაცად მეჩვენა. ასეთად მგონია ახლაც.

საქმე ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე იყო. მელოუნი „დრიმ ტიმ-3“-ის თანავარსკვლავედში შედიოდა და ამერიკისთვის მორიგ, ხოლო თავისთვის მეორე ოლიმპიურ ოქროს სჭედდა. ოლიმპიადა ისეთი რამ ყოფილა, რომელიც ყველაზე შორეულ ვარსკვლავს დაგიახლოვებს და უცბადაც გაგიშინაურებს. ორიოდ დღის შემდეგ მავანი დიდი სპორტსმენის ხილვა ან მასთან გასაუბრება ჩვეულებრივ რამედ გიღირს. გგონია, რომ მუდამ ასე იქნება, იმას კი ვერ (ან არ) ხვდები, რომ ოლიმპიადა ორ კვირაში დასრულდება, ვარსკვლავი თავის გალაქტიკას, შენ კი — შენს ყოველდღიურობას დაუბრუნდები.

კარლ მელოუნისთვის ინტერვიუ არ მითხოვია. რომ მეთხოვა, აუცილებლად შომცემდა — პრესასთან ურთიერთობის მკაცრად განსაზღვრული კანონი არც ერთ ამერიკელ კალათბურთელს არ დაურღვევია. კანონი კი ამბობს: ყოველი მატჩის შემდეგ მოთამაშემ ათი წუთი უნდა დაჰყოს ეგრეთ წოდებულ მიქს-ზონაში, ჟურნალისტებისგან დაბალი ტიხრით გამოყოფილ ტერიტორიაზე და მატჩთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხი უნდა გასცეს. პროფესიული კალათბურთის ეს წესი ოლიმპიადაზეც გავრცელდა და სწორედ მიქს-ზონაში ვნახე პირველად მელოუნი.

ამერიკის ნაკრების ხუთ მატჩს დაევსწარი და ამდენჯერვე ჩავედი მიქს-ზონაში. ახლაც კარგად მახსოვს იქაური სიტუაცია. ჟურნალისტებს ყველა ესაუბრებოდა: განათლებული ინტელექტუალი დევიდ რობინსონი, ყველასთვის საოცნებო რესპოდენტი, რომელსაც ყველა თემაზე შეუძლია საუბარი — კუბერტენის ოლიმპიური იდეების სიდიადიდან დაწყებული, თანამედროვე ევროპის გეოპოლიტიკით დამთავრებული (ამაში მეც დავრწმუნდი და „სარბიელის“ მკითხველიც); ჯონ სტოქტონი, რომელიც წარბშეუხრელად და სახეზე ნაკეთშეუხრელად უკლებლივ ყველა კითხვას პასუხობს, მაგრამ კონკრეტულად მაინც არაფერს ამბობს; კეთილი გოლიათი ჰაკიმ ოლაჯუონი, მუდამ გაღიმებული და საოცრად მშვიდი, რომელიც ინტერვიუზე კი არა, არაფერზე დაგზარდება. მაგალითად, მავან ავსტრალიელს ჟურნალისტს და ჩარლზ ბარკლის ამ ავსტრალიელის ფოტოაპარატით სურათს ულებს; თავად ბარკლი, ბობოქარი ჩარლზი, უსაფრთხოების სამსახურის მავან თავხედ თანამშრომელს მკაცრ შენიშვნას აძლევს — ხალხს (ესე იგი ჟურნალისტებს) ხელს ნუ უშლი, საქმე გააკეთებინეო; აქვე არიან ჯეელი ბიჭები — შაკილი, პენი ჰარდეკი, გრანტ ჰილი. ამათ ოლიმპიადა ზედმეტ ტვირთად აწევთ, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა უხერხულია...

და კარლ მელოუნი. დიდი კუნთებით და ჯანსაღი სხეულით გამორჩეული. ზრდილობა და საქციელი სანიმუშო აქვს, ამ მხრივ არაფერი აკლია, მაგრამ არც გადამტებული აქვს რამე, მათ შორის კეთილგანწყობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმ ზომით აქვს, რამდენიც საჭიროა. კარლი გამოდიოდა გასახდელიდან, ზუსტად ათ წუთს ინტერვიუებს არიგებდა და ვადის გასვლისთანავე უჩინარდებოდა. არც წესს არღვევდა, მაგრამ ზედმეტ წამსაც არავის უთმობდა. ყველა კითხვას პასუხობდა. ხუმრობდა, ოღონდ ზომიერად, იღიმებოდა — აქაც ზომიერად. საკუთარ თავს ფასს ადებდა — ამაშიც ზომიერი იყო და ამით არც არავინ ღიზიანდებოდა.

მოთამაშე კარლ მელოუნიც ზუსტად ამგვარია. იგი აკეთებს ყველაფერს, რაც კალათბურთელმა შეიძლება გააკეთოს. დიახ, აკეთებს, ხოლო სხვები იგივეს ქმნიან, და იქნებ ამიტომაც ჩანან სხვები მელოუნზე კაშკაშები. ძნელია მის თამაშში დაინახო ზღვარი



ცხოველებთან კარლი გაცილებით ნაზია



AP ნიუ იორკიდან

კარლ მელოუნმა ეს-ესაა მიიღო უძვირფასესი მოთამაშის პრიზი

პრაგმატიზმსა და შემოქმედებას შორის, მაგრამ ზღვარი რომ არსებობს, ამას აშკარად გრძნობ. ხასიათიც ამგვარი აქვს. თამაშისას ხისტად ირჯება, რაც ხანდახან უხეშობის ილუზიას ქმნის. კარგად თუ დაკვირდებით, ვნახავთ, რომ მელოუნი თამაშობს სიხისტისა და უხეშობის გამყოფ საზღვარზე, ოღონდ მასზე ხელაღებით ვერავინ იტყვის, უხეშიაო.

ოჯახიც ვნახოთ. მეუღლე, ორი ქალიშვილი, სახლში მოწყობილი ზოოპარკი. სამაგალითო მამა და მეუღლეა, კანონდამჯერი მოქალაქე. არავის უნახავს მელოუნისგან ნაცემი კაცი, გაუპატიურებული ქალი. ზრუნავს ცხოველთა დაცვაზე, საქველმოქმედო ფონდებს ფულს სწირავს. აქაც: არაფერს აკლდება, მაგრამ არც გადამეტებულ ყურადღებას უთმობს რამეს.

1997 წელს, უძვირფასესი მოთამაშის გამოვლენისას, მელოუნი ჯორდანს ამჯობინეს, 1999 წელს კი — მურნინგ-დანკან-აივერსონის სამეულს. მისი მეტოქეები შემოქმედები იყვნენ, კარლი — კარგი შემსრულებელი. ერთმანეთს შეეჯახა წმინდა რომანტიზმი და რომანტიზმის ელემენტებგარეული რეალიზმი. ორივეჯერ მეორემ, მელოუნმა იმძლავრა. იგი უფრო რეალიზმისკენაა გადახრილი, მაგრამ ვერავინ დასწამებს, რომანტიზმისკენ ძალიან შორს ხარო. იქნებ სწორედ ესაა მელოუნის სიძლიერე? ბევრი ყოფილა ამ ორი თვისებით გაჯერებული მოთამაშე? მხოლოდ ლარი ბერდი მაგონდება. ამბობენ, ბობ პეტიტი იყო ამგვარიო, მაგრამ რაც არ მინახავს, იმაზე როგორ ამოვიღო ხმა? ისე, ბერდი ძალიან დიდი იყო. იქნებ ყველაზე დიდიც...

ახლა კი ის ვნახოთ, ვინ ასახელებს უძვირფასეს მოთამაშეს. ესენი არიან ამერიკელი ჟურნალისტები. დიახაც, ბევრის მნახველნი და ბევრის მომსწრენიც, მაგრამ, პირველ რიგში, ადამიანები. ადამიანები, თავიანთი ხასიათით, შეხედულებებით, მეხსიერებით. რა შუაშია მეხსიერება? ამ ხალხს შესანიშნავად ახსოვს ბრწყინვალე და დიდებული 80-იანი წლები, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბრილიანტის ხანა. 80-იანებმა მისცეს მსოფლიოს ისეთი კალათბურთელები, რომლებმაც სულ სხვა რამედ, თვით კალათბურთზე მნივშენლოვან რამედ აქციეს კალათბურთი და შექმნეს პლანეტა, რომელსაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ჰქვია. კალათბურთი ვალშია 80-იან წლებთან. ვინღა დარჩა დღეს 80-იანების წიაღიდან ამოსული, რომელიც ტოლ-სწორად ეთამაშება ბოლო წლებში გამოზრდილებს? ერთადერთი კარლ მელოუნი. წავიდნენ მეჯიქი, ლარი, აიზია, მაიკლი... დარჩენილებს სიბერე შეპარვიათ. კარლი კი არ ნებდება. მისი ახლანდელი აღიარება 80-იანი წლებისთვის ხარკის გადახდას ჰგავს, რადგან წავა მელოუნი და დამთავრდება 80-იანებიც. გონებას კი მხოლოდ ყველაზე კარგის გახსენება, ყველაზე კარგზე ფიქრი სურს.

გახსოვთ გრიშაშვილის „გამთხოვება ძველ თბილისთან“? ქართული პოეზიის ეს მარგალიტი მგონის შემოქმედების საზღვარი აღმოჩნდა. ამ ლექსის შემდეგ გრიშაშვილის პოეზიაში ახალი ეპოქა დაიწყო. სხვაგვარად არ შეიძლებოდა, დროისთვის ჯერ ვერაფერს გაუძლია.

კალათბურთელისა და ლექსის შედარება იქნებ უადგილოც იყოს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისთვის მელოუნი იგივეა, რაც თავის დროზე გრიშაშვილის პოეზიისთვის — ეს შესანიშნავი ლექსი. მელოუნი ბოლოა. მის შემდეგ ახალი ეპოქა უნდა დაიწყოს. ეს მალე, ძალიან მალე მოხდება.

ამიტომ, ნუ განვსჯით ამერიკელ ჟურნალისტებს. მელოუნის არჩევით მათ არსებობა გაუხანგრძლივეს 80-იან წლებს, მსოფლიო კალათბურთის საუკეთესო წლებს. ისინი როგორც ამქვეყნად ვერაფერი, დროს ველარ გაუძლებენ.

მერაბ რატიშვილი

უძვირფასესი ციფრები

ორიოდ დღის წინათ, მეორე არხმა ერთი ჩვეულებრივი ფილმი გაუშვა. ამ ფილმში დენის როდმანის ცხოვრება იყო აღწერილი და ერთი როდმანისებრ მოხატული ბიჭი ეღლაბუცებოდა მადონასებრ თმაშელებილ გოგოს. მთელს ამ ფილმში დასამახსოვრებელი ერთი ადგილია, როცა როდმანი სან ანტონიოელ გულშემატკივრებს მიმართავს, არ მაინტერესებს, შემიყვარებთ, თუ შემიძულებთ, ორივე შემთხვევაში მოედანზე კლასს გიჩვენებთო.

რა თქმა უნდა, არც კარლ მელოუნს აინტერესებს, უყვართ, თუ სძულთ. ის უკვე მეორედ გამოცხადდა სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ. პირველად მაშინ მოახერხა ეს ამბავი, როცა მაიკლ ჯორდანი მოედანზე იყო და სწორედ რომ მის „იუტას“ მოუგო საჩემპიონო სერია. მაგრამ უძვირფასესებს ფინალამდე ასახელებენ.

თუმცა, ამგვარი ხერხიც არ ამართლებს არჩევანს — სანამ ჯორდანი მოედანზე იყო, როგორ შეიძლებოდა კარლ მელოუნი საუკეთესო ყოფილიყო? განა ვინ ამბობს? ეს კაცი სტაბილურობით გამოირჩევა, მაგრამ სტაბილურობა და ციფრები კომპიუტერში ეტევა, საკალათბურთო შემოქმედება კი ვერაფრით ჩაეტევა კომპიუტერში.

ამ სეზონში მელოუნი კვლავ სტაბილური იყო — მისი სტატისტიკა კი შთამბეჭდავი.

თუკი უძვირფასესის არჩევაზე მიდგებოდა საქმე, მელოუნი აუცილებლად მოხვდებოდა ოთხ პრეტენდენტს შორის. დანარჩენი სამი სან ანტონიოელი ტიმ დანკანი, ფილადელფიელი ალენ აივერსონი და მაიამელი ცენტრი ალონზო მურნინგი უნდა ყოფილიყვნენ.

მე თუ მკითხავდით, ამ ოთხეულში, მეოთხედ მურნინგს დავაყენებდი, მელოუნს კი მესამედ. არჩევანი კი დანკანსა და აივერსონს შორის უნდა გაკეთებულიყო. თუკი დანკანს რაიმეთი ვამჯობინებდი აივერსონს, ფინალისკენ სწრაფვის უკეთესი გუნდური პერსპექტივით (ეს ასეც მოხდა — „სან ანტონიო“ ფინალში გავიდა). სხვაფრივ კი უპირატესობას აივერსონს მივანიჭებდი. საკალათბურთო მედიამ სხვაგვარად განსაჯა და საუკეთესოდ მელოუნი მოგვევლინა.

ციფრების ენა რომ მოვიშველიოთ, მელოუნმა დაჯაბნა აივერსონი მოხსნა-დაფარებაში (აბა, რა გასაკვირია, 2,06 მეტრიანმა თავდამსხმელმა, გამთამაშებლის სიმაღლის (1, 83 მ) მსროლელი დაჯაბნოს), თრიფელ-დაბლში და საერთოდ, მისი მოყვანილობისა და სათამაშო ფუნქციის აუცილებელ რამეებში, მანვე, თორმეტი ქულით მეტი ჩაგდო ფლეი ოფის ორ რაუნდში, ვიდრე ამდენივეში აივერსონმა.

ფილადელფიელმა კი წლეულს ყველაზე მეტი ქულა ჩაგდო სეზონში (1284). ისავე იყო პირველი, ერთ შეხვედრაში ჩაგდებული ქულების საშუალო მაჩვენებლით (26,8). ამ უკანასკნელში, მელოუნმა მესამე მაჩვენებელს მიაღწია. სოლტ ლეიკელმა გოლიათმა თითო სამქულიანი ისროლა, მთელს რეგულარულსა და ფლეი-ოფში, აივერსონმა კი 219 ქულა აიღო სამქულიანებით.

რახან, ტიმ დანკანი, თავისი ასევე საუცხოო მაჩვენებლებით, განზე გადავდეთ და ერთმანეთს ვარკვინთ მგელ გოლიათსა და ახალ შემოქმედს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლეს დონეზე ციფრებით საუკეთესოს გამოვლენა იმ შემთხვევაში თუ იქნება სამართლიანი, თუ ერთი პრეტენდენტი ყველა მაჩვენებლით უსწრებს მეორეს. თუმცა, სხვადასხვა ამპლუის მოთამაშეთა შორის ეს გამორიცხულია. ამიტომ, უსამართლობა არ მოხდებოდა, თუკი აივერსონი უძვირფასესის ტიტულს დაეუფლებოდა. ვიცით, რომ ის გიჟმაჟი, ახირებული, ტრაბახა, ერთხელ ნარკოტიკის და ერთხელაც იარაღის ტარების გამო დაკავებული ბიჭია, მაგრამ ამავდროულად, ის ფილადელფიის ერთადერთი იმედია. მესამე სეზონი გალია გუნდში, რომელიც ოდესღაც დიადი იყო, რომელსაც რვა წლის წინათ იყო ფლეი ოფში და რომელსაც მის გამოჩენამდე არანაირი პერსპექტივა არ გაჩნდა.

აივერსონი პირველსავე წელიწადს შეიქნა საუკეთესო ახალბედა, წელს კი ფლეი ოფში გაიყვანა გუნდი და „ორლანდოსა“ და „ინდიანასთან“ იბრძოლა. ამ ორ სერიაში, საშუალოდ 28,5 ქულას მოიპოვებდა თითოეულ მატჩში.

ცნობილი ამბავია, დიდი გუნდების შექმნის იმედი დიდი ვარსკვლავის გამოჩენაა. განა ჯორდანის გარშემო არ აშენდა „ბულზი“, ანდა დევიდ რობინსონმა არ მისცა ბიძგი „სან ანტონიოს“ ჩამოყალიბებას? მგონია, რომ „ფილადელფიაც“ მომავლის გუნდად ყალიბდება აივერსონის გარშემო.

მელოუნისა და ჯონ სტოქტონის წყალობით კი „იუტა ჯაზმა“ უკვე მიაღწია თავის მაქსიმუმს. საშიშარი მხოლოდ ის არის, რომ ეს ისტორია, შესაძლოა, გაიადაც განმეორდეს, რადგან ვერავინ ვერაფერს მოუხერხებს მელოუნის სტაბილურად მაღალ მაჩვენებლებს და სოლტ ლეიკელი კარლი სამგზის უძვირფასესი იქნება. ისევე, როგორც ერთ დროს ლარი ბერდი.

ხომ გახსოვთ ლარი ბერდი? მეჯიქ ჯონსონი? ხომ უყურებთ ჩარლზ ბარკლის? მგონია, რომ ამ ამქარს მალე ერთიც დაემატება — ალენ აივერსონი.

ირაკლი გამყრელიძე

1999 NBA PLAYOFFS კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

აღმოსავლეთი

ინდიანა — ნიუ იორკი 2:3

9 ივნისი

ინდიანა 94:101 ნიუ იორკი

ინდიანა: ჯეკსონი (16), მილერი (30), მულინი (13), დ. დევისი (12 ქულა, 18 მოხსნა), სმიტსი (8); როუზი (6), პერკინსი (5), ა. დევისი (4), მაკკი, ჰოიბერგი

ნიუ იორკი: ვორდი (2), ჰიუსტონი (19), სპრიუელი (29), ჯონსონი (17), დადლი; კემბი (21 ქულა, 13 მოხსნა, 6 დაფარება), ტომასი (10), ჩაილდსი (3), ბრანსონი

„ნიუ იორკ ნიქსმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის სულ ერთია, შინ თამაშობს, თუ გარეთ. პლეი ოფის წლევანდელ გათამაშებაში ნიუ იორკი არც ერთ გუნდთან არ აგებდა სერიას. ტრადიციას არც ახლა უღალატა. სტუმრებმა მესამე თამაში მოიგეს და მესამედ დაწინაურდნენ სერიაში.

ნიუ იორკმა უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. ახლა, როცა ფინალისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის და ყოველ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს, „ნიქსი“ თავის შანსს ალბათ ხელიდან აღარ გაუშვებს. თუ ნიუ იორკი ანუ ეს „ჰუძონისპირა ბაბილონის“ გუნდი ფინალში გავიდა, ლიგის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება, ბოლო, მერვე ნომრად განთესილი გუნდი ჩემპიონობისათვის ბრძოლის საბოლოო ეტაპს რომ მიაღწევს. „როცა სეზონი დავიწყეთ, სათვალავში არავინ გვაგდებდა — თქვა სერიის მეხუთე მატჩის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ მარკუს კემბიმ — ჩვენ კი ჩვენი გავიტანეთ და ოცნებების ახდენას ბევრიც აღარაფერი უკლია.“

ინდიანამ კი... მასპინძლებმა მოინდომეს, იბრძოლეს, მაგრამ ამაოდ. საქმეს ისეთი პირი უჭირს, „პეისერზი“, რომელიც ბოლო ექვს გათამაშებაში მეოთხედ გავიდა აღმოსავლურ ფინალში, ვერც ამჯერად აისრულებს ნანატრს. ამ მარცხის შემდეგ საეჭვოა, მან ისტორიაში თავის პირველ ფინალს უწიოს. ინდიანაპოლისში კი ჯერ გულს არ იტეხენ. „დღეს ჩვენ ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ მომავალი შეხვედრის (რომელიც ნიუ იორკში გაიმართება) გაცილებით უკეთ ჩატარებას ვაპირებთ“ — ამბობს ინდიანას ლიდერი რეჯი მილერი, რომელმაც მატჩში 14-დან 13 საჯარიმო ჩააგდო და სულ თავის გუნდს 30 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ მილერმა მხოლოდ მეხუთე შეხვედრაში გაიბრწყინა ჩვეულად, თორემ წინა მატჩებშიც რომ შეექმნა რაიმე ღირებული, ვინ იცის, იქნებ საქმე აქამდე არც მისულიყო.

ნიუ იორკი კი მშვენიერი სანახავი იყო, გუნდმა არ დაიტყო ლიდერი, პატრიკ იუინგი რომ აკლდა. ბებერი ცენტრის ადგილი ყმაწვილმა მარკუს კემბიმ დაიკავა და ინდიანელთა ცენტრს, მასზე 12 სანტიმეტრით მაღალ რიკ სმიტსს გვარიანი სირცხილიც აჭამა. როცა კემბი ფარქვეშ აგვარებდა საქმეს, მისმა თანაგუნდელმა დაბლებმა — ალან ჰიუსტონმა და ლატრელ სპრიუელმა გარედან იმარჯვეს. ამ ორმა ხან გარღვევებით და ხანაც შორიდან სროლებით დიდი პრობლემები გაუჩინა მეტოქეთა უკანახაზელებს და ამან ბევრიც გადაწყვიტა.

არადა, მატჩის დასაწყისი სტუმართათვის კარგს არაფერს მოასწავებდა. 17 ათასი გულშემატკივარის მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებულმა ინდიანამ მატჩი მშვენივრად დაიწყო და საწყისი მეოთხედი ორმაგი სხვაობით მოუგო გაოგნებულ სტუმრებს 28:14, მაგრამ მეორე მეოთხედში როლები საპირისპიროდ შეიცვალა. ნიუ იორკმა იგივე დღე დააწია მეტოქეს, რაც მან პირველ მეოთხედში. ეს თორმეტწუთიანიც 28:14 დასრულდა, ამჯერად ნიუ იორკის სასარგებლოდ და ტაიმიც — 42:42 დამრთავრდა. საინტერესო გამოდგა მეორე ნახევარიც, რომელშიც უფრო მასპინძელი გუნდი მძლავრობდა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმრებმა მოახერხეს წინ გაჭრა — სერიის მესამე მატჩის გმირმა ლარი ჯონსონმა იყოჩალა, თავისი მონაგარიდან 12 ქულა ბოლო მეოთხედში გაახერხა, თან უკანასკნელ 49 წამში ორი სამქულიანი ჩააგდო და მოგუგუნე „მარკეტ სკვერ არენას“ საბოლოოდ ჩაწყვეტინა ხმა.

ირაკლი ფირაშვილი

დიდი გამოკითხვა დაიწყო

„ᲓᲦᲔᲡ ჩვენ ისეთ საქმეზე შევიკრიბეთ, საუკუნეში ერთხელ რომ ხდება“ — განუცხადა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა. დამსწრე საზოგადოებას, რომელიც XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენისა და სპორტსმენთა გამოსაელენი რეფერენდუმის ჟიურის წევრთაგან რომ გახლდათ შედგენილი. ისინი კლუბ „ინტერსპორტში“ თავიანთ პირველ სხდომას ატარებდნენ.

მაშ ასე: დაიწყო დიდი გამოკითხვა, რომლის პირველი ეტაპი 30 ივნისს დასრულდება. ამ დღეს ცნობილი გახდება იმ 15 ქალისა და 25 მამაკაცის სახელი, რომელთაც ჟიურის 60 წევრი (სხვადასხვა ფენისა და თაობის კომპეტენტური და ავტორიტეტული ადამიანი) ასწლეულის საუკეთესო სპორტსმენობის კანდიდატად დაასახელებს.

ნომინაცია ექვსია: საუკეთესო სპორტსმენი (ქალი და კაცი); სამი საუკეთესო სპორტსმენი ქალი; სამი საუკეთესო სპორტსმენი კაცი; სამი საუკეთესო გუნდი; მწვრთნელი და სპორტული მოღვაწე.

ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი წლეულს, ოქტომბერში გაიმართება.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ისევ თქვენ, ბატონო ვლადიმერ!

ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ თბილისი ორ ტრადიციულ საერთაშორისო საჭიდაო ტურნირს უმასპინძლებს — ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი გივი კარტოზიას სახელობის ტურნირში იასპარეზებენ, თავისუფალი სტილით მოჭიდავენი კი ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე ჩამოვლენ. ორივე შეჯიბრი სპორტის სასახლეში გაიმართება, პირველი 18-19 ივნისს, მეორე — 26-27-ში.

მიჩვეულნი ვიყავით, რომ ამ ტურნირებს ყოველთვის სპორტის მმართველი სახელმწიფო სტრუქტურა ატარებდა — ადრე სპორტკომიტეტი, ახლა კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. წლეულს ასე აღარ იქნება. სპორტდეპარტამენტმა ახლებურ ცხოვრებას აუწყო ფეხი და უცხოეთის მიბაძვით ამ ტურნირების მოწყობა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს დაავალა. აქაოდა, ამგვარ ტურნირებს უცხოეთში მასპინძელი ქალაქები აფინანსებენო. ამ უკანასკნელმა თავდაპირველად შორს დაიჭირა, ეგ მე არ მევალებაო, მაგრამ... დიდ კაცთან პატარა კაცსო, ხომ გაგიგიათ.

ერთი პერიოდი ამ ტურნირების ჩატარება სათუო იყო, მერე კი დატრიალდა ხსენებული სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა, მისთვის ჩვეული ენერგიულობით გაისარჯა, მიდგა-მოდგა, საჭირო ინსტანციებიც შეაწუხა კუთვნილი თანხების მისაღებად და სულ მალე ალბათ მორიგ სპორტულ სანახაობასაც გვაჩუქებს. ყოველ შემთხვევაში, სამმართველოში ასე ფიქრობენ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვენსაზე უფრო დიდი ტურნირებიც იმართება, მაგრამ იქ ეს პრობლემა სულ სხვანაირად წყდება. ამ ტურნირებს ფედერაციები აწყობენ სპონსორების დახმარებით. ქალაქის მერიას არავინ სთხოვს მათ დაფინანსებას. საბოლოოდ კი ფედერაციაც და სპონსორებიც მოგებულნი რჩებიან. ჩვენთან კი მოგებას ვინ დაეძებს, სპორტის სასახლესაც კი გადასახადს ვერ უხდიან, ამიტომ შარშან ჩვენი სპორტის სასახლე ერთი ხანობა ტურნირების მასპინძლობასაც უარობდა.

ვიდრე თბილისში მასპინძლობაზე ბჭობენ, ამასობაში ჩვენი ტურნირები ისევ ახსოვთ უცხოეთში. თავად შევსწრებივარ ჭიდაობის ფედერაციაში უკრაინელთა სატელეფონო ზარს, კარტოზიას ტურნირზე ჩამოსვლა გვინდა და მოწვევა გამოგვიგზავნეთო.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

სხირელი თავიდან იწყებს

ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ჩემპიონატზე წასულ ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელებზე“ უკვე გაცნობეთ. ახლა კი მათი კბილა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებზე გესაუბრებით.

მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა ორშაბათიდან გუნდი გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში შეკრიბა. ეს შეკრება დეპარტამენტმა კი დააფინანსა, მაგრამ ფულზე ჩვეულებისამებრ მომჭირნედ გახლდათ, რის გამოც ზოგ წონაში თითო-ოროლა კაცი ვარჯიშობს. ეს სრულყოფილი მზადებისთვის საკმარისი არაა. კიდევ კარგი, 24-27 ივნისს რიგაში, ევროპის ჩემპიონატზე მაინც გაგზავნიან სრულ გუნდს.

ლატვიაში წასაყვან გუნდს სხირელი მოგვიანებით დაასახელებს, თუმცა ერთი რამ ახლავეა ცნობილი — მწვრთნელს ახალი გუნდის შექმნა უწევს. შარშანდელი, ევროპა-მსოფლიოზე ნამყოფი გუნდიდან სხირელს ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი მიხეილ ტურაშვილი შერჩა და მანაც წონა შეიცვალა, მძიმეში გადავიდა. დანარჩენი ყველა დებიუტანტია. მწვრთნელის თქმით, ტურაშვილის წაყვანა გადაწყვეტილია. მის გარდა, ნაკრებში ადგილები დაიმკვიდრეს დავით ოთიაშვილმა (97) და ზვიად ბიძიშვილმა (85). მსუბუქ წონებში ევროპაზე წასაყვან ბიჭებს სხირელი ამ შეკრებაზე შეარჩევს.

თუ საქართველოს ჩემპიონატს არ ჩავთვლით, ევროპის ჩემპიონატისთვის არავითარი მოსამზადებელი ეტაპი არ გაგვვლიაო, მითხრა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელმა, როცა ამ თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ასეთ პირობებში ის გეგმებს წინასწარ არ აწყობს. არადა, შარშანდელ ევროპის პირველობაზე ექვსი კაცით წავიდა და ხუთი მედლით დაბრუნდა (სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაო). იმ გუნდიდან კი თითქმის ყველა გადასცილდა ახალგაზრდულ ასაკს და ახლა დიდებში ასპარეზობენ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

მეორე სომეხი მთვარეზე

ლონდონი. ინგლისი. სტელა არტუას ჩემპიონატი. ბალახი. საპრიზო 750 ათასი 4

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲓᲐᲜ ევგენი კაფელნიკოვი მსოფლიოს პირველი ჩოგანი აღარ იქნება.

25 წლის რუსის სკალპი „ქუინსად“ წოდებულ ბალახის ტურნირზე ჩვენმა მეზობელმა, სომეხმა სარგის სარგსიანმა მიითვალა 3:6, 6:3, 6:3.

„რამდენიმე გეიმის მანძილზე ყურადღება გამეფანტა და ამან იკმარა მის გამოსაცოცხლებლად. თავად შევცოდე და საკადრისიც მომეზღო — ამ საფარზე მთავარი მოწოდებაა, მე კი დღეს ძალიან ცუდად ვაწოდებდი“ — განაცხადა სოჭელმა ჟენიამ, რომელიც მომდევნო კვირაში კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე გადაინაცვლებს.

არადა, მატჩის დასაწყისში კაფელნიკოვს თითქოს არაფერი ემუქრებოდა — იოლად მოიგო პირველი სეტი, მეორის დასაწყისში მეტოქეს ბრეიკი აართვა და დაწინაურდა. სწორედ აქ იყო, რუსს შეხვედრის სადავეები რომ დაუსხლტა ხელიდან: რამდენიმე ორმაგი შეცდომა, ბადესთან აცილებული იოლი ბურთები და კლასიფიკაციით 74-ე სომეხმაც ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი კარიერის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებასაც მიუახლოვდა.

2:5-ზე რუსმა ერთი მატჩ-პოინტი კი გადაარჩინა, მაგრამ საკუთარი მოწოდება მაშინვე მშრალზე დათმო და სეზონში მერვედ გამოეთიშა ასპარეზობას პირველივე წრეში.

წყენა ან იმედგაცრუება? — არავითარი: „შეიძლება უკეთესიც იყოს, რომ წავაგე. ეს პირველი ჩოგნობა ტვირთივით მაწვა მხრებზე, ახლა ცოტა ამოვისუნთქავ. უიმბლდონის წინ ბევრი მატჩის ჩატარება აუცილებელი სულაც არ არის, სამაგიეროდ, ვარჯიშის და დასვენების დრო ხომ მექნება“.

ისე, კაფელნიკოვს უსიამოვნებები ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ელოდა: როდესაც მოსკოვიდან ლონდონში მიმავალმა სოჭელმა დიუსელდორფში თვითმფრინავის გამოცვლა მოინდომა, აღმოჩნდა, რომ მას, მის მეუღლე მაშასა და ქალიშვილების ძიძას ბრიტანეთის ვიზები არ ჰქონდათ.

საბოლოოდ ინგლისის დედაქალაქში ჟენია მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ „ქუინსის“ ტურნირის დირექტორმა იან უაითმა გერმანიაში ბრიტანეთის კონსულს ტელეფონები და ფაქსები აუტალახა.

კაფელნიკოვის ადგილის დაკავების შესაძლებლობა კი ორშაბათიდან ორ ჩოგბურთელს — ამერიკელ პიტ სამპრასსა და ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს ექნებათ.

რაფტერმა ამავდროულად მიმდინარე ჰალეს პირველობაზე მეორე წრეში წაადგა. აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონმა ჰოლანდიელ იან სიმერინკთან მატჩში 8 მატჩ-პოინტი გადაარჩინა, თავად 6 ვერ გამოიყენა და მესამე სეტის არაჩვეულებრივ ტაიბრეიკზეღა დათმო შეხვედრა 3:6, 6:4, 6:7 (17:19).

ასე რომ, ახლა ყველაფერი სამპრასის ხელშია, რომელმაც დაკარგული პირველობის დასაბრუნებლად მერვედფინალში რაფტერისვე თანამემამულე უეინ არტურსს უნდა აჯობოს.

მეორე წრეში კი „პისტოლ პიტს“ კიდევ ერთ ავსტრალიელ ტოდ ვუდბრიჯთან გადახდა დაძაბული ბრძოლა 6:4, 6:7 (6:8), 6:4 — „თიხნარის შემდეგ ბალახზე მოხვედრა მართლაც ძალიან სასიამოვნოა. პირველი ჩოგნობა ამჟამად სულაც არ მაღელვებს, ჩემთვის უფრო მთავარია, უიმბლდონის წინ ფორმაში შევიდე და გამარჯვებებით საკუთარი ძალები ვირწმუნო“.

მეორე წრე: ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ (3, ინგლისი) — **სესილ მემიტი** (აშშ) 6:3, 7:6 (8:6); **ᲛᲐᲠᲙ ᲤᲘᲚᲘᲞᲨᲘᲡᲘᲜ** (4, ავსტრალია) — **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) 2:6, 6:3, 6:4; **ᲢᲝᲓ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘ** (5, აშშ) — **რიჩარდ ფრომბერგი** (ავსტრალია) 7:6 (10:8), 7:6 (7:4); **ᲙᲐᲠᲝᲚ ᲙᲣᲩᲔᲠᲐ** (6, სლოვაკეთი) — **ჯიმ კურიე** (აშშ) 3:6, 6:4, 6:1; **ᲑᲠᲔᲘᲒ ᲠᲣᲩᲔᲪᲙᲘ** (7, ინგლისი) — **პოლ გოლდსტაინი** (აშშ) 6:3, 6:4; **ᲒᲝᲠᲐᲜ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲔᲕᲘᲩᲘ** (8, ხორვატია) — **ორლინ სტანოიჩევი** (ბულგარეთი) 6:4, 6:4; **ᲡᲙᲝᲢ ᲓᲠᲘᲠᲘᲞᲔᲠᲘ** (15, ავსტალია) — **ბორის ბეკერი** (გერმანია) 7:6 (7:3), 6:3

REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი

რა არყისფრად გათენდა

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ეტყობა, ჩოგბურთელთა გიჟმაჟი მამების გრძელ სიას ერთი წევრიც შეემატა: ბრმინგემის ქალთა პირველობაზე 16 წლის ავსტრალიელი ამომავალი ვარსკვლავის ელენა დოკიჩის მამა დამირი ჯერ ტრიბუნიდან მიაბრძანეს, მერე კი პოლიციაშიც უკრეს თავი.

დოკიჩები წარმოშობით სერბები არიან და მწვანე კონტინენტზე მხოლოდ ექვსი წლის წინ, ყოფილ იუგოსლავიაში დატრიალებული მოვლენების შემდეგ გაიხიზნენ. შარშან ელენამ იუნიორთა აშშ-ის ღია პირველობაზე იმარჯვა და სეზონი პირველ ჩოგნადაც დაასრულა, წლეულს კი იანვარში მარკ ფილიპუსისთან ერთად შერეული წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატი — ჰოპმანსის თასი მოიგო და გზად არანჩა სანჩეს ვიკარიო და სანდრინ ტესტიუ დაამარცხა.

ზემოხსენებული ინციდენტი კი კლასიფიკაციით 133-ე ელენას იტალიელ რიტა გრანდესთან შეხვედრის დროს მოხდა. თურმე უფროს დოკიჩს დილით თანამეინახე ვერ უპოვია, ჰოდა, ლიტრიანი ვისკი „ჯეკ დენიელსი“ მარტოს გამოუწრუპავს, მერე კი უსამართლობის წინაღმდეგ ბრძოლის გუნებაზე დამდგარა.

„იუგოსლავიას ბომბავთ, თქვე ნაცისტებო“ — რაღაც ამდაგვარი წამოაყრანტალა პატრიოტმა დამირმა, მერე კი მშვიდობიანი მაყურებლებისა და ტურნირის ორგანიზატორების ლანძღვა-გინებას მიჰყო ხელი.

რაკიღა თავგასული სერბი ვერაფრით დააწყნარეს, ტურნირის დაცვის ექვსმა წარმომადგენელმა მას ხელი დაავლო, ციმციმ „ედგასტონის“ კლუბის ჭიშკრის გარეთ გაგდო და კარი ცხვირწინ მიუხურა.

მაგრამ მისტერ დოკიჩი ამაზე არ შეჩერებულა: ჯერ პირველივე მიმავალ მსუბუქ მანქანას შეახტა თავზე, მერე კი შუა ქუჩაში დაწვა და სანამ ბელგრადის დაბომბვას არ შეწყვეტთ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო, განაცხადა.

სანამ ცოტა დაგვიანებით გამოჩენილი პოლიცია განყოფილებაში მიაბრძანებდა, დამირი რამდენჯერმე მუხლებზე დაჩოქილა სალოცავად, ერთხელ კი შუშის ნამსხვრევით ვენების გადაჭრაც უცდია.

„ეს ჯენტლმენი თავისივე უსაფრთხოებისთვის დავაკავეთ. მან რამდენიმე საათი ჰარბორნის უბნის პოლიციაში დაჰყო და როდესაც გამოფხიზლდა, ბრალდებების წაუყენებლად გავათავისუფლეთ“ — განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

უმცროსი დოკიჩი გრანდესთან 2:6, 6:3, 7:9 დამარცხდა, თუმცა მოგვიანებით მამის მხარე დაიჭირა: „ცუდი არაფერი მომხდარა, მსგავს შემთხვევას მთელ მსოფლიოში შეხვდებით. მამაჩემი, უბრალოდ, ცოტა ხმამაღლა მქომაგობდა, ტურნირის ორგანიზატორებს ნამდვილად ზედმეტი მოუვიდათ“.

ჯერჯერობით WTA-მ დამირ დოკიჩს მხოლოდ ერთი კვირით აუკრძალა ქალთა მატჩებზე დასწრება, თუმცა ამგვარი შემთხვევის განმეორებამ შეიძლება გაცილებით მძიმე სანქციები გამოიწვიოს: „ჩვენ ამიერიდან თვალყურს ვადევნებთ მის საქციელს და თუ ასეთი ინციდენტი კიდევ მოხდება, დისკვალიფიკაციის ვადას გავაგრძელებთ და ტურნირებზე ყოფნას რამდენიმე წლით ავუკრძალავთ“.

უკანასკნელად ასე მარი პირსის მამა, ჯიმ პირსი დაისაჯა ჩხუბისთვის და ქალიშვილის შეურაცხყოფისთვის.

ელენა დოკიჩი

* * *

ტალინში მიმდინარე დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მესამე ჯგუფის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს გუნდმა პირველი გამარჯვება იზეიმა. ერთეულებში ვლადიმერ გაბრიჩიძისა და წყვილებში გაბრიჩიძე — ირაკლი უშანგიშვილის დუეტის ძალისხმევით, ჩვენებმა კენილებს 2:1 აჯობეს.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

გოლიჩის გოლი — სასწაული

REUTERS ქაღალდან

არაბმა არაბს გაუტანა: ეგვიპტელმა ჯოჰარ ნაბილომ და მისმა თანაგუნდელებმა ტუნისელებს კი აჯობეს, მაგრამ მეოთხედფინალში რუსთა დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ

ეგვიპტეში, ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალური შეხვედრები გაიმართა. მეოთხედფინალში გასულთაგან, შვიდისგან ამას ყველა ელოდა, მერვემ, კუბამ, კი სენსაციურად გაიმარჯვა დანიას მოუგო და სიდნეის ოლიმპიადის საგზურისთვისაც განაგრძობს ბრძოლას. შეგახსენებთ, რომ გაისად, ავსტრალიაში, ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო შვიდეული პირდაპირ გადის. დანარჩენი ადგილები კი კონტინენტების მომავალ ჩემპიონატებზე განაწილდება.

რვა თამაშიდან ყველაზე დაძაბული და საინტერესო საფრანგეთი-უნგრეთი გამოდგა. თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მატჩი დრამატული იყო. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

შეხვედრის ბოლო წამებზე, იუგოსლავიური წარმოშობის ფრანგი ანდრეი გოლიჩის სასწაულებრივი გოლის წყალობით, 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონებმა უნგრელებს სძლიეს და მეოთხედფინალში გააღწიეს. საფინალო სირენამდე წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა. საფრანგეთი 23:21-ს იგებდა. შეტევაზე უნგრელები იყვნენ. დიდიე დინარი მეტოქეს ეუხეშა და მსაჯებმა იგი ორწუთიანი გაძევებით დასაჯეს, თანაც „ლურჯების" კარში შვიდმეტრიანი დანიშნეს. უნგრელმა ელეშმა ზუსტად ტყორცნა და თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი მისცა.

ფრანგები იერიშზე გადავიდნენ და ბურთის ბოლომდე გათამაშებით საქმე გამარჯვებამდეც უნდა მიეყვანათ, მაგრამ უნგრელებმა დაცვაში ჩინებულად ითამაშეს და მეტოქეს ბურთი დააკარგვინეს. უნგრელთა მწვრთნელმა მეკარის თავდამსხმელით შეცვლა გადაწყვიტა. ამან ჯერ დადებითი, მერე კი უარყოფითი შედეგი გამოიღო. რიცხვმრავალმა უნგრელებმა ანგარიშის გათანაბრება კი შეძლეს და თავი, ალბათ, უკვე დამატებით დროში ეგონათ, მაგრამ... ხელბურთში თამაშის სწრაფ განახლებას სასწაულების მოხდენა შუძლია.

ფრანგთა მეკარე კრისტიან გოდენმა მყისვე მისცა ბურთი ცენტრში ეულად მდგომ გოლიჩს. უნგრელთა კარის დარაჯმა კი თავისი ადგილის დაკავება ვერ მოასწრო. მსაჯებმა ჩასტვინეს თუ არა, გოლიჩმა ბურთი შორიდან ტყორცნა და მისი თანაგუნდელებიც სიხარულით ცას ეწივნენ.

შეხვედრის დასაწყისი კი ფრანგებს იოლ გამარჯვებას უქადდა. უნგრელები ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებდნენ. გოდენიც ბურთს ბურთზე იგერიებდა და 21-ე წუთისთვის ფრანგები 11:6-ით დაწინაურდნენ. მართალია, ამის მერე ანგარიშში სხვაობა ოდნავ შემცირდა (14:11 პირველი ტაიმის შემდეგ), მაგრამ ორ-სამ ბურთიანი უპირატესობა ფრანგებს ყოველთვის ჰქონდათ. ასე გაგრძელდა ბოლო წუთამდე, მერე კი...

„მატჩის ბედი პირველივე ტაიმში უნდა გადაგვწყვიტა. მეორე ნახევარში უნგრელთა დაცვა მშვენივრად ათამაშდა, ჩვენც დავიღალეთ და გასამარჯვებლად პატარა სასაწაულის მოხდენა დაგვჭირდა. ისე, ნამდვილად საჭიროა გუნდში ერთი იუგოსლავიური წარმოშობის ხელბურთელი გყავდეს" — თქვა ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა კონსტანტინემ.

დანიელების დამმარცხებელი (32:24) კუბა პირველი ლათინოამერიკული ნაკრები გახდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ გააღწია. ამ წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი კარიბელთა ხაზის მოთამაშე ივრიენ ურიოსმა შეიტანა, რომლის შეჩერებაც სკანდინავიელმა მცველებმა ვერაფრით მოახერხეს.

ახლა კუნძულელების მეტოქე მეორე ვიკინგური გუნდი — შვედეთი იქნება, რომელმაც მეზობელ ნორვეგიას საკმაოდ იოლად, 33:26 სძლია. ძნელი წარმოსადგენია, კუბელებმა სტეფან ლოვგრენის თანაგუნდელების დამარცხებაც შეძლონ, მაგრამ ბურთი მრგვალია.

ერთმანეთთან მტრადმოკიდებული მეზობლების — იუგოსლავიელებისა და ხორვატების მერვედფინალური მატჩიც დაძაბული გამოდგა. იუგოსლავიელებმა ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატია ნენად პერუნიჩიჩის წინამძღოლობით 30:23 დაამარცხეს და ახლა ალჟირელთა მომგებ გერმანიას შეხვდებიან. ეს მატჩი მეოთხედფინალებში ყველაზე დაძაბული უნდა გამოდგეს, ესპანეთ-საფრანგეთის დაპირისპირებასთან ერთად. პირნეელებმა ბრაზილიური ბარიერი (27:17) იოლად დაძლიეს.

ბოლო მეოთხედფინალში კორეის მძლეველი (31:23) რუსეთის ნაკრები ამბიციურ მასპინძლებს შეხვდება. „ფარაონებმა" მერვედფინალში მეორე ჩრდილოაფრიკული გუნდი, ტუნისი გამოთიშეს ტურნირიდან (24:22).

გაიოზ თალაკვაძე

მეოთხედფინალებში, რომლებიც დღეს გაიმართება, ითამაშებენ:

ესპანეთი — საფრანგეთი

რუსეთი — ეგვიპტე

კუბა — შვედეთი

გერმანია — იუგოსლავია

ლინდროსს მამიკომ კარგი კონტრაქტი გაუჩალიჩა



ერიკ ლინდროსი ისევ ფილადელფიელია

მართალია, ჯერჯერობით კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ ფორმალურ მხარეს მნიშვნელობა არა აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილადელფიამ და ერიკ ლინდროსმა ამ დღეებში სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს. გასული კვირის ბოლოს ერიკის მამამ და აგენტმა კარლ ლინდროსმა განაცხადა, რომ კლუბთან წინასწარი შეთანხმების თანახმად, ფორვარდი კიდევ ერთ წელიწადს დარჩება ფილადელფიაში და 8,5 მილიონი დოლარის გარდა, გარკვეულ პრემიალურებსაც მიიღებს. კლუბი უფრო ხანგრძლივი კონტრაქტით ყოფილა დაინტერესებული. შარშანაც სთხოვეს ლინდროსს, ფილადელფიაში კიდევ 5 წლით დარჩენილიყო, მაგრამ მაშინაც და ახლაც საქმე ერთწლიანი ხელშეკრულებით დასრულდა.

მხარეებს შორის ინტენსიური მოლაპარაკება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ერიკმა ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა. შეგახსენებთ, რომ ლინდროსმა აპრილის დასაწყისში ერთ-ერთ მატჩში ფილტვი დაზიანა და გუნდს პლეი ოფში ვერ დაეხმარა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ „მფრინავები" პირველივე რაუნდში დამარცხდნენ ტორონტოსთან.

კონტრაქტი განაახლა კალგარის შვედმა ვეტერანმა ტომი ალბელინმა. 35 წლის მცველმა ორშაბათს კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ფინანსური დეტალები უცნობია, ბოლო სეზონში კი შვედმა 700 ათასი დოლარი მიიღო. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რადგან ჩვენს ახალგაზრდა გუნდს გამოცდილი ვეტერანების დახმარება უეჭველად სჭირდება. ამ თვალსაზრისით ტომი საუკეთესო კანდიდატურაა" — განაცხადა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ელ კოუტსმა.

ალბელინმა ნჰლ-ში 12 სეზონის მანძილზე 674 თამაშში 36 გოლი და 168 პასი მიითვალა, ხოლო 1995 წელს ნიუ ჯერსის რიგებში თასის მფლობელი გახდა.

უძვირფასესნი სლავებში მოიკითხეთ

იაროსლავ იაგრი

მოგეხსენებათ, ლიგის ინდივიდუალური პრიზებისგან ყველაზე პრესტიჟული „ჰარტ ტროფი" გახლავთ, რომელიც სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა და რომელსაც ჰოკეიზე მწერალი ჟურნალისტების ასოციაცია ასახელებს. თუმცა არსებობს პრიზის ერთგვარი ასლი, ეგრეთ წოდებული „ლესტერ ბ. პირსონ ავარდი", რომლითაც ასევე ჩემპიონატის საუკეთესო ჰოკეისტი ჯილდოვდება, ოღონდ უკვე ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაციის (NHLPA) მიერ. უნდა ითქვას, რომ ამ ორი ავტორიტეტული ჟურნალის აზრი თითქმის ყოველთვის ემთხვევა და ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ორჯერ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. 1986 და 1989 წლებში „ჰარტი" უეინ გრეცკიმ მიიღო, ხოლო NHLPA-მ საუკეთესოებად შესაბამისად სტივ აიზერმანი და მარიო ლემიე დაასახელა.

როგორც ჩანს, ახლაც ურთიერთშეთანხმების წელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, „ჰარტის" სამივე ფინალისტი — იაროსლავ იაგრი, დომინიკ ჰაშეკი და ალექსეი იაშინი — მოხვდა „ლესტერის" მაძიებელთა სიაში, რომელიც ასოციაციამ ორშაბათს გამოაქვეყნა. მასში ასევე შევიდნენ ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფი და ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე.

ცხადია, ზემოხსენებული სამეულის შანსი უფრო დიდია, ამიტომ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მათ წლევანდელ მიღწევებს.

პიტსბურგის სუპერფორვარდმა **იაროსლავ იაგრამ** 127 (44+83) ქულით ბომბარდირთა შორის პირველობა მოიპოვა, თანაც მეორე ადგილზე გასულ სელიანეს 20 ქულით გაუსწრო. აღსანიშნავია, რომ იაგრიმ ასისტენტთა შორისაც იმარჯვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი გუნდური მოთამაშეა. ამიტომაც, იგი „ჰარტის" მოპოვების უპირველესი კანდიდატია.

დომინიკ ჰაშეკმა, რომელიც ზედიზედ მეექვსე (!) სეზონია, საუკეთესოა დარტყმების მოგვრიებაში (93,7%), ხოლო საშუალოდ ერთ მატჩში გაშვებული გოლებით (1,87) და შათაუტებით (9) მეორე გახდა, ისევ უმაღლეს დონეზე იასპარეზა. მაგრამ წლეულს, როგორც არასდროს, გაცხადდა, რომ ბუფალო მარტო დომინიკ ჰაშეკის გუნდი არ არის.

ალექსეი იაშინი (44 გოლი და 50 პასი) მეგოლეთა დავაში მხოლოდ ტეემუ სელიანეს ჩამორჩა და ეს მაშინ, როცა არასდროს ყოფილა წმინდა წყლის ბომბარდირი.

სამველ ღარიბიანი

უპარსკვლავებოდ ძალიან ბნელა

ნჰლ-ის მესვეურებს დღემდე არ გადაუწყვეტიათ, იასპარეზებენ თუ არა ლიგის ვარსკვლავები 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია — 15 სექტემბრამდე ამ კითხვას საბოლოოდ გაეცემა ნჰლ-ის კომისიონერის პასუხი. გერი ბეტმენის თქმით, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ თხოვნით მიმართა ლიგას, ეს საკითხი დროულად გადაწყვიტოს, რათა IIHF-მა თავისი სამომავლო გეგმები (ტურნირის განრიგი, ვადები და სხვა) განსაზღვროს. „ჩვენ გაგებით შევხვდით ფედერაციის თხოვნას" — განაცხადა ბეტმენმა, თუმცა დამატებითი კომენტარისგან თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ნჰლ-მა, პირველად თავის ისტორიაში, ჩემპიონატი შეაჩერა და ლიგის ვარსკვლავებს ნაგანოს ოლიმპიადაში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. ეს დიდსულოვანი ნაბიჯი იყო — ჰოკეისტთა ტურნირმა ნამდვილად დაამშვენა ოლიმპიური თამაშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლოვდიველი და მფრინავი

გუშინწინ სოფიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის ბულგარეთ-ინგლისის შესარჩევი მატჩი მთლად რიგითი შეხვედრა რომ არ იყო, ლევსკის სტადიონის ვიპთა ლოჟაში მსხდომმა ხალხმაც დაადასტურა. სტუმართა შორის უპირველესი კი, ალბათ, კვლავაც მფრინავი ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი გახლდათ. დიდ იოჰანს კი ღირსეულად უმასპინძლა დაუვიწყარმა ხრისტო სტოიჩკოვმა, რომელსაც ჩვენებრ ავი მოკალმეები პლოვდიველ ხიხოსაც უწოდებენ.

REUTERS სოფიიდან

ჯორჯ ბუშმა კამარა შეჰკრა

კაცი ძნელად ივიწყებს ძველ ხელობას, კიდევ უფრო ძნელად კი ძველ სიყვარულს. რაც რომ მეორე მსოფლიო ომის ღრუბლიან ცაში ჯორჯ ბუშს გმირობანი ჩაუდენია და სამხედრო ჯილდო მიულია, მხოლოდ მის ვაჟკაცობაზე მეტყველებს. მერე ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტი იყო. ახლა პენსიონერი კაცია და ცხრა ივნისს დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავიც აღნიშნა. მართალია, მოხუცისთვის ცოტა უცნაური ფორმით, მაგრამ... ერთი სიტყვით, ეს ცაში გადმოკიდებული კაცი სწორედ რომ ექს-პრეზიდენტი ჯორჯ ბუშია.

ლათინოსები ნიუ იორკში

REUTERS ნიუ იორკიდან

ვენესუელის პრეზიდენტი იუგო ჩავესი ამერიკას სტუმრობს და კულტურულ ღონისძიებებშიც მონაწილეობს. თურმე, „ნიუ იორკ მეტსის“ ბეისბოლისტთა გუნდში მისი ორი თანამემამულე მელვინ მორა (მარცხნივ) და ედგარდო ალფონსო (მარჯვნივ) თამაშობენ. ჰოდა, პრეზიდენტსაც ამ ქალაქის „შეა სთედიუმისკენ“ გაუწევია ბიჭების გასამხნევებლად, მერე კი თავად გასულა მოედანზე, ბურთი ხელში აუღია და თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ კარგადაც უტყორცნია.



1999 FIH CHAMPIONS TROPHY
QUEENSLAND - AUSTRALIA - JUNE 10 - 20

ყვანჯოსნობა ბრისბენში

დღეიდან ავსტრალიურ ბრისბენში ბალახის ჰოკეის ჩემპიონთა თასის გათამაშება იწყება. ოლიმპიური შეჯიბრისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეს ყველაზე ღირებული შეჯიბრია მინდვრის ყვანჯოსანთათვის. ჯილდოებს ქალთა და კაცთა ექვსექვსი გუნდი შეეცილება ერთმანეთს. კაცთა შორის ფავორიტი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ჰოლანდიის გუნდია, რომელსაც განთქმული ყვანჯოსნები ბრემ ტომასი, ტუნ დე ნოიერი და ტიკო ვან მეერი გაუძღვებიან. ჰოლანდიელთა უპირველეს მეტოქეებად ესპანელები, პაკისტანელები და ავსტრალიელები მოიაზრებიან. ინგლისელებს და სამხრეთკორეელებს კი სპეციალისტები ალმაცერად უყურებენ.

ქალთა შორის უძლიერესად მასპინძელ ოზთა გუნდი მოიაზრება. ესენიც ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები არიან და ჩემპიონთა თასიც ბოლო შვიდ წელიწადში სამჯერ მოუგიათ. ჰოლანდიელი გოგოებიც ძლიერნი არიან და მასპინძლებს ფიცხელ ომს გაუმართავენ. სამხრეთკორეელ ქალებსაც პრეტენზიები აქვთ და ვერც ბოლოხანს წამოქაჩულ ლამაზ არგენტინელებთან ამოისუნთქავ.

I ტური. 10 ივნისი

ვაჟები			ქალები		
ესპანეთი	—	პაკისტანი 1:1	ჰოლანდია	—	არგენტინა 3:0
ს. კორეა	—	ინგლისი 3:2	ავსტრალია	—	ახ. ზელანდია 5:1

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29